ალექსეი ტოლსტოი

ნარკვევები
პუბლიცისტიკა

საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა

19 • თბილისი • 63

ამ წიგნში მართალი ამბებია მოთხრობილი. ავტორმა მასში შეიტანა ბოლო წლების მანძილზე დაწერილი და პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი სინამდვილის ქრონიკები, და ამიტომაც დაარქვა მას „დღეების ექო". წიგნის მთავარი გმირია რეალური, ბრძოლისა და შრომის ადამიანი.

მოსკოვი — გული

I

ბრძოლის ველზე რომელი ჭრილობა არ ემუქრება მეომრის სიცოცხლეს, სხეულის რომელი ნაწილის ნატყვიარობა არ უქადის მას სიკვდილს, მაგრამ არის მის სხეულში უსათუოესი რამ, რასაც იგი ყველაზე უფრო უფრთხილდება.

და როცა სიცოცხლე საფრთხეშია, თუ სხვით ვერაფრით დაიცავს, ხელის გულს მაინც მიიჭერს. და ისე გადარბის ტყვიების ქარცეცხლში ზღუდიდან ზღუდეზე მძაფრი შეტევისას.

ეს არის გული — ყველაზე სათუთი სასიცოცხლო ცენტრი.

თუ სამშობლოს ერთ სხეულად წარმოვიდგენთ, მაშინ ჰიტლერული გერმანიის მიერ თავს მოხვეულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში მოსკოვი იყო ამ სხეულის გული, რომელსაც ასე უფრთხილდებოდა და თავგანწირვით, ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდა ყოველი საბჭოთა მეომარი.

...ჩვენი ჯარების სტრატეგიული უკანდახევით თითქოს იკუმშებოდა უზარმაზარი ფოლადის ზამბარა. როცა ამ ზამბარამ შეკუმშვის უკიდურეს ზღვარს მიაღწია და დადგა დრო გაშლილიყო და დაერტყა, გაისმა რუსი მეომრის ფოლადისებური ძახილი: „რუსეთი დიდია, მაგრამ უკანდახევა აღარ შეიძლება. ჩვენს უკან მოსკოვია“.

ბრძოლებში სისხლით დაწრეტილი პანფილოველთა დივიზიის უკანასკნელი რაზმის პოლიტხელის კლოჩკოვ-დიევისა იყო ეს ძახილი, — დიდი რუსი ხალხის გულისთქმა.

მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, სხვა გზა რომ არ იყო, ხოლო უკანდახევა ხამარცხვინო სიკვდილს უდრიდა, კლოჩ-

კოვ-დიევმა წელზე გრანატები შემოირტყა, მტრის ტანკს ჩაუვარდა, ააფეთქა და ნამსხვრევებად აქცია იგი.

ეს იყო რუსი საბჭოთა პატრიოტის უკანასკნელი ჯავშანი — საკუთარი სიცოცხლე — წაფარებული ყველაზე სათუთ, საწუკვარ, ყველაზე დიდ სასიცოცხლო ცენტრს — გულს, მოსკოვი რომ ჰქვია.

II

დაზგის ტყვიამფრქვევი ფაშისტებისათვის იგივე იყო, რაც ცელი სარეველა ბალახებისათვის, მით უფრო, თუ მას მართავდა თავგანწირული საბჭოთა მეომრის ხელი, და პატრიოტული გული მიმართულებას აძლევდა.

და აი მტრის მცელავი „მაქსიმკებისა“ და „დეგტიაროვების“ ოცეულს მეთაურობდა იმ მრისხანე დღეებში პანფილოველებს შორის სახელმოხვეჭილი ქართველი მეომარი ლეიტენანტი კაკულია.

სროლა იყო თუ გრიგალი, ძნელად გაარკვევდით. ოცეულის შეხმატკბილებული გრძელი ჯერის ამ გრიგალისაგან შეყინული ბუჩქებიც თავს ახლიდნენ ერთმანეთს, და აბა რა ხეირი დაეყრებოდა მტერს!

მაგრამ მტერიც არ იყო სუსტი და ლაჩარი. აი დასძრა მან ტანკები. ტანკებს უკან—ქვეითნი ხროვად. და ყველაფერი ეს ერთი ოცეულისაკენ, ლეიტენანტ კაკულიას ოცეულისაკენ.

ახლოვდებოდა ფაშისტური სვასტიკა — სიკვდილის სიმბოლო.

ლეიტენანტი კაკულია სიტყვაძვირი, მაგრამ საქმით მტკიცე და მართალი იყო.

— ოცეულო, მოსკოვისათვის, ცეცხლის გრიგალი ფაშისტებს!

უკანასკნელი სიტყვები თვით დამძახებელს არ გაუგონია — იგი ორმხრივი ცეცხლის გუგუნში შთაინთქა.

ცეცხლის კედელს ზურგი აქციეს ტანკებმა. მაგრამ ოცეულს იაფად როდი დაუჯდა მტრის უკუქცევა და ასობით ჰიტლერელის თოვლში ჩამარხვა.

როცა მეტყვიამფრქვევეთა ყველა გუნდი მწყობრიდან გამოვიდა, დაჭრილმა ლეიტენანტმა კაკულიამ თვით ჩაიჩოქა: გადარჩენილ „მაქსიმკასთან“ და გახსნა ახალი გრიგალი, რასაც ერთვოდა მისი უკანასკნელი სიტყვები — „ჩემს უკან მოსკოვია — სამშობლოს გული“.

და მან არჩია გაეწირა საკუთარი გული სამშობლოს გულის გადასარჩენად.

გმირულად დაცემულ კაკულიას ზურგზე მტრებს აღარ გადაუვლიათ. რას გადაუვლიდნენ — ისინი უკვე ეყარნენ შორიახლო გაუნძრევლად, კაკულიასა და მის თანამოიარაღეთა ტყვიებით ცივ მიწაზე განრთხმულნი.

III

...მტერს ეკავა კლინი და სოლნეჩნოგორსკი, კრასნაია პოლიანა და ისტრა, ზვენიგოროდი და ნარო-ფომინსკი, მალოიაროსლავეცი და უგოდსკი ზავოდი. აქეთ მოსკოვი იყო — მათგან თითქმის შორსმსროლელი ქვემეხის გასროლის მანძილზე. მაგრამ იყო უფრო დიდი საფრთხე, ვიდრე ქვემეხები, — მტრის ავიაცია, რომელიც მანძილს ნაკლებ ანგარიშს უწევდა, და მოიწევდა ქალაქის ცენტრზე მასირებული დარტყმისათვის.

მოსკოვი კი იდგა, ვით მიუკარებელ სალკლდეთა ჯაჭვი ცივ და ბნელ ღამეში — მკაცრი, პირქუში.

მოსკოვი იმ ღამეს ზეიმით აღნიშნავდა ტრადიციულ დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის ოცდამეოთხე წლისთავს, ხოლო მეორე დღეს წითელ მოედანზე იხდიდა ტრადიციულ პარადს.

მოსკოვს — სამშობლოს გულს — რკინის ნახევარსალტედ ერტყა საბჭოთა მეომრების გაურღვეველი დაცვა.

ამ მეომრებს შორის, მრავალ ქართველთან ერთად იყო ქვემოჭალელი ტლუ ბიჭი — გუშინდელი მოწაფე, დღეს ომისაგან ნაღმმტყორცნელად გამოჭედილი თენგიზ უზნაძე — ნარო-ფომინსკში კონცენტრირებული მტრის პირისპირ შეუპოვრად მდგომი. მარტო მან იმ ღამეს მოსკოვისაკენ მტრის

შემოტევისას სულ რაღაც ორიოდე წუთში გასროლილი ათი ნაღმით უთვალავი ფაშისტი დააკრა გაყინულ მიწას.

გმირ ჭაბუკს ამოძრავებდა ერთი ფიქრი — „ჩემს უკან მოსკოვია — გული ჩვენი სამშობლოსი!“.

IV

...დაეცვა ყველაზე ძვირფასი და სანუკვარი, საყვარელი და მშობლიური — დაეცვა სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი, — ეს მოვალეობა ალომგულებდა ქართველ ვაჟკაცებს — ტანკისტ განუგრავას, მარტო ერთ ბრძოლაში მტრის სამი ტანკი რომ მოსპო, თბილისიდან მოსკოვისათვის გაგზავნილი ჯავშნიანი მატარებლის გმირ ეკიპაჟს, დედაქალაქის დაცვის ისტორიაში სახელოვანი ფურცელი რომ ჩაწერა, მეორე ჯავშნიანი მატარებლის მემანქანეს წიქარიშვილს, გულადობით არაერთხელ რომ განუცვიფრებია სარდლობა, მხედართუფროს ჩანჩიბაძის ქართველ გვარდიელებს, მამაცური ბრძოლების ჯილდოებით მკერდი რომ შეიმკეს, მაიორ კიკნაძისა და ლეიტენანტ ბოკუჩავას მეზენიტეებს, მტრის არაერთი სვავი რომ ჩამოუგდიათ მოსკოვის ციდან; ვინ მოთვლის მოსკოვისათვის ბრძოლებში სახელმოხვეჭილ ქართველ მეომრებს!

...მოსკოვისათვის მათი თავგანწირული ბრძოლების საუკეთესო ჯილდოა ის, რომ დედაქალაქი კვლავაც დგას სალკლდედ, მშვიდობის ბურჯად, ბედნიერებისა და თავისუფლების სიმბოლოდ, რომ კრემლის თავზე კვლავ ძლევამოსილად კიაფობს ვარსკვლავი და ფრიალებს ალამი.

ძლევამოსილად დგას მოსკოვი — გული ყოველი ჩვენგანისა.

დეკემბერი, 1956.



მ ო ნ ა პ ო ვ ა რ ი

ჩემს თხოვნაზე ნესტორმა მძიმედ, დაკვირვებით იწყო მოწინავეთა დასახელება. ვატყობდი, ჩამოთვლაში ძუნწობდა. ყოველი ახალი გვარის დასახელებას ისეთი პაუზა მოსდევდა, მეგონა აქ დაამთავრა-მეთქი და ჩანაწერების ქვემოთ ხაზის გასასმელად კალამს ვიმარჯვებდი. როგორც იქნა ამოშაქრა რამდენიმე გვარი, რომ ერთ-ერთი დიდი პაუზის დროს კუთხიდან მოისმა ომახიანი ხმა:

— ასეც არ ვარგა, ამხანაგო ნესტორ. ყველა-ყველა, მაგრამ მოწინავე ადამიანებით მაინც არა ვართ ღარიბი. რას ბორძიკობ, შე კაი კაცო!..

ძმური შეთამამებით ნათქვამი ეს სიტყვები იმას ეკუთვნოდა, ვინც მთლად პირველი იყო დასახელებული და ბლოკნოტის ფურცლის თავში მეწერა — მერგოლურ გრიგოლ ღლონტს, სოციალისტური შრომის გმირს.

ნესტორმა გაიღიმა, მაგრამ გრიგოლის საყვედურს შედეგი არ მოჰყოლია.

— გიყურე ნამუსზე, აბა თუ წამოგცდება-მეთქი... — არ ეპუებოდა გრიგოლი. — ეჰე, ტელეფონი აიღო, ვითომ არც ესმის რასაც ვეუბნები. გაიღიმე, გაიღიმე... შენ, ჩემო კარგო, აქ პირველად ხარ, — მომმართა მერე მე გრიგოლმა, — თუ ჩვენ არა, ვინღა გაგაცნოს ჩვენი სოფლის მოწინავე ადამიანები...

ნესტორმა აბონენტთან ლაპარაკი რომ მოათავა, საქმიანი ნაბიჯებით გაემართა მეზობელი ოთახისაკენ.

— მარიამი, ჩემო, წიტაიშვილი, პირველია დღესაც ჩვენში. აქ მისი მთელი სკოლაა — გამოცდილების სკოლა...

გრიგოლი კიდევ განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ მე აღარაფერი მესმოდა გარდა ერთისა — „მარიამ წიტაიშვილი“.

ჩემი ფიქრი საკმაოდ შორეულ წარსულს ეხებოდა. არია ვოვლენა, საგანი, ადამიანი, რომელიც თუმცა შენს მეხსიერებაში ნაპერწკალივით კიაფობს, მაგრამ დროთა მსვლელობა მაინც თავის „ნაცარში“ გიხვევს ამ მოკიაფე ნაპერწკალს. მე მაგონდებოდა 1939 წელი. ზაფხული. თბილისის ვოგზლის მოსაცდელი დარბაზი — სიხარულის დარბაზი. ათობით ადამიანის გაბრწყინებული სახეები, ბედნიერების გამომხატველი მხიარული სჯა-ბაასი, სიცილი, ზოგან ტკბილი, ხმადაბალი ღიღინი „ციცინათელასი“ თუ „სულიკოსი“. მოსკოვის მატარებელში ჩასხდომის მოლოდინი. მრავალთა შორის ერთი ცქრიალა; ხალისით აღსავსე გოგონა, აგრეთვე მოსკოვს მიმავალი კომკავშირელი მარიამ წიტაიშვილი. მე ფანქრით და კორესპონდენტის ბლოკნოტით ახალგაზრდული გაზეთიდან ამ გახარებულ ადამიანებთან ინტერვიუსთვის მოსული. საუბარი ჯერ კიდევ მაშინ სახელმოხვეჭილ ახალგაზრდა მეჩაიესთან... საბჭოთა ადამიანები ახლაც ხომ თავიანთი ცხოვრების დიდ ბედნიერებად თვლიან მოწინავეობისათვის მოსკოვს გამგზავრებას, და რა იქნებოდა მაშინ, თვრამეტი წლის წინათ, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობა მისი გახსნის პირველსავე წელს! ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა შემთხვევა თავისი სიტყვა ეთქვა მაშინ გაზეთში გამოფენის პირველი მონაწილე კომკავშირელის მარიამ წიტაიშვილის თავდადებული შრომისათვის.

და აი ახლა ამ კაცმა, გრიგოლ ღლონტმა თითქოს გამიჩხრიკა დროთა სვლის ნაცარი და ის მივიწყებული ნაპერწკალი ამიკიაფა.

— მოიცა, მოიცა, გრიგოლ, — ვეუბნები ბურუსიდან გამოსული, — მარიამ წიტაიშვილი, მახსოვს, ნაგომარიდან იყო, მოსკოვის პირველი გამოფენის მონაწილე...

— ნაგომარში, შე კაი კაცო, ქალიშვილებს კი არ აბამენ. შეუყვარდა აკეთელი კაი ბიჭი, იქ მაშინ აგროტექნიკოსად რომ მუშაობდა, და ქე წამოყვა აქეთ ამ ჩვიდმეტი წლის წინათ...

— ახლა აქ მუშაობს ქმარი?

— აქ მუშაობს, აქ.

— ა!.. კარგად მუშაობს?

ამ საუბარში ნესტორმაც შემოგვისწრო.

— მაი ყველაზე მოწინავე კაცია ჩვენს სოფელში. გვარს არ გეტყვი. მეც ვიძუნწებ მის დასახელებაში...

— რაო, გრიშა, რაზე ამბობ! — ჩაერია ღიმილით ნესტორი და უკრაში დაიწყო ქაღალდების ჭექვა.

— რაზე ვამბობ?! — მერე ჩემსკენ შემობრუნდა გრიგოლი. — აგია მისი ქმარი, ა, ნესტორ ღლონტი, ჩვენი თავმჯდომარე. დეპუტატი!

— ...ეს ციფრები უკვე ზუსტია, დაიხარა ჩემთან მაგიდაზე ნესტორი, თითქოს არც გაეგონოს გრიშას ნათქვამი, გაშალა ქაღალდი, დაადო საჩვენებელი თითი ციფრებს, — მაშასადამე, თვითეული შრომადღის ღირებულებაა 29,04 მანეთი ფულად, 3 კილო და 310 გრამი მარცვლეული. ახლა აქეთ დავაკვირდეთ საქმეს. აი ეს ციფრი — 65,84, ეს გახლავთ პროცენტი საერთო ფულადი შემოსავლისა, რაც შრომადღეებზე ნაწილდება.

— მაგრამ ეს საერთო თანხა რამდენია, რომ შრომადღეების ხვედრი ვიანგარიშოთ? — მეც გამოვეთიშე წინანდელ საუბარს.

— აგერ, ეს გრაფა, აქ წერია: 3.387.379. ვთქვათ უპრალოდ: ბეგმით გათვალისწინებული იყო 1.949.866 მანეთის განაწილება, ნაწილდება ფაქტიურად 2.208.875 მანეთი. პროცენტში ეს იძლევა 113,3-ს.. წელან თქვენ მკითხეთ მოწინავეებზე, აგერ გრიშამ რომ დამტუქსა, მე მგონი, ეს ციფრი საქმით მეტყველებს. აი ეს თანხა, ამ გრაფაში რომ ზის — 66.950 მანეთი — პრემიის სახით გაიცა. პრემიას ჩამორჩენილები არ იღებენ, მაგრამ ეს თანხა მაინც მეცოტავება, ცოტანი არიან, მაშასადამე. მოწინავეებიც.

თავმჯდომარე ციფრებითა და ფაქტებით გადამიშლის ახალი, საკოლმეურნეო ქვემო აკეთის სურათს.

...გამოვედით გარეთ, ვეცნობით სოფელს, ფაცხებისა და ქოხების ნაცვლად ოდა-სახლებითა და ლამაზი საზოგადოებრივი შენობებით დამშვენებულს, ილიჩის ნათურებით გაშუ-

ქებულს, რადიოფიცირებულს, სოფელს, რომელსაც აქვს სკოლა, საბავშვო ბაღი და ბაგა, კლუბი და სამკითხველო, ვეცნობით საკოლმეურნეო ქვემო აკეთის შეძლებულობას, ძველ, რევოლუციამდელ ქვემო აკეთთან, მენშევიკების უბადრუკი მთავრობის დროის ქვემო აკეთთან შედარებით გიგანტურად წინ წასულს, ვეცნობით იმ მიწის დოვლათს, რომელიც წინათ გლეხკაცის ავი დედინაცვალი იყო.

აბა რა გაუჭირდება იმ სოფელს, რომელსაც მარტო ერთი კულტურიდან — ჩაიდან სამ მილიონამდე მანეთი შემოსავალი აქვს, ტუნგოს, დაფნის, ვენახის, ხეხილის, ციტრუსების და მემცენარეობის სხვა დარგების შემოსავალზე რომ არაფერი ვთქვათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ლანჩხუთის რაიონის ქვემო აკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნესტორ ღლონტის მთელი ცხოვრების გზა — ეს არის წინათ დაბეჩავებული, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კი წელგამართული ადამიანის დამახასიათებელი გზა. ათანასეს, ნესტორის მამას, აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ღარიბ გლეხს მთავრობაში აირჩევდნენ. მისი მთავარი საოცნებო იყო სიმინდი ჰყოფნოდა წლიურ სარჩოდ და ზამთარში კერა არ გასციებოდა. თუმცა ეს „უმაღლესი“ ოცნება ხშირად აუხდენელი რჩებოდა. მისი შვილი ნესტორი კი დღეს ხალხის რჩეული და კოლმეურნეობის წინამძღოლია.

საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვრის, ხალხის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების დასაცავად ათანასემ პირველ დაძახილზევე მისცა ფრონტს სამი ვაჟიშვილი — ლავრენტი, მახარაძის რაიონის სოფელ მშვიდობაურის კოლმეურნეობის ომამდელი თავმჯდომარე, ამირანი — ინჟინერი-მშენებელი, და ნესტორი, მაშინ სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი. მათგან შინ მხოლოდ ნესტორი დაბრუნდა, დაბრუნდა სასახელოდ — ათამდე საბრძოლო ორდენითა და მედლით მკერდშემკობილი, კაპიტნის სამხედრო წოდებით.

როცა ნესტორი ფრონტზე იბრძოდა, აქ მისი ახალშერთული ცოლი, სახელოვანი მეჩაიე, ამჟამად სოციალისტური შრო-

მის გმირი მარიამ წიტაიშვილი საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, ქვემო აკეთელთა მამაცურ შრომას წინ უძღოდა. იგი ორი შვილის დედაა, ახლაც თავდადებით შრომობს და სხვებს მაგალითს აძლევს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცხოვრებასა და მუშაობაზე, მის ოჯახზე როცა ლაპარაკობ, შეუძლებელია არაფერი თქვა სოფელზე, მის მკვიდრთა ცხოვრებაზე. ქვემო აკეთის კოლმეურნეობა ხომ ერთი ოჯახია, მონოლითური ოჯახი, რომელსაც ხალხის ნებით ეს რამდენიმე წელიწადია ნესტორ ღლონტი წინამძღოლობს.

თავმჯდომარის საზრუნავი ახლა ის არის, რომ კოლმეურნეობაში გაერთიანებული 244 კომლიდან თორმეტი ჯერ კიდევ მოუწყობელ სახლებში ცხოვრობს. უკლებლივ ყველა კომლს ჰქონდეს გურული ოდა — ასეთია კოლმეურნეობის გამგეობის უახლოესი გეგმა.

სიამაყეს გვრის კაცს კოლმეურნეთა ის ოჯახები, რომლებმაც 600-დან 1.600-მდე შრომადღე გამოიმუშავეს, რისთვისაც დიდ შემოსავალს იღებენ. აბა მოიგონეთ აქაური შრომადღის დიდი ხვედრი, და ადვილად წარმოიდგენთ, რა შემოსავალი ექნება გიორგი ქურიძის ოჯახს 1.600 შრომადღეზე, ან ელისო სალუქვაძის ოჯახს — 999 შრომადღეზე, გრიგოლ მორჩილაძისას — 1.435 შრომადღეზე...

თავმჯდომარე სიამაყით, სიხარულით მიგვითითებს მრავალ შესანიშნავ ახალ ოდასახლზე, თითქოს ეს მისი საკუთარი ძმებისა იყოს. აი ერთი მათგანი, ჩვენი უკვე ნაცნობის გრიგოლ ღლონტის სახლი. მან მემკვიდრეობით ისლის სახლი მიიღო და სოფლის კვალობაზე სასახლე კი წამოჭიმა — შრომით, პატიოსანი შრომით.

დიდი დავა ჰქონდათ მეზობლებს ამას წინათ — ვის მიეღო საპატიო სტუმრები. ყველას გადასძლია გრიგოლმა. ჩამოვიდა ქვემოაკეთელებთან შეჯიბრებული სამტრედიის რაიონის სოფელ დაბლა გომის კოლმეურნეთა დელეგაცია. რომ იტყვიან, გულუხვად და სტუმართმოყვარულად დაუხვდა გრიგოლის ოჯახი ძვირფას ამხანაგებს. აბა ისლის სახლში შეეძლო მას მრავალრიცხოვანი სტუმრების მიღება?

— მაღალი სახლი სანატრელი გვქონდა წინათ, — ამბობს კოლმეურნე თამარ მორჩილაძე. — ნატვრა კოლმეურნეობაში შრომამ აგვიხდინა.

ძველ სოფელში მხოლოდ თავადს თუ ედგა ასეთი სახლი — ორსართულიანი, ლაღი, დიდი, შესანიშნავი ნაგებობა, როგორიც აკაკი და თამარ მორჩილაძეებმა წამომართეს. ვინ არის აკაკი? — კოლმეურნე, ფერმის ენერგიული მუშა. 68 წელს მიღწეული, პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი. თამართან ერთან 999 შრომადღე გამოიმუშავა. დანაზოგი და კოლმეურნეობიდან სესხად აღებული თანხით, გამგეობის ყოველმხრივი დახმარებით ოჯახმა ასეთი კარგი სახლი აიგო.

— მენშევიკების ბატონობის დროს ამაზე ოცნებაც არ შეგვეძლო. დღეს სულ სხვაა. აი ქალმა არ დამაყენა, აბაზანა უნდა მოვაწყოთ ახალ სახლშიო, — ამბობს აკაკი, — მოვიტანე კიდეც.

— რა ქენი, კაკო, გამართე ჯერ? — ეკითხება თავმჯდომარე.

— ვერ მოვიცალე. ამ გაზაფხულზე დავდგამ... ახლა შვილიშვილებს. ზაფხულში რომ მეწვევიან, აბაზანაში ვაბანაებ, — ხუმრობით ამბობს თამარი.

შვილები მათ სახელოვანი გაუზრდიათ — ერთი, გრიგოლი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატია, ცხაკაიას მტს-ის დირექტორი, ცოლით და ორი პატარა შვილით იქ ცხოვრობს, ქალიშვილი — ციალა თბილისშია გათხოვილი.

...ბედნიერება, დამკვიდრებული ქვემო აკეთში, საქართველოს ოქტომბრის მონაპოვარია, საბჭოთა ხელისუფლების დიადი მონაპოვარი.

ამ მონაპოვრის მადლიერია ქვემო აკეთი.

თებერვალი, 1957.



ღამისა და დღის გასაყარზე

— ხან ბოროტი ხარ, წყეულო ღამეე, როგორც იდუმალი ჭაობი, და რა არ იბუდებს შენში! გუშაგის ნაბიჯების ხმაც არ ისმის.. ჯოჯოხეთური სიჩუმეა გარეთ, პავლე!

— რას გვიქადის, ნეტავ, კოლკა, ეს სიჩუმე?..

— ტყვიისა ისე არ მეშინია, როგორც სიჩუმისა... სიჩუმე ბოროტების ბუდეა ზოგჯერ.

— მოიცა, დადექ ერთ ადგილას, და ერთი ნუ აყღარუნებ ამ ბორკილს, გაუწყდეს გამომჭედი.

— შლისელბურგისა და მეტეხის საკნები დიდედას ტკბილ ოთახად მაგონდება ამ ამშენებელდაქცეულთან შედარებით.

— შლისელბურგი და მეტეხი?.. ეს კი ქუთაისის საგუბერნიო ციხეა, ნუ დაგავიწყდება! ყველა გავლილი სიმწარე ტკბილდება, როცა გადაურჩები... აი, გენერალ ბარათოვზე თავდასხმისათვის დახვრეტას რომ გადაურჩი, ხომ ტკბილად გაგონდება, პავლე ჩემო?

— მაგრამ ამ ღამეს კი გადავურჩებით? იცი, კოლკა, ჩემი გოგონა მეზმანა წეღან, კედელთან მიყრდნობილს რომ ჩამთვლიმა. გამომეცხადა ჩემი პატარა გოგონა, შემოცოცდა საკანში. „რატომ გაქვს ბორკილი, მამა? — მეუბნება, — მე შეგიხსნი!“ „ვერა, მამა გენაცვალოს“, — ვეუბნები. ავიტაცე, ავიტაცე და გამიფრინდა, ამ სარკმლიდან გამიფრინდა, როგორც ჩიტი. თან მომძახის: „არ დაგტოვებ აქ, მამილო!“ ვგრძნობ, ვეღარ ვსუნთქავ, ვბორძიკობ, თურმე ვეცემი, შენ კი დამაკავე...

შუაღამე გადასულია. სარკმელში ქარი გულსაკლავად ზუ-

ზუნებს. საკანში ბორკილები ჟღარუნებენ. ნაბიჯების ხმა. უთუოდ გუშაგები არიან. საკნის კართან წყდება იგი.

— ყურს გვიგდებენ, პავლე!

— ნეტავ გააღონ, კოლკა, კარი, ერთი წუთით, ერთი წუთით მაინც... არსად, არასოდეს, არც ერთი საკანი ასე აუტანელი არა ყოფილა ჩემთვის!

გასალებმა გაიჩხაკუნა. სანეტარო ხმა — კარი იღება. მაგრამ ესენი გუშაგები არ არიან.

— მარდალეიშვილი პავლე იოსების-ძე!

— აქა ვარ.

— გამონაპირდი აქეთ. ივანოვი ნიკოლოზ ვასილის-ძე!

— აქა ვარ.

— გამოდით კარში!

ციხის ეზო. შავი ღამე. სუსხიანი ქარი. ხარბი სუნთქვა.

მაგრამ ეს რა ხმებია, უცნაური, რიონის მხრიდან?!

„ გესმის, კოლკა?“

„მესმის, ბიჭო! თითქოს ჩვენების ხმასაც ვარჩევ. ეს ხმა რიონიდან მოდის. „ვაშას“ გუგუნია. განთიადი ახლოვდება“.

— ...აი თქვენ გესმით ხმა რიონიდან. ეს ხმა თქვენებისაა. გვაქვს პატივი ვიყოთ მახარობლები. ბოლშევიკები შემოდიან, გაიხარეთ. ჩვენ დავალებული გვაქვს დემოკრატიული საქართველოს ჰუმანური მთავრობის სახელით გაგიყვანოთ ციხიდან და თქვენი თავი ჩავაბაროთ ტყვე ბოლშევიკების შესაკრებ პუნქტში, აგერ ახლოს — საღორიის ტყეში... ხომ გახსოვთ საღორიის ტყე — თქვენი ორგანიზაციების ერთ-ერთი სამოქმედო ასპარეზი...

ახსოვთ, როგორ არ ახსოვთ!..

— მაგრამ ბორკილებით? — ეჭვს გამოთქვამს მარდალეიშვილი, — ბორკილებით აქედან ტყემდე?

— დაიქანცებით, ბატონებო, ჩვენი მძიმე ნაბიჯების კვალდაკვალ, არა სჯობდა ბორკილები შეგეხსნათ? — დაურთავს ივანოვი.

— ო, არა, ბატონებო, ჩვენ ეს არა გვაქვს ნაბრძანები. ბატონ ვალოდია სულაქველიძეს სურს იქ თავისი ხელით შეგხს-

ნათ იგი, მოგილოცოთ კიდეც გამარჯვება თქვენ, აჯანყების აქტიურ მონაწილეებს, და ბოდიშიც მოიხადოს...

— ო, დიდად დავალებული ვართ მისი კეთილშობილებისაგან... რას იზამ, დავიძრათ, ჩემო პავლე!

გუგუნი ახლოვდება. განთიადი ახლოვდება. გამარჯვებულთა სანეტარო ხმები შორიდან მოაქვს ქარს.

ქუთაისის ბნელ ქუჩაში მძიმედ მიაბიჯებენ ორნი და მიაქღარუნებენ ბორკილებს, ხელფეხს რომ შემოსჭდობია.

— აქ ჩემი მოგვარენი ცხოვრობენ, კოლკა, აქ მივლია მე, ამ ქუჩასთან ბევრი რამ მაკავშირებს.

— ჰო, მეც ვიცნობ მას... რა სიბნელეა, აქ ადამიანის ჭაჭანება არსად არის, მაგრამ საკნიდან გამოსულს მაინც მესიამოვნება ღია ცის ქვეშ ლაღად სუნთქვა.

ტყე ახლოვდება — უფრო ბნელი და უკუნი, ვიდრე ეა ღამეა. გამცილებლები ნაბიჯს ანელებენ. ბორკილებიანები წინ მიიწევენ.

— ეჰ, ქლიბო, ქლიბო, სად გდიხარ იქნებ უქმად და სად ხარ საჭირო! — ჩაილაპარაკებს პავლე.

— ცუდი წინათგრძნობა მაქვს. განთიადის წინ ხომ არაფერი მოგველის!

ნიკოლოზის ამ სიტყვებს დუმილი მოსდევს. კვლავ გზა — მძიმე, ბორკილების გზა, მაგრამ სადამდის?

— სდექ! — ისმის განკარგულება.

— ე-ე-ე, — მოსცა ექო ტყემ.

გამცილებლები ერთმანეთს ეჩურჩულებიან. მწყობრად გაისმის შაშხანების საკეტის ხმა.

გუგუნი რიონის მხრიდან ახლოვდება. დღე ებრძვის ღამეს. შუქი — ბნელს. და აი ღამისა და დღის ამ გასაყარზე იჭექებს შაშხანების მწყობრი ზალპი. ბორკილების უკანასკნელი მძლავრი აჟღარუნება, ორი მუხის ზათქით დაცემა.

— კოლკა, ნიკოლაი ვასილევიჩ, რუსო ამხანაგო, მომეცი ხელი უკანასკნელად.

— ჯალათები! მაგრამ განთიადი ახლოვდება. პავლე, ჩვენ ვკვდებით გარიჟრაჟზე.

— დაჭრილან მხოლოდ. ეს ცოტაა!..

ესმით ბოროტი ხმა დაცემულთ.

— წყალი... წყალი, ჯალათებო! თქვენი აღსასრული ახლოვდება. ეს ბოროტება ძვირად დაგიჯდებათ. გესმით თუ არა ძლევამოსილი „ვაშას“ ძახილი?!.

— წყალი?! წყალი ახლავე, ბოთლებით დალევთ?

პასუხად ისმის გმინვა დაჭრილებისა.

აი ბოთლებიც. წყურვილს მაინც მოიკლავენ სიკვდილის წინ.

— ეს ნავთია, ჯალათებო!

— ნავთია?..

და ამ ცინიზმს მოსდევს მერე შუასაუკუნეობრივი ინკვიზიცია — წამებულთა სხეულზე ჯალათები ცლიან ბოთლებს, ირგვლივ ფიჩხებს ყრიან, ასანთს უკიდებენ... იფეთქებს ალი, ალში ეხვევა დაჭრილთა სხეული, ისმის გმინვა და შემდეგ შეძახილები:

— გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! — ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, წარმოთქმული ქართველი და რუსი წამებული ამხანაგებისა, ქართული სიტყვები — ივანოვი ხომ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი იყო.

აჯანყებულთა ტალღა ქალაქს უახლოვდება. აი ციხეც. „ივანოვ, მარდალეიშვილი! თავისუფლება ძმებს!“ — ისმის აჯანყებულთა ხმა, ცას რომ წვდება. მაგრამ ამ დროს ქუთაისის ტყის პირას ალი ნელდებოდა და საქართველოს ოქტომბრისათვის წამებული ორი მოძმის ცხედარი იწვოდა.

ქუთაისის თავზე ფრიალებდა ბრძოლებში გამოტარებული ალისფერი დროშა.

* * *

...მადლიერმა ხალხმა ქართველი და რუსი ამხანაგების ნაწამები ცხედრები გადმოასვენა ტყიდან და დიდი პატივით დაკრძალა ძმათა სასაფლაოზე. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გმირები სიკვდილის შემდეგ საბჭოთა საქართველოს წითელი დროშის ორდენებით დააჯილდოვა.

* * *

...ქუთაისში რიონის მარჯვენა მხარეს არის ქუჩა, რომელიც ძმობის სიმბოლოდ ივანოვ-მარდალეიშვილის აახელს ატარებს, და რომელიც, როგორც მცირე მდინარე დიდს, ხოლო ყველა — ზღვას, — ერთვის ახალი სოციალისტური ინდუსტრიული ქუთაისის ქუჩებს და ქმნის მათთან ერთად ახალ სიცოცხლეს და მაჯისცემას. თითქოს სიმბოლოდ, სწორედ ამ ქუჩაზე აღმართულია მაუდის ფაბრიკის კორპუსები, საბჭოთა რუსეთის ოციანი წლების ძმური საჩუქარი საბჭოთა საქართველოსადმი. აქ, ამ ქუჩაზე სკოლები და საბავშვო ბაღებია, საავადმყოფო და პოლიკლინიკაა. ამ ქუჩაზე ცხოვრობენ ქართველები და რუსები, სომხები და უკრაინელები, მუშები და ინტელიგენტები — ახალი სოციალისტური სამშობლოს შვილები.

მრავალი, მრავალი ადამიანის მისამართია: ქუთაისი, ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩა, იმ ადამიანების სახელობის ქუჩა, რომლებიც ღამისა და დღის გასაყარზე დაეცნენ მტერთან ბრძოლაში.

თებერვალი, 1957.



ცხოვრების ერთი ფურცელი

ყანაში ორნი დგანან — ერთი დიდი, მეორე — თითქოს მისი ჩრდილი იყოს შუადღის მზეში — პატარა.

— ნება-ნება, ბაბას ჭირიმე. კი არ მიეღალო, თვითონ მაგი უნდა მოქანცო. ასე ბაბა, აა. თოხს თავისი სიმძიმეც ეყოფა მოქნევის შემდეგ. ფესვები კი არ გაულახო სიმინდს... ეს, დედამკვდარი, ამტკივდა, ხედავ?

— ჩამოჯექი თოხის ტარზე.

— ეგერ იმ ბეოლამდე გავიტანოთ როგორმე, ბაბას ჭირიმე.

— შორია... რომ გტკივა?

გაიტანეს კვალი შებინდებამდე. ჩამოსხდნენ ბეოლის ქვეშ.

— ვკვდები, მიშო, ბაბაია!

— გტკივა?

— ვკვდები-მეთქი.

— წავიდეთ. დედა მოწველიდა თხას. დალევ თბილ რძეს, გაგივლის.

არ შეისმინა ბუნებამ შვილის სურვილი — არ გაუარა გრიგოლს. ოწვა ერთი წელიწადი ისლის ქოხში. ზუზუნებდა ქარი ისლში, გმინავდა მამა — „მიშველე, ნუცა!“, მუხლისთავს მუცელზე იჭერდა. მიშოს თოხი და სევდა მიჰქონდა ყანაში მარტოს, თან თვალებს აცეცებდა აქეთ-იქით — ოჩოკოჩი საიდანმე არ შემეფეთოსო, განსაკუთრებით ზურგიდან ეშინოდა... თოხნიდნენ ორნი — თვითონ და თავისი ჩრდილი. ვერ იქნა, ვერ გაუსწრო ამ ჩრდილს ვერასოდეს. ხანდისხან თავათ მოშორდებოდა, როცა მზეს ღრუბელი წაეფარებოდა.

კუჭის მწვავე კატარით მოკვდაო, გრიგოლზე ამბობდნენ მაშინ.

„ აჰ, არა, ბატონო, კიბო იყო ნამდვილ ასე უხსნელი, მაშინ რა ვიცოდით მისი სახელი! როგორ იწვალე, ვაი შენს ნუცას. რა მოგსდევდა. ჯოტია ოცდახუთი წლითაა შენზე უფროსი, ახლა გეგონება საცოლო...“ — მოთქვამს ახლა დროგამოშვებით მიშას დედა.

...დაბრუნდნენ სასაფლაოდან. ქოხი ვერ იცნეს. სახურავი აღარაა — ჭვარტლისაგან დათუთქული ლარტყები ჩატეხილა თურმე და ისლიც ჩაწოლილა. ხელახლა შეიქნა წივილ-კივილი.

— მოსდევს. ჭირი ჭირს მოსდევს... აჰ, აქეთ, გოგო, შენ, არ დაგეცეს ლარტყა. არა, მათი გაჩერება აქ აღარ შეიძლება. მოხიკე, ქალო, შენი ბავშვები, ხარახურა და მომყევით აქეთ,— მიმართა მათ მეზობელმა.

ხოთო, მომდევნო გოგო, პატარა, ფუნჩულა ხელებით ჩააფრინდა დედას კალთაში. ვაჟა ცერებზე დგებოდა და ზევით იწეოდა, დედას ახუტებას თხოვდა, ძუძუ მოუნდა, შოთა პაწია მუშტს უღერებდა უმცროს ძმას:

— გაჩერდი, ბიჭო, შენ!

დინჯად იდგა შორიახლო, განმარტოებით, დაქცეული ქოხის წინ ოჯახის უფროსი მამაკაცი... რვა წლის მიშა — შემოუტეხავი, შავი სატინის ხალათით, შავი სატინისავე ხილაბანდით თავწაკრული.

— ჰე, ჰე, მალე, ღამდება. ცოდვაა ბავშვები, დაიქანცნენ.

— მადლობელი ვარ, პავლე. რავა შეგაწუხო ოთხი ბავშვით, თქვენ ისედაც ბევრნი ხართ სახლში.

შეეხიზნენ კეთილი მეზობლის პავლე სიჭინავას ოჯახს. კარგა ხანს ცხოვრობდნენ მასთან.

ცოტას ახალფეხადგმული ქოლმეურნეობა დაეხმარა, ცოტ-ცოტათი კარის მეზობლებმა მოუმართეს ხელი, მერე ნუცას ძმამ ელიზბარ კვირიამ ცხენი გაყიდა ზუგდიდის დიდ ბაზრობაზე და ფული დას მიაშველა. შეაკეთეს ქოხი. გაჩაღდა ცეცხლი. ამოვიდა ფთილა-ფთილად კვამლი სახურავიდან. განახლდა ქოხში სიცოცხლე.

წიგნების ჩანთა და მძიმე სულიერი ტვირთი მიჰქონდა მამით ობოლ მიშას სახლიდან სკოლაში.

— სიჭინავა მიხეილ! — ეს იყო პირველი ოფიციალური

მიმართვა მისდამი. მასწავლებელი იძახებდა. მისი სახელი საკ-ლასო ჟურნალში ეწერა — გასცილდა ქოხის ფარგლებს.

ასე იყო სკოლის დამთავრებამდე. ახლა იგი ნამდვილ უფ-როს მამაკაცად გრძნობდა თავს. ორი რამ იყო მისი იარაღი — წიგნი და თოხი. არც ერთს ღალატობდა, არც მეორეს. ხელები უკვე დაკორძებული ჰქონდა და თოხს ღონივრად იმორჩი-ლებდა. მხრებში იშლებოდა, მკერდი უგანიერდებოდა. მკლავ-ზე ამობურთულ მაგარ კუნთებს უმცროსი და-ძმები სიხარუ-ლით უცაცუნებდნენ .ხელებს. დედა შეჰყურებდა დანამული თვალებით, შვილი სიხარულს ჰგვრიდა, ქმრის მოგონება — ცრემლს. „მიშველე, ნუცა!“ — ჩაესმოდა მას ყურში ახლაც.

ერთ დღეს ჭიშკარში შემოესმა მიშას:

— სიჭინავა მიხეილ!

ეს არ ჰგავდა საკლასო ჟურნალიდან ამოძახებას.

— აქეთ იძახოდი? რომელი ხარ?

— გამოიწიე ერთი აქეთ. მე ვარ, ბარდღუ.

„ოო, ბარდღუ თუ ხარ, საქმე სერიოზულია, ჩანს!“

თოხი მიაყუდა, ხილაბანდით ოფლი შეიწმინდა. ჭიშკრისა-კენ გაემართა.

— გამარჯობა. უწყებაა, მიშო, კომისარიატში გეძახიან.

ჯერ კიდევ გიზგიზებდა ომის ცეცხლი. ორმოცდაოთხის ზაფხული იყო.

ბევრისათვის ნაცნობი უწყება სამხედრო კომისარიატისა...

მიხეილ სიჭინავას უკვე სახელმწიფო ეძახდა.

„...გიბრძანებ გამოცხადდე. თან იქონიე ორი დღის საგზა-ლი, ორი წყვილი საცვალი...“ — და შემდეგ ბევრისათვის ნაც-ნობი ბრძანების სიტყვები. „მაშ შორ გზაზე ვარ. მშვიდობით, სკოლავ და ეზო-კარო, ყანავ და ჭალებო, ოჯახო და ტოლე-ბო...“ მერე უცებ გაუელვა ერთმა სახემ, წინათ საკუთარ გულ-საც რომ არ უმხელდა, იმ სახემ, და წამით ყველა დანარჩენის მოგონება ბურუსში გაუხვია. — მშვიდობით... — მიმართა ამ ნათელ სახეს, მაგრამ საკუთარი გულისა შერცხვა და სახელი მისი გულის სიღრმეშიც არ გაიმეორა. უნდოდა იმ სახისათვის თავი დაეღწია, მაგრამ ვერ შეძლო. თითქოს მის წინ იდგა —

ოქროსფერნაწნავებიანი, მთვარესავით გაბადრული, ჟუჟუნა, ცისფერთვალებიანი... უღიმოდა ცრემლნარევი ღიმილით და ეჩურჩულებოდა: „მაშ მიდიხარ? ა, მიშა, მიდიხარ?..“ ყოველ შემთხვევაში, მიშას ასე სურდა წარმოედგინა დამშვიდობების წუთებში მწუხარება და განცდები იმისა, ვინც მისი სიცოცხლის აზრს შეადგენდა... მერე წარმოიდგინა თავისი თავი ბრძოლის ველზე, როგორც პავკა კორჩაგინი, წარმოიდგინა — რა განცდებით უყურებს მას გონების თვალით ლესიჭინედან „ის“...

ვერც კი გაიგო როგორ შედგა ფეხი სახლის ზღურბლზე. და-ძმები შემოხვეოდნენ. დედა ბოსტნიდან გამოქცეულიყო.

— ფერი არ გადევს, ნანა, გლახა ხომ არაფერია, შენი სულის ჭირიმე!

— გამიმზადე რამე. სამხედროში მეძახიან.

— სუ, ნანა! ჯერ ხომ შენი დრო არ არის?

— ჰე, ჰე, დამაბანინეთ და დატრიალდით. ალიონზე ჩხოროწყუში უნდა ვიყო.

—არ არის ჯერ შენი დრო, მოგიკვდ...

— „მოგიკვდი, მოგიკვდი!..“ — გააწყვეტინა მიშამ, — ესღა მაკლია ახლა, შენც მომიკვდე. იქ უკეთ იციან, ჩემი დრო არის თუ არ არის.

— ჩემი საქმეა გშვა და გაგზარდო. დანარჩენი იქ იციან... რა ვუყო, მიშა, ამ სამს, მეც კარგად არა ვარ... გვეჯე შენზე უფროსია და არ მოუკითხავთ.

„გვეჯე! — თითქოს ელვამ დაუარა მთელ ტანში მიშას, — რამ მოგაგონა, კი ვიყავი ცოტა ხნით დამშვიდებული... მას ხომ „იმაზე“ უჭირავს თვალი!“

— გვეჯე ავადმყოფია. თიაქარი აქვს! — იცრუა მიშამ.

...გააცილეს ალიონზე. გასცდა ჭიშკარს. დაადგა თემშარას. ეს არ ჰგავდა იმ გზას, რომელსაც სკოლაში უტარებია მთელი თერთმეტი წელიწადი. ეს იყო პირველი მარშრუტი უკვე სრულყოფილი მოქალაქისა თავისი დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე.

ჩიტები ჟღურტულით მიაცილებდნენ. შაშვები ნაცნობ ჰანგზე გალობდნენ. დედის მზერა გზას უშუქებდა...

„აი მისი სახლი. მას სძინავს, მისი სიზმრების ცისფერ ხალიჩაზე მივაბიჯებ“. ყოველ შემთხვევაში ასე სურდა მიშას — სიზმარშიც მასთან ყოფილიყო...

სამხედრო კომისარიატი. ასობით უცნობი სახე მისი ტოლებისა. მატარებელი. გრძელი გზა. საქართველოს გეოგრაფია, — რამდენადაც მისი ხილვა მატარებლის სარკმლიდან შეიძლება — წარმოსახული ნასწავლი და წაკითხული ნაწარმოებების ასოციაციით, საყვარელი მწერლებით. მდინარე ცივი თეკლათთან — ეს ბახვა ფულავას ცივია. აბაშა. აქ არ შეიძლება იერემია წარბა არ მოგაგონდეს. სამტრედიასთან შტო იყოფა გურიისაკენ, ეგნატეს გურიისაკენ. კიდევ უფრო აქეთ — შორაპანია. ის ვიწროლიანდაგიანი გზა ჭიათურისაკენ მიდის — აკაკის სხვიტორისაკენ. აქეთ ქართლია — ნიკო ლომოურის და ანტონ ფურცელაძისა, ეკატერინე გაბაშვილის და ქართლი „დედაენისა,“ რომელშიც ქება ითქვა დილისა: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა...“ აგერ მცხეთაც. სადღაც ახლოს საგურამო. იქ დაეცა ილია.

თბილისი. ბობოქარი ქალაქი.

გული ფრონტისკენ მიუწევდა, პავლე კორჩაგინის გზისაკენ. გმირობისაკენ, რაკი სახლსა და ეზო-კარს, სკოლასა და ტოლ-ამხანაგთ მოსცილდა... მიშა და მისი ტოლები კი აქ შეაჩერეს. თბილისის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მიიყვანეს.

მსგავსი არაფერი ენახა ადრე. უზარმაზარი ქალაქი, ქარხანა-გიგანტი ხრჩოლავდა, გუგუნებდა, მოძრაობდა, სუნთქავდა ზღაპრული დევგმირივით. ადამიანები ბუზებივით ირეოდნენ, მიდი-მოდიოდნენ, ფუსფუსებდნენ მის გარშემო, მაგრამ არავინ მას არ ამჩნევდა. იყო წუთები, როცა იგი მთლიანად გამოეთიშებოდა ხოლმე თავის მოგონებას, თავის სოფელს, დედას, და-ძმებს და მთელი არსებით ამ ახალ, უცნაურ სანახაობებში ინთქმებოდა.

მას აუხსნეს, რომ უნდა მოამზადონ მომავალი რუსთაველის ქარხანა-გიგანტის კადრის მუშად, შეასწავლონ სპეციალობა — მრანდავობა, ხარატობა, რომ იგი მეორე ეშელონის ჯარისკაცია — შრომის ფრონტის მეორე ეშელონის ჯარისკაცი.

ფრონტელებმა იციან, რას ნიშნავს მეორე ეშელონი ჯარების საბრძოლო განლაგებისას. თუ წარმოვიდგენთ, რომ რუსთავი გაშლილი შრომის ფრონტი იყო, მაშინ რუსთავის მშენებელი ახალგაზრდები ამ ფრონტის მოწინავე ხაზის მამაცი მეომრები იყვნენ. მათს უკან იდგა მეორე ეშელონი ახალგაზრდა მეტალურგებისა, რომლებიც ელოდნენ გენერალური შეტევის დაწყებას ქართული ფოლადისათვის. ათასობით ქართველი ახალგაზრდა იწრთობოდა ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ ცენტრებსა და სხვადასხვა დიდ ქარხნებში მომავალი რუსთავის მუშებად.

— სახარატო-მექანიკურ საამქროში წაიყვანეთ, შაკის მიჰგვარეთ! — მოესმა მიშას კადრების განყოფილების მუშაკის, შავ სპეცხალათში გამოწყობილი შუახნის კაცის სიტყვები.

— წავიდეთ! — უთხრეს მას.

ჰქუხდა, გუგუნებდა უზარმაზარი კორპუსი. რა სიწყნარე. რა მყუდროებაა ლესიჭინის ყანებში! აქ კი ათასმა ბულბულმა რომ ერთად სტვენა მორთოს, ვერაფერს გაიგონებ.

— გაიცანი, ანდრეი. იმუშავებს შენთან. მრანდავობას ასწავლი. საშუალო დაუმთავრებია.

— იმუშაოს.

მერე მაზუთიანი ხელები შავი ძენძით შეიწმინდა ოსტატმა. შაკიმ — მოხუცმა, ხმელ-ხმელმა, ჭირნახულმა, კეთილმა კაცმა თავით ფეხთამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა ახალმოსული, აწონ-დაწონა თვალით. უთხრა:

— იცი, სად მოხვედი?

ახალგაზრდამ გაიღიმა.

— დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონეა ჩვენი ქარხანა, ახლა — დიდი შრომითი ტრადიციებისა...

— ეს კი ვიცი, პატივცემულო ანდრეი.

„ამასთან შეიძლება თამამად საუბარი. უბრალო კაცია. ჩემი მათემატიკის მასწავლებელს კი არა ჰგავს — რა უხეში კაცი იყო..."

— ჰო, ეი იქით გაიხედე, იმ დიდ საამქროში ერთი დაზგა დგას, თვალისჩინია ქარხნისა. იქ, იმ დაზგასთან, კალინინი

მუშაობდა, მიხეილ ივანეს-ძე. გორკიც არის აქ ნამყოფი, კურნატოვსკი გაგიგონია?

— გადმოსახლებული მარქსისტი, — დაიჭირა მიშამ გამოცდა.

— ...ყოჩაღ. იმას მეგობრობდა. პავლენკოც იცნობდა ჩვენს ქარხანას, წაგიკითხავს? ჰო-დე, აგერ ორთქლმავალს რომ არემონტებენ, ხვალ-ზეგ გავა ამ ლიანდაგიდან და ვინ იცის, სად ამოყოფს თავს — ურალში, იქნებ ციმბირში, მერე იქიდან მოსკოვში, — და წაიღებს ჩვენი ქარხნის სახელს შორს... იქნებ შენს სახლთან ჩაიქროლოს. შენ საიდან ხარ?

— ჩემს სახლთან არა, მაგრამ ახლოს გადის რკინიგზა, ინგირში...

— ჰო. რა გქვია?

— მიშა, პატივცემულო ანდრეი, სიჭინავა ვარ გვარად, ჩხოროწყუდან.

როგორც კი დაბინავდა, თავისი კუთხე მონახა, ახალი ტოლამხანაგები გაიჩინა, გარემოს ცოტათი თვალი მიაჩვია — შემოაწვა დარდი შინაურებზე, დედის მოგონება მოსვენებას არ აძლევდა... გავიდა ერთი წელი, ორი... მრანდავის პროფესიას კარგად დაუფლებულ, ოსტატისაგან დაფასებულ ახალგაზრდას არ ეგონა მხარს თუ არ დაუჭერდნენ. ახლა მაინც ხომ აღარ იყო ომის დრო. ჩავიდოდა ერთი-ორი დღით. დედას, და-ძმებს ნახავდა. ცოტას საქმეში წაეშველებოდა, რამეს ჩაუტანდა. ხოლო „ის“ რომ ენახა, ამის დიდ სურვილს თავის თავსაც არ უმხელდა.

— შინაო? ეჰე, მოუნდა დედის კალთა! რა დროს შინ გაშვებაა, გუშინ არ ჩამოდი?

— გუშინ არა, ორი წელიწ... აკი მოგახსენეთ ჩემი ოჯახური მდგომარეობის შესახებ...

არ გაუშვეს. მაშინ გაიპარა. იცოდა ამას კარგი შედეგი არ მოჰყვებოდა — მაინც გაიპარა.

„ხომ დავბრუნდები, არ დავიმალები. მაშ რად არ მიშვებენ, დედა არ უნდა ვნახო?“

შინ ყველანი კარგად დახვდნენ. დამშვიდდა.

— დაპატიჟებული იყავი, შვილო, გვეჯეს ქორწილში, მაგრამ...

— რა მექორწილებოდა, დედა, დაძაბული შრომა გვაქვს. ახლაც უნებართვოდ ვარ ჩამოსული. არც ვიცი, რას მიზამენ. უთქვენოდ ვერ ავიტანე...

ამას ლაპარაკობდა, მთელი არსებით კი სხვა, ბურუსით მოცულ სამყაროში იყო ჩაკარგული, უძირო უფსკრულში: „გვეჯეს ქორწილში ვყოფილვარ დაპატიჟებული... „ის“ შეურთავს!..“

ქარხანაში დაბრუნებულისათვის თავზე ხელი არ გადაუსვამთ.

— ა, დაიწყე? დეზერტირობა დაიწყე?

— აჩიგვარაში არ გაიარე, ბიჭო, აჩიგვარაში?

მოიხედა — რუსი ამხანაგი. ნაცნობი სახე. გული მოეცა.

— აჩიგვარაში რა მინდოდა, დედა ვნახე ლესიჭინეში.

— ა, ვიცი ლესიჭინეც. დაჯექი.

კარგია ახლა ამასთან გამოსაუბრება — საიდან, როგორ... რუსი კაცი, და ჩვენი კუთხის ასე კარგად მცნობი... მაგრამ ახლა იგი სამსჯავროს წინაშე იდგა.

— დაჯექი-მეთქი ჩემთან. მომეცით მე ეს ბიჭი საამქროში. იმუშავებს ჩამტეხად.

„სად არ წავალ ახლა, ოღონდ ასე მრისხანედ ნუ მიყურებენ...“

— ეს რუსთავიდან მოიკითხეს. რუსთავის კადრია, ხომ?

— არსად არ ვუშვებ. რუსთავი და „ერზე“ ერთ საქმეს აკეთებენ. — და რუსმა ამხანაგმა მკლავი მხარზე გადასდო. — ხომ იმუშავებ ჩამტეხად? მაგრამ ეს მრანდავობა არ გეგონოს, არც ხარატობა. საქმე ცოტა რთული და მძიმეა...

გადარჩა მიშა. წაიყვანა ორთქლმავალამწყობ საამქროში იმ რუსმა ამხანაგმა, ქართულად კარგად მოლაპარაკემ, შემდეგ როგორც გამოირკვა, თავის პატარა ბიჭობაში აჩიგვარაში მომუშავემ.

ეს იყო პეტია მატუხოვი.

უკვე „შორეულ წარსულად“ ითვლებოდა მიშასათვის ის განვლილი წლები. ახლა მრავალ სიძნელეგამოვლილი, დავაჟ-

კაცებული, ქარხნის კოლექტივის სიყვარულით გულგამთბარი, ზის იგი თავის სამუშაო ოთახში, „მუშურ“ მაგიდასთან და კრებას ატარებს... პარტიულ კრებას. მაგიდის ძგიდესთან ზის პეტია მატუხოვი, უკვე საამქროს უფროსი. საჭირბოროტო საწარმოო საკითხებს წყვეტენ საამქროს უფროსი მატუხოვი და საამქროს პარტიული ბიუროს მდივანი სიჭინავა თავიანთ კომუნისტებთან ერთად.

სასიხარულო დღეები ჰქონდა მიშას, განსაკუთრებით სასიხარულო. დედას საჩუქრები გამოუგზავნია მისთვის სოფლიდან, არა ძველ ქოხში, არამედ ორსართულიან ახალ სახლში მცხოვრებს, თითქოს გაახალგაზრდავებულს და ხელახლა დაბადებულს. სოხუმიდან ენტომოლოგი ძმა — შოთა სწერდა, როგორ იზეიმეს სოხუმში მაისი, გათხოვილ დას — ხოთოს თავისი მეხუთე შვილის ფუნჩულა ხელები შემოუხაზავს ძმისადმი მოკითხვის წერილში და ქვევით მიუწერია: „გამარჯობა, მიშა ბიძია!“

თითქოს წინასწარ შეთანხმებულიყვნენ, აგერ ჯარისკაცი ძმის — ვაჟას წერილიც სამხედრო ნაწილიდან. შიგ გაზეთი დევს — არმიული გაზეთი. ერთი პატარა წერილია შემოხაზული, მასში ვაჟას ქება წერია. საინტერესოა არმიული გაზეთი. ეს რა არის? ეს ვინ მოუხმობს ფრონტელ მეგობარს? მოდი წავიკითხო:

„ფ რ ო ნ ტ ე ლ მ ე გ ო ბ ა რ ს. სმოლენსკის მიმართულებით, ვარშავის გზატკეცილის მისადგომებთან თავდაცვის ხაზი გვეჭირა. გვაწვიმდა ციდან. მაგრამ იყო კიდევ სხვაგვარი წვიმა — რკინისა და ლითონის წვიმა, რკინისა და ლითონის ნიაღვარი. ასე იცის საბრძოლო ვითარებამ, ახალი შევსების მოლოდინში დაკავებულმა პოზიციამ.

ისედაც მომხდარა იმ მძიმე დღეებში, მოგებული ბრძოლების შემდეგ, ახალი შეტევისათვის მზადების დღეებში, რომ ერთი ჯარისკაცი ორი საცეცხლე წერტილიდან უშენდა მტერს — რიგრიგობით ხან ერთი ტყვიამფრქვევიდან, ხან მეორედან, რომ მტრისათვის იმაზე მეტი ძალა გვეჩვენებინა ვიდრე წარმოვადგენდით. სანგრებში ძილიც რიგრიგობით

გვქონდა — შუალამემდე ერთი იძინებდა, შუალამის შემდეგ— შეორე. მაგრამ ძილი იყო კი იმისა, ვისაც „ეძინა“?

ასეთი ძილღვიძილობის დროს მე მუდამ მახლდა შვილი — ჩემი პატარა შვილი. სიფხიზლეშიც ჩემთან იყო იგი, მაგრამ თვალს როგორც მოვხუჭავდი, ბურანში როგორც წავიდოდი, ის გამომეცხადებოდა ისეთი, როგორიც შინ დავტოვე. მესმოდა მისი ტიტინი, მესმოდა მისი ხმა, ვხედავდი ცხადად, და იცით როგორ? —იგი თითქოს მშველოდა — ვაზნებს მაწვდიდა, ტყვიამფრქვევის დისკოებს მივსებდა... ვეხვეწებოდი, ვემუდარებოდი გახოხებულიყო თავშესაფარში, წასულიყო შორს, ვარწმუნებდი, რომ აქ არ არის მისი ადგილი, მაგრამ შვილი მაინც არ მცილდებოდა და მესმოდა მისი ტიტინი: „მამა, დისკო შეგივსო?“, „მამილო, მასრები ავკრიფო?...“

ჩემი პაწია შვილი ჩემთან იყო, ომში მონაწილეობდა, დიახ, მონაწილეობდა, რადგან იგი ჩემი სულის ნაწილი, ჩემი სისხლი და ხორცი იყო. იგი წინ მეძახოდა, მისი მოგონება, მისი წარმოდგენა ძალას მმატებდა —იგი ხომ ჩემგან განუყოფელი იყო.

მე ვფიქრობ, ასე იყო ყველა მამა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, ასე განიცდიდა, ასე გრძნობდა, ასე მიისწრაფოდა წინ.

ჩემი თაობის ძმობილო, მამა რომ გქვია, ჩემო ფრონტელო მეგობარო და თანამოიარაღევ! იქნებ შენი შვილიც — მაშინ ჩემსავით, რკინისა და ლითონის ნიაღვრების ქვეშ თუ სანგრებში, შეტევაზე თუ დაზვერვაში რომ გელანდებოდა და თან გახლდა განუყრელად, აი ის შვილიც, ისევე როგორც ჩემი შვილი. დღეს ჯარისკაცია! ჩვენ შეგვცვალეს მათ.

დგანან შვილები სამშობლოს სადარაჯოზე და მათ ვაგონდებით ახლა ჩვენ — მამები, და გრძნობენ, რომ სულიერად მათთან ვართ,—განუყრელად, განუყოფელად. უპყრიათ წმიდათაწმიდა დროშა — მრავალ ბრძოლაგამოვლილი, ცეცხლში გამოტარებული დროშა და იცავენ მის ღირსებას, სწავლობენ საბრძოლო ტექნიკის მატერიალურ ნაწილს, დგანან საგუ-

შაგოზე და ასრულებენ განაწესს თუ ტაქტიკურ მეცადინეობაზე წინ მიისწრაფიან იარაღით ხელში, — მათ ჩვენ თან ვახლავართ, მათს ფიქრსა და გონებაში ვართ ისევე, როგორც ისინი იყვნენ ჩვენი სულის ნაწილნი იმ მკაცრ დღეებში.

ხომ ამაყობ, ფრონტელო მეგობარო, რომ შენი შვილი იმასვე ემსახურება იარაღით ხელში, რასაც შენ და მე ვემსახურებოდით იმ ქარცეცხლიან და რკინისნიაღვრიან წლებში?!

ვინ იცის, იქნებ ისინი ერთად არიან ახლა ამ მაისის დღეებში და გვიგონებენ ჩვენ— მამებს, ფიქრობენ ჩვენზე ცალცალკე თვითეული, შენზე—შენი შვილი, ჩემზე — ჩემი. ჩვენც ხომ ვფიქრობთ ერთმანეთზე, ხომ ვიგონებთ იმ მკაცრი ომის მაისებს, ბრძოლაში შემოთენებულ მაისის დღეებს? და რა იციან მათ, ჩვენმა შვილებმა, რომ ჩვენც — მე და შენ— ისეთივე განუყრელი მეგობრები ვიყავით, როგორიც ისინი არიან.

მე ვთხოვე ჩემს შვილს — მომწეროს მისი ამხანაგის გვარი, მომწეროს — რა ჰქვია მისი თანამოიარაღის მამას. იქნებ გიპოვო ასე, ფრონტელო მეგობარო, იქნებ შენ ხარ ის— მისი მამა, ჩემი შვილის ამხანაგის მამა, ჩემს გვერდით რომ იბრძოდი მაშინ ტყვიების წვიმის ქვეშ, სმოლენსკისა თუ რიგის მისადგომებთან, როცა მე ჩემი შვილის სახე არ მცილდებოდა, როცა ჩემი შვილი ასე ცხადად მელანდებოდა და მეტიტინებოდა.

მე ვთხოვე ჩემს შვილს — ჰკითხოს ამხანაგებს — სად უბრძოლიათ მათს მამებს, სად არიან ისინი ახლა.

გიპოვნი შენ თუ ვერა, მაინც მონახული მყავხარ, ჩემო ფრონტელო მეგობარო! — ჩვენ ერთმანეთი გვაპოვნინეს ჩვენმა შვილებმა — უკვე ჯარისკაცმა შვილებმა, ჩვენ გვაპოვნინეს ერთმანეთი ხარაჩოებმა, გმირული შრომისა და შენების ხარაჩოებმა, ჩვენ გვაპოვნინეს ერთმანეთი დაზგებმა და მაღაროებმა, მარტენის ღუმელებმა და საკოლმეურნეო მინდვრებმა, სამეცნიერო ლაბორატორიებმა და შემოქმედებითმა ფიქრებმა.

მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის მეთორმეტე ცხრა

მაისს — გამარჯვების დღეს გილოცავ, ფრონტელო მეგობარო! მისწერე შენს შვილს, რომ მე ვარ მისი თანამოიარაღის, მეგობრის მამა, და რომ მას ჩემს შვილთან ერთად ვულოცავ გამარჯვების მეთორმეტე ცხრა მაისს“...

გაზეთისათვის ხელი არ გაუშვია. ღრმა ფიქრებმა გაიტაცეს: შრომა, ბრძოლა, სიხარული... ასეთია საბჭოთა ადამიანის გზა! — ჩაიბუტბუტა თავისთვის.

ტელეფონის ზარმა გამოიყვანა ბურუსიდან.

მას პარტიის რაიკომში იხმობდნენ თათბირზე. თათბირი ეძღვნებოდა დიდი ოქტომბრისათვის მზადებას, ოქტომბრისათვის, რომელმაც მილიონობით მიშას მსგავსი უბრალო ადამიანი დააყენა ცხოვრების ნათელ გზაზე.

მიდიოდა რაიკომში და მიჰქონდა თავისი საამქროს კოლექტივის საამაყო მაჩვენებელი — საამქრომ ხომ გეგმის გადამეტებით სამი ორთქლმავალი შეაკეთა ოთხ თვეში და ჩიხიდან სამშობლოს სარკინიგზო არტერიის დიდ გზაზე გამოიყვანა!

...მაგრამ ეს მაინც ცოტაა — ცხოვრების დიდი წიგნის გვერდები კიდევ წინ არის გადასაფურცლავად...

მაისი, 1957.



ძეგლი დნეპრზე

ნისლით ჩამობურული, სევდის მომგვრელი ლონდონიდან რუსეთში მოემგზავრებოდა ინგლისელი რომანისტი ჰერბერტ უელსი, რომ საკუთარი თვალით ენახა ახალი სამყარო, ესაუბრა ტიტანთან — ლენინთან, ამ სამყაროს რომ უდგა სათავეში, დაეწერა წიგნი.

ამ ახალ სამყაროს კი უტევდნენ ყოველი მხრიდან. გიზგიზებდა სამოქალაქო ომის ცეცხლი წყნარი ოკეანიდან ბალტიის ზღვამდე, ჩრდილოეთიდან შავ ზღვამდე.

ჭაღარა კრემლის კედლებთან დაიბერტყა არც ისე კომფორტაბელურად ნამგზავრმა ინგლისელმა ჯენტლმენმა მოგიზგიზე სამოქალაქო ომის ქარბუქის „თოვლის ნამქერი“, კრემლის კედლებთან, რომელიც სტუმრის გასაკვირად იდგა თავის ძლევამოსილ სიმშვიდეში როგორც კლდე — არწივის საბუდარი.

აი არწივიც.

კარი გაიღო, ბევრისათვის ნაცნობი, საყვარელი, ერთი ისტორიული, პატარა სამუშაო ოთახის კარი. ოთახის შუაგულში დგას სტუმრის მომლოდინე, საშუალოზე დაბალი ტანის, ჩასკვნილი, შუახნის მელოტი კაცი, კაცი მომღიმარი სახით, დიდი ნათელი შუბლით. რა დამშვიდებულია! თითქოს ომი კი არა, სრული მყუდროება სუფევდეს ქვეყნად!

და იმართება მათ შორის უკვე მრავალთათვის ნაცნობი საუბარი.

ეს იყო საუბარი ორ სამყაროს შორის.

ინგლისელ ჯენტლმენს არაფერი გაეგება, არაფერი სწამს, რაც ამ „პატარა“, სიცოცხლით სავსე, მოძრავი კაცისაგან

ესმის. უელსმა ხომ გამოვლო გზა ომით დანგრეულ ქალაქებსა და გადაბუგულ სოფლებზე. აქ კი ელაპარაკებიან მომავლის დიად პერსპექტივებზე, სახალხო მეურნეობის აღდგენაზე, აყვავებაზე, ბედნიერი ცხოვრების დამყარებაზე. მას ელაპარაკებიან ქვეყნის მომავალ ელექტროფიკაციაზე, ქვეყნისა, სადაც ნავთი, ასანთიც სანატრელია. ცინიზმითა და ირონიით ევსება თვალები უცხოელს. ჰმ, ელექტროფიკაცია!...

წარმოსადეგი, ერთი თვალის მოკვრითაც იოლად გამოსაცნობი უცხოელი ურწმუნობის გამომხატველი სახით, ირონიით აღსავსე ოდნავ მოჭუტული თვალებით, უიმედოდ ხელჩაქნეული ქვეყანაზე, რომელსაც ეწვია, ქვეყანაზე, რომელიც, მისი განსჯით, განწირულია დასაღუპავად... მის პირდაპირ ზის გენიოსი, ისიც მომღიმარი, აგრეთვე ოდნავ მოჭუტული, მაგრამ რწმენითა და ოპტიმიზმით აღსავსე კეთილი, შორსმჭვრეტელი თვალებით.

— არა! გწამთ? ჩამოდით ათი წლის შემდეგ, და თქვენ დაინახავთ, რასაც გავაკეთებთ, — ამ სიტყვებით გააცილა ინგლისელი რომანისტი ვ. ი. ლენინმა, კეთილმა და სტუმართმოყვარემ.

ბრუნდება სამშობლოში უელსი, მიაქვს რწმენა იმ ქვეყნის გარდუვალი დაღუპვისა, რომელსაც ეწვია, ჯდება სტუმრისათვის განკუთვნილ, იმ პირობებისათვის კარგად მოწყობილ ვაგონში. ფანჯრიდან ურწმუნო თვალებით იმზირება, ჰაერში ქუდის ქნევით ემშვიდობება რუსეთს: „მშვიდობით, რუსეთო!“.

რუსეთის სურათი კი, იმ დროის გაპარტახებული, ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეული რუსეთის მუქი სურათი გონებას უბნედს, „განა შეიძლება ფეხზე წამოდგეს ასე მძიმედ მიწას დანარცხებული ქვეყანა?“ — ფიქრობს ოგი გზად.

როცა შინდაბრუნებული უელსი წერდა წიგნს „რუსეთი წყვდიადში“, და ეძებდა მუქ საღებავებს ამ წყვდიადის დასახატავად, როცა სამოქალაქო ომი განაგრძობდა მძვინვარე-

ბას რუსეთის ტრამალებზე და ხან ერთ, ხან მეორე ადგილას თეთრგვარდიელი გენერლები ტყვიამფრქვევების კაკანსა და ქვემეხების ქუხილში თავს ხელისუფლად აცხადებდნენ, როცა მუშები „გადადიოდნენ“ ახალ „პროფესიაზე“ — უნავთო და უნახშირო ქვეყანაში კაჟ-საკვესი ეკეთებინათ, და გლეხი იძულებული იყო სათესლე ხორბალი დაეფქვა ოჯახისათვის, როცა გერმანელ ოკუპანტთა ზარბაზნების ლულები მოშვერილი იყო უკრაინისაკენ და მდინარე დნეპრზე ცისარტყელებად იყო გადებული ამ ქვემეხთა ცეცხლის ალი, — მოსკოვში, დიდ თეატრში, საბჭოების მერვე ყრილობის ტრიბუნიდან, ხალხის სამი ათასამდე წარმომადგენლის წინაშე ისმოდა ლენინის სიტყვები:

— ...ჩემი შეხედულებით, ეს არის ჩვენი მეორე პროგრამა პარტიისა... ელექტროფიკაციის გეგმის უქონლად ჩვენ არ შეგვიძლია ნამდვილ მშენებლობაზე გადასვლა... ის ჩვენ გვესაჭიროება როგორც პირველი მონასახი, რომელიც მთელი რუსეთის წინაშე აღიმართება როგორც დიადი სამეურნეო გეგმა, ნავარაუდევი სულ ცოტა ათი წლისათვის, გეგმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ გადავიყვანოთ რუსეთი კომუნიზმისათვის აუცილებელ ნამდვილ სამეურნეო ბაზაზე... კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია...

ლოჟებში უცხოელი კორესპონდენტების ბლოკნოტების შარიშური ისმოდა. გაფაციცებით იწერდნენ ირონიით აღსავსე სტრიქონებს — კომენტარებს. ჰმ, ელექტროფიკაცია რუსეთში!

შემდეგ ტრიბუნაზე მშვიდად ადის სპეტაკი მოხუცი — ლენინის ინიციატივით შექმნილი რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე გლებ კრჟიჟანოვსკი და ყრილობას აცნობს „გოელრო“-ს გეგმას.

ნუთუ სრულ ჭკუაზეა ეს მოხუცი? — ოცი ორთქლის ელექტროსადგური მილიონზე მეტი კილოვატი სიმძლავრით და ათი ჰიდროელექტროსადგური 640.000 კილოვატი სიმძ-

ლავრით! — და ეს ყველაფერი ქვეყანაში, სადაც ნავთიც იშვიათობაა!...

— საქმეს, რომლისაც არა სჯეროდათ უცხოელებს და თვით ქვეყნის შიგნით ბევრ ობივატელს, ხელი მოჰკიდეს ბოლშევიკებმა — მგზნებარე ტემპერამენტის ადამიანებმა. ბოლშევიკებისათვის კი ხომ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება მათ არ შეეძლოთ.

ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური იდეის ხორცშესხმას ხელი მოჰკიდა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

აღსდგა ხალხი დასახული მიზნის განსახორციელებლად. ეს იყო დევგმირული შემართება. ესენი ის გუშინდელი დაბეჩავებული რუსი გლეხები იყვნენ, რომელთა ხილვამ უელსს იმედი დაუკარგა რუსეთის მომავალზე, ესენი ის დემობილიზებული ომგადახდილი ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც იმ მატარებლის სახურავზე ძვრებოდნენ, რომლითაც უელსი მგზავრობდა, ესენი ის მუშები იყვნენ, რომლებიც ბოლოს კაჟ-საკვესებს აკეთებდნენ უნავთო და უსინათლო ქვეყანაში.

უკრაინას ახალი მოშუშებული ჰქონდა ომის ჭრილობები, ახალი მიწყნარებული იყო ქვემეხთა გუგუნი დნეპრზე, ჯერ კიდევ დავიწყებული არა ჰქონდათ ადამიანებს საშინელი სურათი კიჩკასის კილომეტრიანი ხიდის და ორი ეშელონის აფეთქებისა სამოქალაქო ომში. რომ სწორედ ამ კიჩკასისაკენ დაიძრა ხალხი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. ომის ქუხილი მშენებლობის გუგუნმა შეცვალა. მეორდებოდა ვრგვინვა, მაგრამ არა ქვემეხებისა, არამედ სამშენებლო აფეთქებათა — საძირკველი ეყრებოდა დნეპრჰესს და ხორცი ესხმებოდა ლენინის იდეას. მოაწყდა კიჩკასს — დნეპრის ნაპირებს ექსკავატორების, ორთქლმავლების, იმდროინდელი სამშენებლო ტექნიკის ფოლადის არმია. მოვიდა აქ ასობით ათასი კაცი. იყო მომენტი, როცა დღეში ოცი-ოცდაათი ათასი კაცდღე იხარჯებოდა მშენებლობაზე. გადაღობილი მდინარის ორ ზღუდარს შუა საშინელ სიღრმეში ადამიანები ანგრევდნენ კლდეებს, ჭორომებს, ეზიდებოდნენ გრანიტს, ებრძოდნენ ზღუდარებში შემოჭრილი წყლის სტიქიას. ორი გოლიათი

მოწინააღმდეგე ეომებოდა ერთმანეთს — ადამიანები და დნეპრი, რომელიც წამში სამ ათას კუბმეტრ წყლის მასას მიაქანებდა. იმ დროისათვის „გოელრო“-ს რუკაზე ზედიზედ ენთებოდნენ წითელი ნათურები როგორც საომარ რუკაზე ციხე-სიმაგრეთა აღებისას. მწყობრში ჩადგნენ ვოლხოვჰესი და ზაჰესი, შატურისა და კაშირის თბოელექტროსადგურები, ნიგრესი და ურალის ელსადგურები. ისინი რუკაზე ენთებოდნენ რევოლუციის განხორციელებული ფანტაზიის წითელ შუქნიშნებად და ფოლადის ელექტროანძები ზღაპრული ნაბიჯებით უტევდნენ ქვეყნის სიბნელეს.

ახლა რიგში იდგა დაუდეგარი, წყალუხვი, ფაფარაყრილი დნეპრის დამორჩილება, რათა მას ედინა არა სტიქიის ყარნახით, არამედ ადამიანის ნებით, და ფოლადის მძლავრ ძარღვებში ედინა ქვეყნად ელექტროენერგიად ქცეულს. გუშინ რუსეთი ებრძოდა ინტერვენციის მკაცრ საომარ მანქანას, ახლა კი სტიქიას ეომებოდა და ძნელი იყო გარჩევა რომელი მოწინააღმდეგე უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. დნეპრის ზვირთები არ თმობდა თავისი სტიქიის ძალას, მისი ციცაბო ნაპირები და მრისხანე ჭორომები მიუვალ ციხე-სიმაგრეებად იდგნენ ადამიანის ძალის წინაშე.

მაგრამ გატყდა დნეპრის წინააღმდეგობა. ხალხის ხუთი წლის დეევგმირული შემართებით კილომეტრიან, მილიონამდე კუბმეტრ ბეტონის მოცულობის კაშხალებში ჩაიჭედა მისი ზვირთები და შეიცვალა დნეპრის თვითნებური საუკუნოვანი დინება. ტექნიკით შეიარაღებულმა ადამიანებმა დნეპრს გრანიტის ღრძილებში ჩაუსვეს ბეტონის კბილები, რომ მოწოლილი უხვი წყალი ტურბინებში გადაეღეჭნა ელექტროენერგიად.

თხუთმეტი ტონა ქაღალდია დახარჯული დნეპრის დამორჩილების ყოველგვარი პროექტებისათვის პეტრე I-დან დაწყებული უკანასკნელი ნიკოლოზით გათავებული, მაგრამ შედეგს ვერავინ მიაღწია.

დნეპრი მხოლოდ დიდი ოქტომბრის ძალამ დაიმორჩილა და დაიძრა დნეპრის დენი მარჯვენა ნაპირიდან მარცხე-

ნისაკენ. აქ, მარცხენა ნაპირზე, ამ დენს იღებენ დნეპრჰესის პარალელურად აგებული ინდუსტრიული გიგანტები: „ზაპოროჟსტალი“, ალუმინის და სატრანსფორმატორო, ფეროშენადნობთა და კოქს-ქიმიური, ლითონის ნაკეთობათა და ელექტროდური ქარხნები, გარდაქმნილი, სახეშეცვლილი კი არა, ახლად დაბადებული გოლიათი ქალაქი ზაპოროჟიე — უწინდელი პროვინცია ალექსანდროვსკი.

ელექტრონაპერწკლებად ქცეული წყალუხვი დნეპრი მის მარჯვენა მხარეს იძლევა ქვეყნისათვის თუჯსა და ფოლადს, ნაგლინსა და ალუმინს, ფეროშენადნობებს და კოქსს, მინერალურ სასუქებსა და ლითონის ნაკეთობებს, კაბელებსა და ლითონის ბადურებს, შამოტურ და ქრომმაგნეზიტურ ნაწარმებს, ელექტროკორუნდსა და სხვა სალშენადნობებს, ელექტროდებს, ყოველივე იმას, რაც ჩვენი ქვეყნის თანამედროვე მძიმე მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის ტექნიკურ ბაზას ქმნის. პროლეტარიატმა, მისმა პარტიამ, ლენინის იდეით შეიარაღებულმა, აიძულა ჭაღარა დნეპრი ელექტროცეცხლად ედინა ფოლადის სადენებში არა მარტო დნეპრჰესის რაიონში, ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ინდუსტრიულ ქალაქ ზაპოროჟიეში. დნეპრის ელექტროენერგია მიედინება ჩრდილოეთით დნეპროპეტროვსკის, დასავლეთით კრივოი როგის მეტალურგიული გიგანტებისაკენ, სამხრეთით — ნიკოპოლის მარგანეცისაკენ, აღმოსავლეთით — ჩვენი ქვეყნის უმძლავრესი საქვანახშირო აუზის — დონბასისაკენ...

ეს როდი აკმარეს ბოლშევიკებმა დნეპრს — იგი, ეს ორიათას კილომეტრიანი მდინარე სანაოსნოდ აქციეს შავი ზღვიდან მის სათავემდე. მოთვინიერებული დნეპრი ახლა უკვე ჰიდროელექტროსადგურთან სტუმართმოყვრულად უხსნის რაბს გემებს...

დნეპრის ელექტროენერგია იქცა ტრაქტორებად და კომბაინებად, და ასე ფოლადად და ლითონად ქცეული მოედო თვალუწვდენ საკოლმეურნეო მინდვრებს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დოვლათი დაახვავოს.

„დნეპრჰესს ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში“, — ამბობდნენ გერმანელი სპეციალისტები;

„ჩვენ ვნახეთ ყველაზე საუკეთესო ძეგლი, რომელიც ღირსია უკვდავჰყოს ლენინის სახელი“, — წერდნენ ამერიკელები;

„მავზოლეუმში რომ ვიყავი, მე ვნახე ლენინი, დიადი თავის განსვენების სიმშვიდეში. თქვენს ელექტროსადგურში მე ვგრძნობდი მას ცოცხალს, როგორც არასოდეს... მე როგორღაც მინდოდა გადავხვევოდი უცნობ ჯარისკაცს — წითელი არმიის გმირს, რომელმაც, გასწირა რა სიცოცხლე, გადაარჩინა კაშხალი აფეთქებას, მომზადებულს ნაცისტი მხეცების მიერ...“

იტალიელი კომუნისტის ვინჩენცო ცუკკის ამ ჩანაწერმა მოგვაგონა ერთი ამბავი:

...ჩვენი ჯარების სასტიკი დარტყმების შედეგად უკანდახევის წინ ფაშისტებმა მოამზადეს დნეპრჰესის კაშხალის აფეთქებაც, ჩააწყეს კიდეც ფეთქებადი მასალები და გაიყვანეს სადენები.

ეს იყო ორმოცდასამის ოქტომბერში. აფეთქება, გერმანელთა გასაოცრად, არ მოხდა...

როცა საბჭოთა ჯარის ნაწილებმა უკუაქციეს მტერი და გადიოდნენ კაშხალზე, მარცხენა ნაპირას ბეტონზე განრთხმული უცნობი საბჭოთა ჯარისკაცის ცხედარი ნახეს. უცნობ ჯარისკაცს ცალ ხელში მაკრატელი ჩაებღუჯა, მეორეში სადენების ხლართი. იწვა, თითქოს ამაყად გასცქეროდა მოლივლივე დნეპრს, გადარჩენილ კაშხალს.

ახლა ეს უცნობი ჯარისკაცი მარხია დნეპრჰესის — დიდიხანია აღდგენილი და ომამდელზე მეტი სიმძლავრით მწყობრში ჩამდგარი დნეპრჰესის ვრცელ ეზო-ბაღნარში. ფერად-ფერად ვარდყვავილებსა და მარადმწვანე ბუჩქებში ჩაფლულ საფლავს ამშვენებს ობელისკი, რომელსაც თავზე დაფნის გვირგვინშემოხვეული ხუთქიმიანი ვარსკვლავი აქვს ამოკვეთილი. ობელისკზე აწერია: „სამარადისო დიდება გმირს. 1941—1945 წწ.“.

არ ვიცი ვინ არის იგი. არც არავინ იცის. იქნებ რუსია ან უკრაინელი, უზბეკი ან სომეხი, აზერბაიჯანელი ან ყაზახი. მერატომღაც ქართველად ვთვლი. და მინდა ვუთხრა შინმოუსვლელი ქართველის დედას — შენი გმირი შვილი დნეპრჰესის კედლებთან წევს, ბაღში-მეთქი...

დნეპრჰესი ჩვენი ქვეყნის პირველი ელექტროფიკატორის — ლენინის დიადი ძეგლია, ხოლო ობელისკი უცნობი ჯარისკაცის საფლავზე სიმბოლოა ხალხის სიყვარულისა და თავდადებისა ლენინის საქმისადმი.

ავგისტო, 1957.
ზაპოროჟიე — თბილისი.



სიყვარულის ხიდი

დნეპრჰესის პარტიული ბიუროს მდივანი დანიელ ზაქარიას-ძე შევეიკო მრავალრიცხოვან სტუმრებს და ექსკურსანტებს სოციალისტური ქვეყნის ამ უდიდეს ნაგებობას რომ აცნობს, იგი მსახიობი გეგონებათ, რომელიც სცენიდან მომხიბლავ მონოლოგს კითხულობს. იგი მაშინ პოეტია და არა მთხრობელი. მისი ნაამბობი თეთრი ლექსია, თქმული საბჭოთა ადამიანების შრომისა და გმირული შემართების საარაკო პათოსზე. მშვიდი, დუნე ტონით მას არც შეუძლია ილაპარაკოს დნეპრჰესზე, როგორც ადამიანს, რომელიც გიყვებათ თავისი ცხოვრების ყველაზე მღელვარე და დაუვიწყარ პერიოდზე.

ოცი წლის ჭაბუკი მოვიდა აქ, წყლის სტიქიასთან, კლდეფრიალოებთან და ჭორომებთან ლაღუმებით მებრძოლთა რიგებში ჩადგა, კაშხალს ათასებთან ერთად ბეტონის საძირკველს უყრიდა, ელექტროსადგურს აშენებდა; აქ გახდა იგი სპეციალისტი — ელექტროტექნიკოსი, აქ დავაჟკაცდა, მოწმე და მონაწილე ყოფილა დნეპრჰესის პირველი დენის გაშვებისა, აქვე მუშაობდა ჰესის ამუშავებიდან მთელ ცხრა წელიწადს, სანამ ჰიტლერული გერმანია თავს დაგვესხმოდა.

ომში დნეპრჰესის მისადგომებს იცავდა. არაერთხელ დაჭრილა, არაერთი საბრძოლო ორდენი და მედალი მიუღია სამამულო ომის გმირ ოფიცერს. ომის შემდეგ მშობლიურ ჰესს მიაშურა, მის აღდგენაში მონაწილეობა მიიღო... მთელი მისი ბიოგრაფია დნეპრჰესთან არის დაკავშირებული.

ცხადია, მშვიდი ტონით არ შეუძლია მას ილაპარაკოს თავისი ბიოგრაფიის მღელვარე ფურცლებზე.

— აი აქ, სადაც ახლა ჩვენ ვდგავართ, — ამბობს დანილო, — კაშხალის აი ამ ადგილას, ერთი ფრიალო იყო. მასზე მეც ავსულვარ სიჭაბუკეში, ნავით მოვცურებულვარ. ამ ფრიალოზე მდგომს მომზღვავებია ფიქრები ჩემი ქვეყნის წარსულზე. ჩემს ქვევით დნეპრი რომ ზვირთებს მიაქანებდა, მეგონა — ეს უკრაინის ისტორიის დიდი გრაგნილის გვერდები იფურცლებოდა... აი აქ იყო ის ფრიალო, აი ამის ქვეშ, — მან, ჩემს გვერდით კაშხალის ხიდზე მდგომმა, მარჯვენა ფეხი ორ-სამჯერ დაჰკრა ასფალტს. — ახლა წინ გაიხედე, ის ხორტიცას კუნძულია. ზაპოროჟსკაია სეჩი გაგეგონება ისტორიიდან, გოგოლმა უკვდავჰყო ეს ისტორია „ტარას ბულბათი“. და აი ზაპოროჟსკაია სეჩის დროს, როცა ხორტიცაზე ბანაკობდნენ კაზაკები, იყო ასეთი წესი: არც ერთ ქალს არ შეეძლო ფეხი დაედგა ამ კუნძულზე — უფლება არა ჰქონდა. მაშინ მოხერხებული ახალგაზრდა ზაპოროჟიელები, ძველი ადათი რომ არ დაერღვიათ, თავიანთი ნავებით მოცურდებოდნენ ოდესღაც ჩვენს ქვევით აღმართულ ფრიალოსთან და აქ ქალიშვილებს პაემანს უნიშნავდნენ. შემდეგში ამ ფრიალომ მიიღო სახელწოდება — „სიყვარულის ფრიალო“. როცა ჰესს ვაშენებდით და კაშხალის ერთი ნაწილი ამ ფრიალოს ნანგრევებზე უნდა აღგვემართა, როცა ფრიალოს ვანგრევდით ლაღუმებით, მე მუდამ თვალწინ მედგა მისი ეს საგულისხმო ისტორია. თითქოს ვნანობდი კიდეც ამ ლამაზი სახელის წაშლას, მაგრამ წაიშალა კი? — „სიყვარულის ფრიალომ“ ადგილი დაუთმო „სიყვარულისა და მეგობრობის ხიდს“, აი ამ ხიდს, რომელზეც ამ წუთში ჩვენ ვდგავართ — შენ ქართველი, მე — უკრაინელი, ეს — რუსი ამხანაგი...

ეს რუსი ამხანაგი ვასილ ვასილის-ძე მოროზოვი იყო, დნეპრჰესის დირექტორის მოადგილე, დნეპრჰესის ისტორიასთან დაკავშირებული ისეთივე ბიოგრაფიის მქონე, როგორიც დანილოს აქვს.

— შენ პოეტი ხარ, დანილო, სულით პოეტი, ღმერთმანი. მე კი ახლა „პროზამდე“ დაგიყვანთ... თქვენთან შეხვედრამ, — მომმართა მერე მე ვასილ ვასილიჩმა, ხმელ-ხმელმა, ძვე-

ლი სპორტსმენივით მოქნილმა და მოძრავმა შუახნის კაცმა, ქერათმააქოჩრილმა, კეთილად მოღიმარმა, — ერთი ამბავი მომაგონა, რომელსაც ვერც დავივიწყებ ვერასოდეს. ჩემთან იყო ფრონტზე ორი ქართველი მეგობარი — აფციაური და წიკლაური, ორივენი ჩემს ნაწილში მიიღეს პარტიაში, ერთი მათგანი ორდენითაც დააჯილდოვეს დნეპრისათვის ბრძოლაში, დნეპრისათვის დაიჭრა იგი ჩემს გვერდით. „ვასია, — მეუბნება, — თქვენი დაშორება მენანება, თორემ ამ ჭრილობას როგორმე ავიტან!...“ დავშორდით და დავშორდით, მას შემდეგ აღარაფერი ვიცი მისი. მე ბერლინამდე მატარა ომის გზებმა, ბოლო ომის შემდეგ კვლავ მშობლიურ დნეპრჰესს მოვაშურე...

ვასია თვალებში ჩამცქერის — უნდა რამე გაიგოს ჩემგან თავის ქართველ მეგობრებზე. აბა რას ვეტყვი — რამდენი აფციაური და წიკლაური, რამდენი ქართველი იბრძოდა მის გვერდით. ვინ იცის, იქნებ ამ სტრიქონების წამკითხველთა შორის გამოჩნდნენ ვინმე ამ გვარისანი — რუსი მეგობრის ვასილ ვასილიჩის მცნობელნი...

ხიდი სიყვარულისა და მეგობრობისა! — ეს ხიდი ერებს შორის გასდო დიდმა რუსმა ხალხმა, და რუსეთის ბუნებამ თითქოს თვით დნეპრიც აქცია მძლავრ არტერიად ამ მეგობრული კავშირისათვის. ქალაქ ვიაზმის ჩრდილო-აღმოსავლეთით 75 კილომეტრზე მდებარე ვალდაის მაღლობიდან სათავეაღებული, იგი რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის ტერიტორიაზე გავლით ერთვის შავ ზღვას და ხალხებს აძმობილებს.

ხიდი სიყვარულისა და მეგობრობისა! — ზაპოროჟსკაიას სეჩის დროინდელი ეგრეთწოდებული „სიყვარულის ფრიალო“ მცირე „პლაცდარმი“ იყო დიდი გრძნობებისათვის, მის ადგილზე აღმართულმა დნეპრჰესმა წაშალა ეს მცირე „პლაცდარმი“, გაშალა, გააფართოვა და თვალუწვდენლად აქცია სიყვარულის, მეგობრობისა და თანამშრომლობის საასპარეზო სივრცე. რამდენი რამის მთქმელია თუნდაც დნეპრჰესის ბაზაზე აგებულ უკრაინულ მეტალურგიულ გიგანტთა მეგობ-

რული ურთიერთობა ქართულ მეტალურგიულ გიგანტებთან! ეგრეთწოდებული ძველი ზაპოროჟიედან — ყოფილი ალექსანდროვსკიდან მთელ 15 კილომეტრზე გაჭიმულ ლენინისა და საბჭოს პროსპექტებს რომ გაივლით, დნეპრის ნაპირებზე თქვენს თვალწინ გადაიშლება ინდუსტრიული ქალაქის დიდებული კორპუსებისა და ღუმელების, ხიდური ამწეებისა და მილგაყვანილობათა ტყე. გხიბლავთ და გაოცებთ — რა ძალამ ააგო ესენი! მძლავრი ინდუსტრიული მაჯისცემა გიგანტების ამ უბანში თითქოს თავბრუს გხვევთ, ღრუბლებს შეერთებული კვამლი, ათასი ბუმბერაზი მილიდან გორგოზით რომ ამოდის, ბღავილი ბარჟებისა და გემებისა, რომლებიც სერავენ დნეპრის სანაოსნო აუზს, — ყველაფერი ეს რაღაც გოლიათურის შთაბეჭდილებას ტოვებს და მძლავრ შრომითს პათოსს გაგრძნობინებს.

აი ერთ-ერთი გიგანტი ზაპოროჟიეში — ფეროშენადნობთა ქარხანა. იგი ქართველებისათვის ისევე მახლობელი და მშობლიურია, როგორც მსგავსი გიგანტი ჩვენი ზესტაფონისა, იქაც ყველასათვის ნაცნობი და მახლობელია ქართული ფეროშენადნობთა ქარხანა და მისი ადამიანები.

...ქარხნის სამმართველოში პირველი ოთახი პირველ სართულზე კომკავშირის კომიტეტის მდივნისა აღმოჩნდა. კარი ღია იყო. მეც შევედი. პირდაპირ, ფანჯარასთან მაგიდას უზის ქერათმიანი, ერთი თვალის შევლებითაც იოლად გამოსაცნობი, რომ იგი კომკავშირული მუშაკია, გარეგნობით სრულიად ახალგაზრდა... როგორც კი კართან დამინახა, წამოდგა და ისე გახარებული წამოვიდა ჩემკენ, რომ ვიფიქრე, ნამდვილად შეეშალა-მეთქი.

— როდის, როგორ, ასე მოულოდნელად!.. — მარჯვენა ხელს მართმევს, მარცხენას სიყვარულით წელზე მხვევს, — დაბრძანდით.

ნამდვილად ეშლება. არ ვიცი, როგორ გამოვიყვანო უხერხულობიდან. მე ვუთხარი ჩემი ვინაობა.

— აა, — შეიშმუშნა, — როცა ქართველს ვნახავ, მგონია

იგი ზესტაფონიდან არის, თითქოს მეცნობა-მეთქი. მე ხომ იქ მთელ ერთ წელიწადს ვიმუშავე.

— მოიცათ — მოიცათ... ლიოვა...

— სობინევსკი, — მომეშველა იგი სწრაფად.

— ელექტრომეტალურგი, ფეროშემდუღებელი... — ვამოწმებ ჩემს მეხსიერებას, — მე თქვენ კლუბში მინახავხართ იქ, ტრიბუნაზე, იქიდან მახსოვხართ, — ვეუბნები.

— მაინც ნაცნობნი აღმოვჩნდით, — მეუბნება, — როგორ არიან ბიჭები ნეტავ? მდივანი რას შვრება?

გამეხარდა ნაცნობი ქართული გვარის გაგონება ზაპოროჟიეში.

— ...კონსტანტინე მდივანი. მე მივწერე ამხანაგებს, რომ უკვე მესამე კურსზე გადავედი, მათ ეს აინტერესებთ. კიევში ვსწავლობ დაუსწრებელზე...

იგი ისე გატაცებულია ზესტაფონური მოგონებებით, რომ ავიწყდება — იქაური მკვიდრი არა ვარ. ცოტა რამ მაინც ვიცი მათზე.

— ო, კონსტანტინე მდივანი სახელმოხვეჭილი ვაჟკაცია, მე-12 ღუმელის მდნობელი ბრიგადირი.

— ვიცი. ჩვენს დემჩენკოს ეჯიბრება...

გავიცანი დემჩენკო, ზესტაფონელ მდივანთან შეჯიბრებული; გავიცანი მდნობელი ბრიგადირი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნიკიტა კრასნოკუტსკი, ზესტაფონელ მდნობელ ბრიგადირს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს სერგო ფერაძეს რომ ეჯიბრება.

— დიდი სირთულის წინაშე დამაყენა თქვენმა თანამემამულემ, — ხუმრობით მეუბნება ნიკიტა კრასნოკუტსკი, — დიდი ოქტომბრისათვის გეგმის ზევით 38 და წლის ბოლომდე კი 45 ტონა ფეროშენადნობთა გამოშვება იკისრა, და მე მიწვევს.

— არ ჩამორჩები, ქართველ მეგობართან სიტყვას არ გატეხ, — ჩაერია საუბარში პარტბიუროს მდივანი მეშკოვი.

— გრიგორი სემიონოვიჩ, — სიტყვას აწყვეტინებს ნიკიტა, — მან იმდენი ელექტროენერგიის დაზოგვა ივალდებუ-

ლა წელს, რამდენის გამოშვება ერთ პატარა სასოფლო ელ-სადგურსაც გაუჭირდება.

— მაშინ ვასიამ რაღა უნდა თქვას, ბელოუსოვმა. იგი ფე-რაძეზე ნაკლებ ბიჭთან არ არის შეჯიბრებული — ქართველ მდნობელ ბრიგადირ ივანე აბესაძესთან. ო, თქვენი პირველი საამქრო მართლაც შესანიშნავია, — მომმართავს შემდეგ მე გრიგორი სემიონოვიჩი. განსაკუთრებით მომეწონა მისი მეექ-ვსე ღუმელის მუშაობა. აბესაძე იქ პირველი ბრიგადის მდნო-ბელია.

სადაც კი ვიყავი ამ ქარხანაში, ვისაც კი გავეცანი, მაშინვე ზესტაფონზე, მდნობელებზე, ქართველ ნაცნობ მეტალურგებ-ზე ჩამომიგდებდნენ ლაპარაკს. ვასილ მეზენცევი თუ ნიკო-ლოზ გურა, ვასილ დიდენკო თუ პეტრე პრიიმაკი — ყველანი ჩემთან საუბრის წუთებში თითქოს ზესტაფონელ მეგობრებ-თან გრძნობდნენ თავს. სიხარულით და ინტერესით შემომეხ-ვეოდნენ გარს, ათასი შეკითხვით მავსებდნენ. მათში დიდი სი-ხარული გამოიწვია იმან, რომ ქალაქ ზესტაფონის ერთ-ერთ ქუჩას ზაპოროჟიეს — ამ სახელმოხვეჭილი მეტალურგების მშობლიური ქალაქის სახელი დაერქვა.

დიდი ძმური სიყვარულის გრძნობით მელაპარაკა პარტბი-უროს მდივანი გრიგოლ მეშკოვი თავის ზესტაფონელ ძველ მე-გობარზე ბადულა გამგებელზე. მეშკოვის მთელი ცხოვრება უმთავრესად ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის ისტო-რიასთან არის დაკავშირებული. იგი აქ 1932 წლიდან მუშაობს. ჭაბუკობიდან იწრთობოდა ფოლადივით. ბოლოს № 1 ღუმე-ლის მდნობელი ბრიგადირი იყო. მაშინ იგი ბადულას ეჯიბრე-ბოდა. ბადულა გამგებელი სწვევია აქ მეშკოვს, მეშკოვი ზეს-ტაფონში არაერთხელ ჩასულა თავის მეგობარ მეტალურგთან.

— ბევრი რამ ვისწავლეთ ზესტაფონელებისაგან, — მეუბ-ნება მეშკოვი. — ჯერ-ერთი, სილიკომარგანეცის მზადებაში ზესტაფონელები პიონერები არიან. ჩვენ იქ, მათთან, მოვამზა-

დეთ-ამ დარგში სპეციალისტები. განსაკუთრებით მისაბაძია მათთან სილიკომარგანეცის ჩამოსხმისა და კაზმის დოზირების საქმე, რაც მაღალ დონეზე აქვთ დაყენებული.

ზაპოროჟიეს ქარხანას ძველი გამოცდილი ინჟინერ-მეტალურგი ნიკოლოზ მიხეილის-ძე დეხანოვი ხელმძღვანელობს.

როცა მეშკოვი მის კაბინეტში შემიძღვა და კარებშივე მიაძახა, აი ერთი ქართველი გვეწვიაო, საქმეში ჩაფლული ტიპიური რუსი, კეთილშობილი კაცი, ქართული სტილით დაყენებული ულვაშებით, გადავარცხნილი აბრეშუმის მსგავსი შეჭაღარავებული თმით, გარს რომ ხალხი ეხვია, მაშინვე წამოიმართა, ღიმილით შემომეგება, ორივე ხელი ჩამომართვა და სიხარულით წამოიძახა:

— ზესტაფონი?!.. აგერ, აქეთ, ჩემს გვერდით, —მიმითითა მან სავარძელზე. ამბავი გამომკითხა, კარგა ხანს მესაუბრა, მერე გამოაღო უზარმაზარი მაგიდის უჯრა, ბევრი ქექვა არ დასჭირვებია — ამოიღო ქაღალდები და წინ დამიდო:

— აი რით უნდა შევხვდეთ მოახლოებულ დიდ ოქტომბერს ჩვენ და ჩვენი მეგობარი კოლეგები საქართველოდან.

ზაპოროჟიელთა და ზესტაფონელთა შორის მიმდინარე წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების მუხლები, ზესტაფონელებთან მიწერ-მოწერა გამაცნო.

— ჩვენი ქარხნის ცხოვრებაში დიდი სასიხარულო ამბავი მოხდა, — მეუბნება ნიკოლოზ მიხეილის-ძე, — ჭიათურასა და შორაპანს შორის ფართოლიანდაგიანი რკინიგზა ამუშავდა.

მე უცებ ვერ გავიგე, რას გულისხმობდა — ჭიათურა-შორაპნის ამბავს ეს უკრაინელი მეტალურგი თავის სისხლხორცეულ საქმედ რად თვლის. თითქოს ეს შემატყო და უცებ დაუმატა:

— ჩვენ ხომ ჭიათურის მარგანეცზე ვმუშაობთ, ჭიათურის მარგანეცს მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. ჭიათურა-შო-

რაპნის ახალი გზა იოლს ხდის ამ ძვირფასი ნედლეულის შეუ-ფერხებელ მიწოდებას ჩვენი გიგანტებისათვის.

...ზაპოროჟიელ მეტალურგებთან შეხვედრამ ერთხელ კი-დევ მომაგონა შეეეიკოს ნათქვამი სიყვარულისა და მეგობ-რობის ხიდზე.

ეს „ხიდიც“, ეს დიადი გრძნობაც ოქტომბრის პირმშოა.

აგვისტო, 1957.
ზაპოროჟიე — თბილისი.

ძველი სურათები, განახლებული გრძნობები

ამბავი დაიწყო ასე: იმ დღეებში თბილისი საზეიმო განწყობილებით სუნთქავდა. დიდი სიხარულის მოლოდინი იგრძნობოდა ქუჩებში, მოედნებზე. ქალაქი იკაზმებოდა ძვირფასი სტუმრების დასახვედრად — ჩეხოსლოვაკები ჩამოდიოდნენ. ამ ამბავთან დაკავშირებული გადმოცემები ისმოდა რადიორეპროდუქტორებიდან, მოძმე ჩეხოსლოვაკიას ეძღვნებოდა გაზეთების სპეციალური ნომრები. აი, ადრე — დილით, ჩემი სახლის წინ კიოსკში შევიძინე გაზეთ „კომუნისტის“ ახალი ნომერი. ვფურცლავ, ვათვალიერებ. ვხედავ, ერთი წერილი დაბეჭდილი: „პრაღელი და თბილისელი მეგობრები“:

„გუშინ რედაქციას ეწვია ორი გოგონა. აი რა გვიამბეს მათ:

—ჩეხოსლოვაკიიდან ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლა ჩვენ, დებს, განსაკუთრებით გვაღელვებს და გვიხარია. ჩვენ ეროვნებით ჩეხები ვართ, გვარად ხერჟები. დიდი ხნის წინათ ჩამოსულან ჩვენი წინაპრები აქ, საქართველოს დედაქალაქ თბილისში. ჩვენი პაპა ქართველ ქალზე ყოფილა დაქორწინებული და ჩვენც ჩეხისა და ქართველის შთამომავლები ვართ. დავიბადეთ და ვიზრდებით თბილისში. საქართველო გახდა ჩვენი საყვარელი სამშობლო, ქართული ენა — მეორე მშობლიური ენა, მაგრამ არასოდეს არ გვავიწყდება ჩვენი შორეული სამშობლოც — ჩეხოსლოვაკიაც, სოციალიზმის გზაზე დამდგარი სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა...

ჩეხოსლოვაკიისა და მისი ხალხის სიყვარულის ნიშნად მარინეს, უფროს დას, მერვე კლასიდან მიმოწერა გაუმართავს თავის თანატოლ ჩეხ ბიჭუნასთან. მისი სახელი და გვარია გი-

ორგი შრამგაუზრი, ცხოვრობს პრაღაში, ზაპოშტას ქუჩაზე, და აი წერილები სისტემატურად იცვლება თბილისის რუსთაველის პროსპექტიდან, სადაც გოგონები მშობლებთან ცხოვრობენ, და პრაღის ზაპოშტას ქუჩიდან, და სიხარულით ავსებენ ადრესატების გულებს. ახლა მარინე ხერჟი მეცნიერებას ეუფლება—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტია, ხოლო გიორგი შრამგაუზრი — პრაღის სამედიცინო ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტი. მარინეს უმცროსი და ირინე ხერჟი თბილისის 41-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა და წარმატებით სწავლობს მეორე მუსიკალურ სასწავლებელშიც. ახლა იგი ამ სასწავლებლის მე-3 კურსის სტუდენტია.

აი რას წერს მარინეს პრაღელი მეგობარი: „შენ მწერ შენს მშობლიურ საქართველოზე. ვიცი, რომ იგი დიადი და ლამაზია. ძალიან მსურს ჩამოვიდე საქართველოში, ვიხილო იგი, გავეცნო ქართულ კულტურას, მის ხალხს“.

დები ხერჟებიც ნატრობენ ნახონ თავიანთი შორეული სამშობლო ჩეხოსლოვაკია. ისინი გულდასმით სწავლობენ და ეუფლებიან ჩეხურ ენას...“

შესაძლებელია ამ წერილისათვის მხოლოდ თვალი გადამევლო, რომ მასში ჩართულ სურათებს არ მიექცია ჩემი ყურადღება. ეს გოგონები, დები ხერჟები ხომ ჩემს მეზობლად ცხოვრობენ, რუსთაველის პროსპექტზე.

დილით ადრე სიურპრიზი მოვუწყე ხერჟების ოჯახს, მივუტანე გაზეთის ახალი, ჯერ საღებავშეუშრობელი ნომერი. მთელი ოჯახი სიხარულისაგან აღელვებული შემხვდა. გაზეთის ეგზემპლარს ჩააფრინდნენ და გაფაციცებით დაიწყეს თვალიერება და კითხვა.

ოჯახის ამ საერთო სიხარულისა და აღფრთოვანებისაგან გამოთიშული იყო მხოლოდ მისი უხუცესი წევრი ეკატერინე ივანეს ასული, ამ გოგონების დიდედა. იგი უჯდა პიანინოს და ასრულებდა ბეთჰოვენის სონატას. მუსიკის ჰანგებს გადასძლია გაზეთით აღფრთოვანებული დების მერცხლისებურმა ჟღურტულმა, მიწყდა მუსიკის ხმა. ოთახიდან გამოვიდა და ნელი ნა-

ბიჯით ჩემსკენ გამოემართა თალხკაბიანი ხანშიშესული ქალი, მუსიკის სამყაროდან ჯერ კიდევ გამოუთიშავი, ჩანდა, ძველ მოვონებებში იყო ჩაფლული.

ჩვენი საუბარი შეეხებოდა გაზეთის ამ ნომერს, მუსიკას და, ბოლოს, ჩეხოსლოვაკელ ძვირფას მეგობართა სტუმრობას თბილისში... ჩემი ვიზიტი ამით დამთავრდებოდა, მოხუცს თავისი მოგონებებით და საინტერესო არქივით ადგილზე რომ არ დავები.

ეკატერინე ივანეს ასული აღმოჩნდა დიდი ილიას უახლოესი მეგობრის, მეცხრამეტე საუკუნის ჟურნალისტის და საზოგადო მოღვაწის, თბილისის მკვიდრის ივანე პოლტორაცკის ქალიშვილი. მისი ბიოგრაფიის საინტერესო ფურცელს წარმოადგენს ისიც, რომ მისი ბიძა დედის მხრივ ალექსანდრე ჩვენი სასიქადულო მწერლის ეკატერინე გაბაშვილის ქმარი ყოფილა, ხოლო დეიდა — მარიამ ზაქარიას ასული გაბაშვილი ერთ-ერთი პირველი პედაგოგი თბილისის მუსიკალური სასწავლებლისა მისი დაარსებიდან, სასწავლებლის კონსერვატორიად გადაკეთების შემდეგ კი მისი პირველი პროფესორი ქალი. ეკატერინე პოლტარაცკაიას მუსიკალური განათლება მიუღია ჯერ თბილისში, ცნობილ ალოიზ მიზანდართან, მუსიკალური სასწავლებლის ერთ-ერთ პირველ დამაარსებელთან, შემდეგ ვენის კონსერვატორიაში რუბინშტეინის შვილთან პროფესორ კონთან, და მთელი თავისი ხანგრძლივი შეგნებული ცხოვრება მუსიკისათვის შეუწირავს. 1911 წლიდან დღემდე თბილისის I მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგია. იგი სიამაყით იგონებს, რომ ქართველ ბულბულს ვანო სარაჯიშვილს არა ერთხელ უმღერია მისი აკომპანიმენტით.

ეკატერინე მუსიკას დაუმეგობრებია არა ერთ გამოჩენილ ჩეხ-შემსრულებელთან და მუსიკასვე ჩეხოსლოვაკია მისი მეხსიერებიდან ამოუშლელ ქვეყანად უქცევია. რამდენი სურათი, რამდენი ალბომი, წიგნი, ავტოგრაფი, აფიშა უნდა აიღო ხელში! ისინი აღმაფრთოვანებენ ამ ჩუმი, თავმდაბალი მოხუცი მუსიკოსი ქალის წარსულით, მისი მეგობრული, შემოქმედებითი კავშირით გამოჩენილ ჩეხ მუსიკოსებთან. აი ერთი მათგანი — ადოლფ პოლივკა, გამოჩენილი პრაღელი ვიოლონჩელისტი,

მისი სურათი ავტოგრაფით. მის კონცერტებთან დაკავშირებული აფიშები, მასთან დაკავშირებული მეგობრობით გამთბარი ნივთები, მის კონცერტებზე მაშინდელ გაზეთებში გამოქვეყნებული რეცენზიების ამონაჭრები, კარელ ნოვოტნის წიგნი პოლიკაზე ახლა სათუთად ინახება მოხუცის პირად არქივში.

ვინ იყო ადოლფ პოლიკა? — პრაღის კონსერვატორიის პროფესორის ვიგარის მოწაფე, მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მევიოლინე-ვირტუოზის იან კუბელიკის, გამოჩენილი მწერლის სვატოპლუკ ჩეხის. მევიოლინე-ვირტუოზის იაროსლავ კოციანის უახლოესი მეგობარი...

აქ არ შეიძლება ცალკე არ გამოვყოთ იან კუბელიკი. იგი გარდაცვალებამდე ცამეტი წლით ადრე, 1927 წელს სწვევია საგასტროლოდ თბილისს. დიდი ხანია ავსტრიის, რუსეთის, იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის მსმენელთა მომჯადოებელი და განმაცვიფრებელი ვირტუოზი იან კუბელიკი, ვის გარშემოც შექმნილ ლეგენდას მუსიკალურ თბილისამდეც მოუღწევია: მისთვის, ერთადერთისათვის დაურთავთ თურმე ნება დაეკრა ნიკოლო პაგანინისეულ ვიოლინოზე. საფლავის ძეგლში ჩაკირული ეს ვიოლინო ფრთხილად გამოუღიათ, თითქოს, სამგლოვიარო-საზეიმო დუმილში, ცრემლით დანამული ვიოლინო კუბელიკისთვის გადაუციათ და კუბელიკს მასზე პაგანინისებურად პაგანინისავე კაპრიჩიო შეუსრულებია, და შეუნიშნავს მაშინ ყველას ერთად, თუ როგორ ამოანათა საფლავიდან გაღიმებული პაგანინის აჩრდილმა, და გადაიყარა ცამ ღრუბელი, და ნათელი დაადგა სასაფლაოსო...

და აი ამ კუბელიკის ჯადოსნური ვიოლინოს სიმთა ჟღერა გაისმოდა იმ დღეებში ჩვენთან. იოლი წარმოსადგენია, თუ როგორ მიიღებდა მას მუსიკალური თბილისი. ძნელია ახლა აქ მოვიყვანოთ აღფრთოვანებული მუსიკალური რეცენზია, რომელიც ამ ვირტუოზის კონცერტების გამო სურათთან ერთად მოთავსებული იყო სწორედ იმ გაზეთში, „კომუნისტში", სადაც ოცდათერთმეტი წლის შემდეგ ამ წერილის დასაწყისში მოყვანილ სტრიქონებს წავაწყდი... მეტად გულთბილი შეხვედრა კუბელიკისათვის მოუწყვია თბილისის სახელმწიფო კონსერვატო-

რიას, მის პატივსაცემად გაუმართავს დიდი ბანკეტი, მიუძღვნია მისთვის ეროვნული სიამაყე—შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. კონსერვატორიას უთხოვნია ეკატერინე ივანეს ასულ პოლტარაცკაიასათვის ჩეხურად წაეწერა წიგნის ტიტულზე მიძღვნის ტექსტი (ეკატერინესათვის ჩეხური ენა უსწავლებია კონსერვატორიის მცირე დარბაზის მომხატველის, მაშინ თბილისში მცხოვრები სიმონ ნოვაკის ქალიშვილს, თბილისშივე მცხოვრები ჩეხი ტანმოვარჯიშის ვახიკის მეუღლეს).

კუბელიკს გულში საოუთად ჩაუკრავს საჩუქარი, შემდეგ ინტერესით დაუწყია მისი თვალიერება. პოემის შინაარსი მისთვის უცნობი არ ყოფილა, და ამიტომაც ილუსტრაციებს განსაკუთრებით მოუხიბლავს.

— აი ხელოვნება, აი ილუსტრაციები! — აღტაცებით იძახდა თურმე იგი, — ვისია?

— ზიჩისა, — უპასუხნიათ.

— ზიჩისა? — გაორკეცებული აღტაცებით აღმოხდა თურმე სტუმარს, — დაიდო მან წიგნი მუხლზე და რაღაც რომანტიკულად აღაპყრო ზევით თვალები, — ჩემი მეუღლეც ზიჩია გვარად, — ჩაულაპარაკნია მას თითქოს თავისთვის, — რა საოცარი დამთხვევები ხდება ხოლმე ცხოვრებაში!..

მერე წიგნზე მიძღვნის ჩეხურ ტექსტს დააკვირდა და წარმოთქვა მწუხარედ:

— ჩეხი ვინ არის კიდევ თბილისში ლუკეშისა და პოლივკას გარდა?

— აგერ! ამაოდ არ უსწავლებია მისთვის სიმონ ნოვაკის ასულს ჩეხური ენა... ეკატერინე პოლტარაცკაია... —წარუდგინეს მას. კუბელიკი დაინტერესებულა პოლივკას ცხოვრებით თბილისში, გამოუკითხავს ბევრი რამ პოლტარაცკაიასათვის. ამ უკანასკნელს მისთვის უჩვენებია ზემოხსენებული კარელ ნოვოტნის წიგნი, პოლივკას ხსოვნისადმი მიძღვნილი, რომელშიც, სხვათა შორის, მოთავსებულია ჩეხური კვარტეტის შემადგენლობის სურათი; მასზე გამოსახული არიან პოლივკა. გუმლი, კრეიზა და კუბელიკი ახალგაზრდობაში. თბილისში ამ

წიგნის ნახვას იგი სიხარულისაგან აუღელვებია. კვარტეტის სურათზე ფანქრით წაუწერია თავისი ავტოგრაფი და წიგნი დიდი მადლობით დაუბრუნებია პოლტარაცკაიასათვის. შემდეგ კუბელიკს ჯიბიდან ამოუღია თავისი სურათი, და მასზე ფრთხილად, სიყვარულით გადაუტარებია სტრიქონები ავტოგრაფისა.

— სხვა რით შემიძლია გიპასუხოთ, ეკატერინე! დე, ეს იყოს ძაფი მეგობრობისა თბილისსა და პრაღას შორის.

— ეს მეგობრობა იცოცხლებს, ბატონო იან! — და თვალებდანამულ პოლტარაცკაიას მოკრძალებით მიუღია კუბელიკისაგან სურათი ავტოგრაფით.

და გასაგებია ქართველი კაცის სიხარული იმის გამო, რომ ვიოლინოს ჰანგთა მპყრობელის — იან კუბელიკის სახელობის მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსზე 1949 წელს გამარჯვება ხვდა ბედად ჩვენი ხალხის უმცროს ქალიშვილს, აგრეთვე ვირტუოზს მარინე იაშვილს.

...თბილისსა და ქუთაისში დიდი წარმატებით გაუმართავს კონცერტები ცხრაასათიან წლებში აგრეთვე იაროსლავ კოციანს, ეკატერინეს ახლო მეგობარს. იგი დიდად დაინტერესებულა ძველი ქართული ძეგლებით, თბილისელ მეგობრებთან ერთად დაუთვალიერებია ბევრი მათგანი, ყოფილა გელათში და იქ სურათიც გადაუღია.

დავუბრუნდეთ ადოლფ პოლივკას. იგი თბილისში ჩამოსულა 900-იან წლებში, სწორედ სვატოპლუკ ჩეხის რეკომენდაციით, რომელსაც წინა ხანებში უმოგზაურნია კავკასიაში, ყოფილა, კერძოდ, თბილისში, გაუცვნია აქ მცხოვრები თანამემამულენი, დაახლოებია ქართველ ინტელიგენციას... სვატოპლუკს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თბილისში ჩამოსვლის მეოცნებე ადოლფისათვის მიუცია ჩეხი ამხანაგის ლუკეშისა და დრუბოგლავის მისამართი. ლუკეში მაშინ ტანვარჯიშს ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში, იმ სასწავლებელში, სადაც თავის დროზე სწავლობდნენ გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ივანე პოლტარაცკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო და სხვანი მრავალნი, შემდგომში დიდებით მოსილნი... (ახლა ეს I საშუალო სკოლაა თბილისში). დრუბოგლავი ვაჟ-

თა მეორე გიმნაზიის დირექტორი იყო. თბილისში ჩამოსული პოლივკა სწორედ ლუკეშთან დაბინავებულა.

პოლტარაცკებისა და გაბაშვილების დიდი ოჯახი მაშინ თბილისის ერთ უბანში, მოსკოვის ქუჩაზე და მის შესახვევში ცხოვრობდნენ, ლუკეშიც—მათ ახლოს. პოლივკა გაცნობია პოლტარაცკებისა და გაბაშვილების ოჯახს და შესდგომია პედაგოგიურ მოღვაწეობას. ეკატერინე პოლტარაცკაიას სიძეს, იმ დროს ცნობილ ისტორიკოსს, შემდგომში გამოჩენილ მკვლევარ-მეცნიერს აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილს პოლივკა შეთავსებით ვიოლონჩელის მასწავლებლად მიუწვევია თავის საათავადაზნაურო სკოლაში, ძირითადად კი პოლივკა მთელ სამ წელიწადს ასწავლიდა მუსიკალურ სასწავლებელში. პოლივკა განსაკუთრებით მეგობრობდა ექვთიმე თაყაიშვილს. მასთან მეგობრულ საუბარში არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი სიძულვილი ავსტრიის დამპყრობლური პოლიტიკისადმი. იგი თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი ყოფილა.

სწორედ აქ გულითადი შემოქმედებითი მეგობრობით დაკავშირებიან ერთმანეთს ჩეხი და მამით რუსი და დედით ქართველი მუსიკოსები — პოლივკა და პოლტარაცკაია. ახლაც არიან თბილისში მუსიკის მოტრფიალენი, უკვე მოხუცნი, რომელთაც ახსოვთ პოლივკას კონცერტების წარმატება, პოლივკასი, რომელიც ეკატერინე პოლტარაცკაიას აკომპანიმენტით ასრულებდა ბეთჰოვენის, შუმანის, სენ-სანსის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის ნაწარმოებებს...

— ახლა, როცა გაზეთებში ვკითხულობ და რადიოთიც ვისმენ ჩეხი სტუმრების ჩვენთან ჩამოსვლის ამბავს, კვლავ ახალი ძალით ცოცხლდებიან ჩემს მეხსიერებაში წარსულის მოგონებანი, — ამბობს მოხუცი.

...იმდროინდელი გაზეთები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ პოლივკას კონცერტებს. აი, რას წერს ერთ-ერთი გაზეთი: „ჭეშმარიტად მხატვრული სიტკბოება შეეძლო ეგრძნო ყველას, ვინც ესწრებოდა პოლივკას გამოსათხოვარ კონცერტს... ბრწყინვალედ აკომპანიონობდა ქ-ნი პოლტარაცკაია“...

ეს იყო 1906 წლის 14 მარტს.

ყურადღება მიაქციეთ — გამოსათხოვარი კონცერტი!

დიაბეტით მძიმედ დაავადებული ჩეხი მუსიკოსი იძულებული იყო დაეტოვებინა ძის მეორე სამშობლოდ ქცეული თბილისი და წასულიყო პრაღაში სამკურნალოდ.

— მე ან მოვკვდები იქ, ეკატერინე, ან განვიკურნები და დავბრუნდები თბილისში უკვე სამუდამო საცხოვრებლად, — მითხრა უბედურმა, მაგრამ ბედმა უმტყუნა... ვეღარ დაბრუნდა. სამწუხაროა, რომ მან ვერ იცოცხლა თავისი სამშობლოს განთავისუფლებამდე. ვერ იხილა ჩეხოსლოვაკია ბედნიერი და თავისუფალი.

—... დაკრძალვაზე პრაღაში მუსიკალური თბილისის წარმომადგენლად გაიგზავნა ილია აბაშიძე, ჩემი დის — სოფიოს ქმარი, ადოლფის ყოფილი მოწაფე მუსიკაში, და მან თბილისელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა და თბილისის კონსერვატორიის სახელით გვირგვინით შეამკო საფლავი... აქ კი, თბილისში პოლივკას პანაშვიდი გადაუხადეს. მერე, წლისთავზე, პოლივკას მუსიკის თაყვანისმცემლები ჩავედით იქ — პრაღაში, — განაგრძობს ეკატერინე ივანეს ასული, — მე და ჩემი დები ელენე და სოფიო, და კიდევ ელენე ჩოლოყაშვილი, რომელიც იმ ხანებში პარიზში იმყოფებოდა... მან პარიზიდან პრაღაში ჩამოიტანა პოლტარაცკების ოჯახისაგან შეკვეთილი ბრინჯაოს გვირგვინი, რომლითაც შევამკეთ ადოლფის საფლავი...

აგვაღელვა ერთმა შემთხვევამ: პოლივკას დაბადების დღეს, 15 მაისს სასაფლაოზე მოიტანეს იების კალათა იან კუბელიკის შეკვეთით და დავალებით. აი, მეგობრობა! — კუბელიკი ხომ იმ ხანებში ამერიკაში იყო გასტროლებზე, მაგრამ გასტროლების ტრიუმფმა შორეულ ამერიკაში მას როდი დაავიწყა თავისი მეგობარი, აქ, პრაღაში!

* * *

...აღსანიშნავია, რომ მარიამ ზაქარიას ასული გაბაშვილი თბილისში, თავის ოჯახში ხშირად აწყობდა მუსიკალურ საღამოებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჩამოსული საუკეთესო

არტისტული ძალები. ამ სალამოების მუდმივი სტუმარი ყოფილა ზაქარია ფალიაშვილი. ამ სალამოებზე დაახლოებია იგი პოლივკასაც და აქვე ჩაჰყრია საფუძველი მათს მეგობრობას. ფალიაშვილი დიდად აფასებდა ადოლფ პოლივკას შემსრულებლობითს ხელოვნებას.

აი, ამბავი!.. მე კი მაშინვე გამობრუნებას ვაპირებდი, — ვფიქრობ ჩემთვის ნაამბობით, ნანახითა და განცდილით ღრმად ჩაფიქრებული,და სიყვარულით ვათვალიერებ ადოლფის საკლასო რვეულს, მის ნამუშევრებს. გრაფიკოსიც კი ისე ვერ... დაწერდა კი არა, ვერ დახატავდა! და მაინც მასწავლებლის მიერ დასმული ნიშანი ქვევით, წითელი მელნით —1/1.

— ეს რატომ? — ვეკითხები მოხუცს, თითქოსდა სხვა არაფერი მქონდეს შესაკითხავი და განსაცვიფრებელი.

— ა! — ჩაიცინა მან, — თითქოს სხვით ვერაფრით დავეინტერესებინე, — იქ ასეა, მოსწავლის წარჩინების ყველაზე მაღალი ნიშანია სკოლაში 1/1.

* * *

...მაინც, რა საოცარია, ზოგჯერ, ადამიანის ბედი! რუსისა და ქართველის შთამომავლის ეკატერინე ივანეს ასულის ქალიშვილი —გვარად მადათოვა — გათხოვდა თბილისში მცხოვრებ ჩეხზე და მისგან ჰყავს აი ის ორი ქალიშვილი, რომელთა შესახებ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილით და ფოტოსურათებით დავიწყეთ ეს ამბავი.

აგვისტო, 1958.



მზის ასული

პატარძალივით საქორწილო ფარჩით მორთულო, კდემამოსილო, ამაყო! გიმზერთ და სილამაზით გვწვავ. თითქოს გსურს ჩაგვიხუტო — გაგიშლია მკლავები, გედივით მოგიღერებია თეთრყირმიზა ყელი. მზე, რომლის სხივებითაც უხვად ხარ განათებული, გეცოტავა და გუმისთას მოუხმე, რომ შენში ენთოს ელვარე ჩირაღდნად, ღამით მზეს შეენაცვლოს. თაიგულად შეკრულხარ. ყველა ქვეყნის ყვავილებს შენს მკერდზე უპოვნიათ ნანატრი ბინა. შენს კალთაზე ლაღად ლივლივებს და ღამეს ათევს შენი განუყრელი სატრფო — ზღვა. იგი ახლა შენთან არ ბობოქრობს — გარინდულია, ყურს უგდებს შენი პალმებისა და მაგნოლიების, ნაძვებისა და ფიჭვების შარიშურს, შენი მწვანე მთების ჩურჩულს. მაგრამ თუ როდისმე აღელდება, ეს იმიტომ, რომ შენი ნაპირის დაკოცნა უნდა, აქაფებული ზვირთებით მოიწევს, შენ კი ნაპირებიდან უღიმი მასხან ბობოქარს, ხან დადუმებულს, ქალწულივით იხედები და კოპწიაობ მის ლურჯ სარკეში. ასობით ათასთა მასპინძელი ხარ. შენკენ მოილტვიან, სიხარულით მოიჩქარიან და ბოლოს სევდით გეთხოვებიან — არა სურთ მშვენიერებას მოსცილდნენ, რაკი მისით მოხიბლულან. შენში ისეთი სიმშვენიერეა, როგორზეც ერთ დიდ მწერალს უთქვამს:

...დილა იყო. ზღვაზე ოქროსფერი მზის სხივები იფრქვეოდა. ნაპირზე ბავშვები მოსულიყვნენ, თამაშობდნენ, ფერად კენჭებს აგროვებდნენ. ისეთი კარგი, ისეთი ლამაზი, ისეთი მომხიბლავი იყო ეს სურათი, რომ მაპატიე, მკითხველო, თუ მეტს ვერაფერს გეუბნები!..

და მე ვინა ვარ, შენს მშვენიერებაზე მეტის თქმა შევძლო, მზის ლამაზო ასულო, ჩვენო სოხუმო!

სექტემბერი, 1957.



ოდრუჟუვალნა

ეს უკრაინული სიტყვაა, ქართულად ქორწინებას ნიშნავს.

მაგრამ, ვიდრე ქორწინებამდე მივიდოდეთ, ამბავი შორიდან უნდა დავიწყოთ:

იმ წლებში დიდი მოუსავლიანობა იყო უკრაინაში. შრომა, რომ იტყვიან, წყალში იყრებოდა. მიწა თესლის საზღაურსაც კი არ იძლეოდა. მოუსავლიანობამ დაბა ხაშივატოსაც დარია ხელი. ხაშივატო ხერსონის ოლქშია.

სიძნელეებს თუ სხვები უძლებდნენ, ახალგაზრდა სამისკოებიც როგორმე აიტანდნენ, და მერე იქნებოდა რაიმე საშველი, მშობლიურ კერას როგორ დატოვებდნენ. მაგრამ საერთო გაჭირვებას ავადმყოფობაც ზედ დაერთო. ფილტვების სისუსტეს უჩივოდა ოჯახის ახალგაზრდა უფროსი სამისკო.

— მიაყურე ერთი ამ ფილტვებს, ბიძია ოსტაპ! — მიმართა მან დაბის ექიმს, — სუნთქვა მიძნელდება ნამეტანი.

ოსტაპი, სამოქალაქო ომში ფერშლად ნამყოფი და თავად ჭირვარამგამოვლილი, არ ეკუთვნოდა იმ ექიმების ჯგუფს, რომლებიც დათაფლული ენით აიმედებენ ავადმყოფს.

— არ გივარგა არაფრად. შებრუნდი, აბა, ზურგით. ისუნთქე, ღრმად... აჰ!

— ვიღუპებით, ექიმო, საშველი რამე არ იქნება? — ტირილით შეეხვეწა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ჩვილი ბავშვი ჰყავდა ახუტებული. ბავშვს ძუძუზე მისძინებოდა.

ოსტაპს თითქოს არც გაუგონია. მორჩა გასინჯვას, შემოიყარა დოინჯი, თავითფეხთამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა ავადმყოფი.

— რამდენისა ხარ?

— ოცდაორისა, ბიძია ოსტაპ!

— გინდა იცოცხლო?

დაღონებულმა ახალგაზრდამ გადახედა ჯერ ცოლს, მერე დედის ძუძუსთან მიძინებულ შვილს ჩააშტერდა, თითქოს ამით თქვა: თუნდაც ამათი გულისთვისო.

— ჰო-და, თუ მალე გამოჯანმრთელება გინდა, აი, — გაიშვირა ოსტაპმა ხელი ფანჯრიდან სამხრეთისაკენ, — იარე, იარე ასე ქვევით. ბათუმი გაგიგონია? ბათუმთან ახლოს ქობულეთია, ზღვისა და მთის ჰავა. ერთხანს იცხოვრებ იქ, მოუვლი თავს და იქცევი ვეშაპად.

ოლექსას ცოტა ფული ჰქონდა ხელობით დაგროვილი — ფეხსაცმელს აკერებდა დაბაში.

აიკრა ცოლ-ქმარმა გუდანაბადი. დედამ სათუთად შეახვია საბანში თავისი ანატოლი, რომელიც ამ სახელის სიგრძეც არ იყო, და ახალგაზრდა ოჯახი გაუდგა გზას საქართველოსაკენ.

ეს იყო 1931 წლის გაზაფხულზე.

ხერსონშჩინა ულამაზო კუთხე არ არის უკრაინაში — თეთრად შეფეთქილი სახლები ბაღებში, ბაღებს იქით დაცემული ველები ჯეჯილებით, გზები, რომლებიც არ იცი სად იწყება და სად თავდება, მდინარეები, რომლებიც არ იცი მიდის თუ დგას... საერთოდ, მშობლიური ყველაფერი ლამაზია.

მაგრამ ეს საქართველო რა,ყოფილა, ღმერთო ჩემო!

ქობულეთი! აქეთ ზღვა — ხან მფრთენავი და მღელვარე, ხან მდუმარე და მოლივლივე. იქით მთები — მწვანით მოსილი, აქოჩრილი, ცასთან თეთრი ღრუბლებით და ნისლით დამეგობრებული. მათ შორის სოფლები, სახლები მთის კალთებზე ბაღებში. ქარი რომ შეარხევს და მიმოწევს ფოთლების ფარდებს. მხოლოდ მაშინ გამოჩნდებიან სახლები. ხალხია ისეთი... სალმიანი, არ გიცნობს და, გვერდით ისე არ ჩაგივლის ქუდი არ მოგიხადოს, „გამარჯობა“ არ გითხრას.

— ეს პირველი სიტყვა იყო, მე და ნიურამ აქ რომ ვისწავლეთ, — ამბობს ოლექსა.

— „მშვიდობაც“, — ჩაურთო ნიურამ, არა ისეთმა, ცხადია, როგორიც ის ამ ოცდაშვიდი წლის წინათ იქნებოდა, მაგრამ ჩანს, ოდესღაც ლამაზმა, ნაზმა და ნატიფმა ქალმა, რო-

მელიც ახლა ჭარმაგობისა და მოხუცობის მიჯნაზე დგას, — „დილამშვიდობისა“, „საღამომშვიდობისა!..“

მაგრამ ჩვენ წინ გავუსწარით ამბავს:

ოლექსა არ იყო მხართეძოზე წამოწოლას ჩვეული... უსაქმოდ მას ვერასოდეს ვერ ნახავდით. დააბინავა ცოლშვილი თუ არა, მიმოიხედა ირგვლივ, რა საქმეს მოკიდებოდა. ბრეზენტის ერთ პატარა ფუთაში ხელსაწყოები ჰქონდა, ხელი — მარჯვე და „ოქროთი მოჭედილი“, კარგი ხელოსანი იყო.

— გამარდჟობა! — ახალდასწავლილი ქართულით მიესალმა იგი ერთ პატარა დარაბაში მუხის მრგვალ დაზგასთან ფეხსაცმელზე დახრილ ჭაღარა კაცს.

მან ახედა:

— გაგიმარჯოს, რუსო!

— რუსი არა, ხოხოლ, ხოხოლ! — ღიმილით უთხრა ოლექსამ და იქვე ჩაიმუხლა, — ჩემი ხელობაა.

— შენი ხელობა თუა, მოდი აგერ და იმუშავე, — შებრუნებული ხელით აისწორა ულვაშები, — თუ არ იზარმაცებ!

მერე დავინახავთ, ეს ეჭვი რა უსაფუძვლო იყო.

ახლა მადლიერების გრძნობით იგონებს ოლექსა იმ კეთილ ქართველ ხელოსანს. ჩავლეიშვილი ყოფილა გვარად.

შეამხანაგდნენ, ტკბილად, ძმურად დაიწყეს მუშაობა.

...რა იყო ის ფილტვების სისუსტე, რა იყო ის გაჭირვება. რაღაც სიზმარივით აგონდება ახლა ოლექსას. შინ დაბრუნებულს, დები ვეღარც კი იცნობდნენ ალბათ, ისე გამოჯანსაღდა. ნიურა მთლად მთვარესავით გაიბადრა, ანატოლიმაც ფეხი აიდგა. მაგრამ წასვლის დრომაც მოაწია, შემოდგომა დგებოდა. წასვლა დროით სჯობდა, სანამ თოვლს დადებდა.

— გამოსამშვიდობებლად მოვედი, კოსტია, უნდა წავიდეთ!

— სად, ბიჭო, სად უნდა წახვიდეთ, არ გესმის, რომ იქ მოუსავლიანობაა?!

— ახლა აღარ უჭირთ, კოსტია. და მწერს, მთავრობამ დიდძალი ხორბალი შემოზიდაო. მეც ჯანსაღად ვარ, არაფერი მიჭირს.

— მე რომ გითხრა, დამიჯერე. თუ ჩემთან არ გინდა, აგერ, ნატანების საბჭოთა მეურნეობაში სჭირდებათ შენი ხელობის კაცი, წვერმაღალაში.

— ვიყოთ კიდევ ამ კეთილ ხალხში, ოლექსა, — ურჩია შინ ნიურამაც.

შეკრეს ბარგი ნატანებში გასაგზავნად, მაგრამ აქ თავს წაადგა ლადიკო მჟავანაძე.

— შრომაში, კოოპერატივში გვჭირდება, ოლექსა, ოსტატი. წამოდი, არაფერს გაგიჭირვებთ.

— დავბინავდით შრომაში, — იგონებს ახლა ნიურა, — ეს ჩემი კაცი ყველგან მიღებული და პატივცემული შეიქნა, ყველამ დაიმეგობრა და შეიყვარა. მე მშრომელ ქალებს მხარში ამოვუდექი, ჩემმა ანატოლიმაც ცუნცული დაიწყო. აი, ეგერ, გზის გაღმა რომ კარგი სახლია, იმ სახლში დავიდეთ ბუდე, პავლე ხომერიკის ოჯახში.

— გაუყოფელი ძმებივით ვიცხოვრეთ იქ სამი წელიწადი, — ამბობს ოლექსა. — ერთხმად მიგვიღეს სასოფლო-სამეურნეო არტელში. ნიურამ ჩაიში დაიწყო მუშაობა, მე ჩემს ხელობაზეც და სხვა საქმეებზეც. აი ამ სერზე, სადაც ახლა ჩს სახლი გვიდგას, სამოსახლო ნაკვეთი მოგვცეს. აბა, დაიწყო „შაბათობები“ სერზე ჯაგნარ-ეკლნარის ასაკაფავად. პირველი ბოძები პავლე ხომერიკმა ამოზიდა ურმით. იგი ახლაც უფროს შვილად მთვლის, ჩემს ანატოლის — შვილიშვილად. პირველი დგამ-ავეჯი და ჭურჭელი პავლეს ცოლმა დაალაგებინა ჩემს ცოლს, მიზიდავენ მეზობლები ზოგი ვენახის ნერგებს, ზოგი მანდარინისა და ფორთოხლისას, ზოგი ხურმისა და ატმისას. აი ამ ეზო-მიდამოში ბევრი ხეხილი და ვაზი, ბევრი ციტრუსი ჩემი კეთილი ქართველი მეზობლების სახელობაზე ხარობს.

გაჩაღდა უკრაინული ოჯახის კერა ქართულ სოფელში. ორი თვალი ხის სახლი გამართეს. აკრიახდნენ ნიურას მოშენებული ქათმები, აყიყინდნენ ბატები და იხვები, აზმუვლდა ჯოლმეურნეობის დახმარებით შეძენილი მეწველი ძროხა, გა-

მართლდა ქობულეთში პირველად გაგონილი და დასწავლილი „გამარჯობა“ და „მშვიდობა“.

მაგრამ მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა სამისკოების ოჯახში, დაიწყო ომი. ოლექსამ სხვა შრომელ თანამოძმეებთან ერთად ფრონტს მიაშურა. ბრძოლით განვლო ფაშისტების მიერ ოკუპირებული მშობლიური უკრაინის სოფლები და ქალაქები, ტყეები და ველები, გააღწია ევროპაში, ხყო უნგრეთში, ბუდაპეშტში, დაიჭრა ბალატონთან. განკურნების შემდეგ—აღმოსავლეთი პრუსია, ჩეხოსლოვაკია. აქ მძიმედ დაიჭრა საზენიტო ბატარეის ზემდეგი სამისკო. მარჯვენა მკლავსა და საქართველოში განკურნებულ ფილტვში გაუარა ფაშისტების ნაღმის ნამსხვრევებმა. ჯერ ერევანში მკურნალობდა, გაჯანსაღებული დაუბრუნდა თავის ოჯახს შრომაში. ნიურას კოლმეურნეობის დახმარებით ოჯახისათვის უმამობა არ დაუტყობინებია. ანატოლიც მოზრდილი ბიჭუნა გამხდარა, სწავლობდა სკოლაში და დედას შველოდა კოლმეურნეობაში, სკოლიდან დაბრუნებული პატარა თამარი, უმცროსი სამისკოების ოჯახში, დედის დაბრუნებამდე სახლკარში დაფუსფუსებდა, დიასახლისობდა.

ომგადახდილ ოლექსას, სანამ თავის ეზოში შევიდოდა, გზად მეზობლები შემოეხვივნენ.

— ნუ გავაჩერებთ, შე კაცო, გავყვეთ თან, — გაიცმოდა აქა-იქ.

მთელი საზეიმო პროცესია გაემართა სამისკოების სახლისაკენ.

— ნიურა, ანატოლ, თამარ! მოხადეთ თავი სამახარობლო ჭურს, მოგვყავს ოლექსა! — იყო ძახილი.

ეზოში რომ შევიდა, მამას პირველი შემოაკაკუნა გახარებული თამარი. ნიურამ არ იცოდა რა ექნა — ეტირა თუ ეცინა. უსიტყვოდ შემოეხვია ქმარს. შორიახლო იდგა ანატოლი თავისი ჯერის მოლოდინში. დაბნეულს ისიც კი დავიწყებოდა, რომ მეზობლის პატარა გოგონასათვის ხელი გაეშვა. ის გოგონა, ვისი ცალი ხელიც ანატოლს მაგრა ჩაებღუჯა, ასე რვა-ცხრა წლისა, იდგა თავჩაქინდრული. ვინც

დააკვირდებოდა, და მისთვის მოიცლიდა, მიხვდებოდა, რომ ბავშვი გულამომჯდარი ტიროდა.

— ეს ვიღასია? მოდი, ჩემო ლამაზო, მოდი ჩემთან, ჩემო ბულულებიანო, — დაიხარა ოლექსა ბავშვისაკენ, როცა თავისიანების ხვევნა-მოკითხვას მორჩა, — რატომ ტირი, შენი ჭირიმე!

— არსად მოგიკრავს თვალი, ოლექსა, სადმე გრიშასათვის? — ეკითხებოდა დამწუხრებული მეზობლის ქალი. — გრიშა კვაჭანტირაძისაა ეს საბრალო, არ გახსოვს პატარა მარგო, მარგალიტა?!

გრიგოლ კვაჭანტირაძე კეთილი მეზობელი და კარგი ამხანაგი იყო ოლექსასი. თითქმის ერთდროულად წავიდნენ ისინი ფრონტზე. გრიგოლიც უკრაინის ფრონტზე იბრძოდა, იქნებ ხერსონშჩინაში, იქნებ ხაშივატოც გაუვლია ბრძოლით? იქნებ ფრონტზეც ოლექსას მეზობელი იყო, მეზობელ ნაწილში იბრძოდა?

ყოველშემთხვევაში, ოლექსას არაფერი კარგი ამბის ჩამოტანა არ შეეძლო სოფელში გრიგოლის შესახებ.

გრიგოლი აღარ დაბრუნებულა.

მაგრამ ამ ამბავს ჩვენ შემდეგ დავუბრუნდებით.

თავის ხელობაზე ვეღარ იმუშავა მარჯვენა მკლავში დაჭრილმა ოლექსამ, მაგრამ განა ყველაფერი კარგი ხელობა არ არის, რასაც დაეუფლები? მით უფრო, როცა მოწადინება და შრომისმოყვარეობა არის, ოლექსა კი მხოლოდ შრომისათვის იყო გაჩენილი, შრომისა და ბედნიერებისათვის. მას კოლმეურნეობაში ფუტკრები ჩააბარეს. დაფუსფუსებდა ოლექსა ფუტკრის ოჯახებს. თაფლს არ აკლებდა კოლმეურნეებს თაფლივით ტკბილი და უწყინარი ოლექსა. მაგრამ მარტო ეს როდი იყო მისი საქმიანობა — სადაც კი დაჭირდებოდა იგი კოლმეურნეობას, ყველგან მზად იყო ემუშავნა. ნიურა ერთიათად იქცა ქმრის დაბრუნებით გამხნევებული. ოჯახმა ახლებურად დაიწყო დუღილი, ახლა ორი თვალი ხის სახლი როდი იყო საკმარისი. ხუმრობა ხომ არ იყო — ვაჟიშვილი ვაჟკაცდებოდა, გოგონა ქალიშვილდებოდა, მომავალია — რძალია,

სიძეა. მეზობლობა და ნათესაობაა, უკრაინელი თანასოფლელებიც ჩამოდიან, მათ ხომ არ ათქმევინებ — ჩვენი მოძმე ღარიბულად ცხოვრობსო.

და დაიწყო ამ სერზე, ამ ეზო-კარში ისეთი მშენებლობა, ისეთი შრომა გაჩაღდა, — უცხო გამვლელს ეგონებოდა. აქ უთუოდ საზოგადოებრივ შენობას რასმე აგებენო.

სოფელი შრომა რაღაც ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენს, არა მარტო ბუნების ჯილდოს, არამედ შრომის ნაყოფს, შრომით აყვავებულს.

მაგრამ სამისკოების ოჯახში რომ ხართ, გეგონებათ სანატორიუმში იმყოფებით... ბაღ-ვენახებშია, ციტრუსებშია. პალმებშია ჩაფლული მათი ორსართულიანი კაპიტალური სახლი კი არა სასახლე... არა მგონია გურიელებს წინათ ასეთი სახლი ჰქონოდეთ. და რა გგონიათ, განა ინჟინრები და არქიტექტორები, განა მშენებელი ოსტატები და მუშები იყვნენ მის აგებაზე მოწვეული? ყველაფერი საკუთარი მარჯვენით, კოლმეურნეების და მეზობლების დახმარებით გააკეთეს სამისკოებმა.

ასე გადიოდა წლები.

— დედა, — უთხრა ერთხელ თამარმა ნიურას, — ნუ გამიწყრები, ჩემო დედა. შენც ხომ იყავი ახალგაზრდა, შენც ხომ გიყვარდა მამაჩემი? ეი ასე მიყვარს მე...

— ვინ? რას ბედავ?! ვინ არის იგი?

— მე ხომ გთხოვე, ნუ გამიწყრები-მეთქი. მაშინ მამას რაღა უნდა გავუბედო...

დედაც და მამაც ჩვეულებისამებრ ცოტათი გაინაზნენ, დატუქსეს კიდეც ქალიშვილი აჩქარებისა და „დაუკვირებლობისათვის", მაგრამ...

ახლა ისინი ქალიშვილთან და სიძესთან ერთად შეჰხარიან ერთადერთ შვილიშვილს — ვარდისფერლოყებიანს, ქერა კულულებიანს, შავთვალებიანს.

ვინ არის სიძე? სუფსელი ბიჭია, ისეთი, შეხედვა გაგეხარდებათ! გურამი ჰქვია, გვარად ბაზაძე. ახლა სამხედრო სამსახურს იხდის.

ქორწილი იყო სამისკოებთან ისეთი!..

* * *

მაგრამ ქორწილი, რომელიც აქ მარტში გადაიხადეს, დიდ-ხანს ემახსოვრებათ შრომელებსაც და ხერსონელებსაც.

გახსოვთ გრიშა რომ ვახსენეთ ზემოთ, კვაჭანტირაძე? და ის პატარა გოგო, მარგალიტა, ტირილით რომ შეხვდა ომგადახდილ და შინ დაბრუნებულ ოლექსას? ანატოლს რომ იყო მინდობილი?

იცით რატომ ტიროდა მაშინ? გული უკვდებოდა, რომ არ ბრუნდებოდა მისი მამაც!

ახლა მას ჰყავს მამა — ეს ოლექსაა. მას ჰყავს ცხოვრების მეგობარი და თანამგზავრი — ეს ანატოლია, სამისკო.

სამისკოების სასახლის ქორწილი ქართველებისა და უკრაინელების ზეიმი შეიქნა. მოპატიჟებული იყვნენ ხერსონიდან, გენიჩესკიდან... უკრაინელები იყვნენ ანატოლის მაყრები...

ზეიმობდა სოფელი შრომა, ზეიმობდა ხალხთა ლენინური მეგობრობა.

ეს ქორწილიც ამ მეგობრობის სიმბოლო იყო, მეგობრობისა, რომელიც აგერ ოცი წელიწადია ხიდად არის გადებული გენიჩესკელებსა და მახარაძელებს შორის.

ოქტომბერი, 1957.



სიმფონია კოსმოსიდან

ცხრაასჩვიდმეტში ჩვენი პლანეტის თავზე აკიაფდა კაცობრიობის დიადი მერმისისაკენ გზის გამკვლევი შუქურა — ოქტომბრის რევოლუციად წოდებული; ორმოცი წლის შემდეგ კი კოსმოსურ სივრცეში გაიელვა დიდი ოქტომბრით შობილმა მნათობმა — საბჭოთა მთვარემ — აგრეთვე რევოლუციად წოდებულმა მეცნიერებასა და ტექნიკაში.

არის ამ ორ რევოლუციას შორის სიმბოლური მსგავსებანი:

პირველი ცხრაასჩვიდმეტში მოხდა, მეორე — ცხრაასორმოცდაჩვიდმეტში; ერთიც და მეორეც — ოქტომბერში.

საუკუნეთა მიმართ ორმოცი წელი ისევე მცირეა დროით, როგორც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრია მოცულობით შეუცნობელი სამყაროს მიმართ;

დიადი მერმისისაკენ გასავლელ გზას პირველი ისეთივე კოლოსალური სისწრაფით ფარავს, როგორც მეორე — სამყაროს შეცნობისათვის;

პირველი კიაფობს ჩვენს პლანეტაზე, მეორე — უსასრულო კოსმოსში;

პირველი შუქურაა კომუნიზმისა, მეორე — შუქურაა სამყაროს მეცნიერული დაპყრობისა;

პირველი მეცნიერული კანონზომიერებით მოხდა, მეორესაც მეცნიერული სიზუსტე და კანონზომიერება უდევს საფუძვლად...

არის კიდევ ზოგიერთი წვრილმანი მსგავსებანი, მაგალითად:

პირველ შუქურასაც უყეფდნენ ყბის მოქცევამდე და

მეორესაც უყეფენ. ძაღლი მთვარეს უყეფდაო. შესაძლოა უწინ ჩვენი „ლაიკაც“ აჰყოლია მთვარის ცდუნებას, მაგრამ მიმხვდარა, რომ ეს ფუჭი შრომაა. ახლა როლები შეიცვალა— ჭკვიანმა „ლაიკამ“ თავისი როლი გადააბარა ზოგ-ზოგებს ამერიკაში, თვითონ, კოსმოსის პირველი მგზავრი, საბჭოთა მთვარიდან არხეინად გადმოსცქერის მყეფავებს და, რამდენადაც ეს ძაღლს შეუძლია, იღიმება. შესაძლოა იმიტომაც იღიმება, რომ მოიგონდა, თუ როგორ იქცნენ კაცთმოყვარეებად ამერიკაში ადამიანის მოსპობის იარაღის გამომგონებლები: — მოღერებულ ნაჯახს, სანამ ადამიანს თავში ჩაარტყამდე, სუფთა ტილოთი უნდა მოუპრიალო პირი, ანუ: ბომბს თუ ჩამოაგდებ საბავშვო ბაღის ახლოს, სუფთა მაინც უნდა იყოს, აი, მაგალითად, ეგრეთწოდებული ამერიკული „სუფთა წყალბადის ბომბი“...

ეღიმება ამაზე „ლაიკას“ და განაგრძობს კოსმოსში ადამიანის ერთგულ სამსახურს, სიცოცხლის სამსახურს.

არ გაემტყუნებათ ამერიკის გაწბილებულ მმართველებს საბჭოთა მთვარის მიმართ ეს ღრენაყეფა. ჩვენთან შეჯიბრებაში მათ მარცხი უგემიათ დიპლომატიაშიც. რინგზეც, საჭიდაო ხალიჩაზეც, სარბენ ბილიკზეც, საჭადრაკო დაფაზეც, ეკრანზეც, როიალთანაც... ახლა დიდ „სტადიონზე“ ორთაბრძოლაშიც, კოსმოსზე იერიშშიც ანგარიშია 2:0 ჩვენს სასარგებლოდ. სანამ ისინი „სუფთა წყალბადის ბომბის“ გამოცდასა და დასარტყმელად მოღერებული ნაჯახის პირის სტეარინის ხსნარით მოწმენდაში ვარჯიშობდნენ, ჩვენ უკვე ზედიზედ გავუშვით დედამიწის ორი ხელოვნური თანამგზავრი — ორი მთვარე მშვიდობისა და ხალხთა დაახლოების მიზნებისათვის, სიცოცხლისათვის, შეუცნობელის შეცნობისათვის. რძეში ჩამოვრჩებით, მართალია, მაგრამ ამ ჩამორჩენის დაძლევა საბჭოთა ხალხს კოსმოსური სივრცის დაპყრობაზე უფრო არ გაუძნელდება, ყოველ შემთხვევაში!

ორი გრძნობა იბადება საბჭოთა მთვარის ქვეშ განცვიფრებულ მსოფლიოში: შურისა და დაბნეულობისა მტრების ბანაკში, აღტაცებისა და გაკვირვებისა — მეგობრების წრეში.

დაუჯერებელი, განსაცვიფრებელი, სენსაციურია საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი გენიის ნაყოფი — გაბედული აზროვნების სხივებით შექმნილი და შრომის სიდიადით განათებული. შორეული პლანეტის შემოვლით „მფრინავი ობსერვატორიის“ ბორტიდან მოჰქრის საიდუმლოებათა და სიცივის სამყაროს შეცნობის რადიოსიგნალები — ნამდვილი ხიმფონია კოსმოსიდან, ნიჭისა და შრომის გამარჯვების ჰეშმარიტი ჰიმნი. და აღაფრთოვანებს მილიონობით ადამიანებს, მათი აღტაცებული შეძახილებია: „ვხედავთ, გვესმის!“.

დედამიწის თანამგზავრები მეტოქეობას უწევენ ადამიანის ცოდნის მთელი საუკუნეების პროგრესს. რუსულმა სიტყვამ Спутник მოქალაქეობრივი უფლება დაიმკვიდრა მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე, მას თითქმის არ თარგმნიან. ამ სახელს არქმევენ ახალშობილს —გოგონაა იგი თუ ვაჟი, მხედველობაში ვერ იღებენ რა რუსული სიტყვის გრამატიკულ წესს. ახალშობილს, თანამგზავრის მსგავსად, ცხოვრების ნიშნად უდებენ ნოვატორობას, სახელგანთქმულობას, მშვიდობას, მოწონებას, აღტაცებასა და ბედნიერებას... ბევრ ახალგაზრდა შეყვარებულთ გადაუწყვეტიათ სწორედ ამ განსაცვიფრებელ დღეებში შეერთდნენ იმის სიმბოლოდ, რომ იყვნენ ნამდვილი ბედნიერი თანამგზავრები ცხოვრებაში.

დიადი კომუნისტური პარტიის მიერ გაღვიძებულმა შემოქმედებითმა გენიამ მასებისამ ნამდვილ ზენიტს მიაღწია — მოახდინა ის, რაც ღმერთებსაც არ ჰქონიათ გათვალისწინებული.

გამარჯობათ, ბავშვობის დროის ტკბილო ზღაპრებო, „ცის კარის გახსნაზე“ მომჯადოებლად რომ მიამბობდით! დიდება კაცობრიობის სანუკვარ ოცნებათა ახდენას!

საბჭოთა მთვარემ შეაღო კოსმოსის კარი! ჩვენი პლანეტიდან სამგზავრო ბილიკი ხიდად იდება ვარსკვლავებამდე. მეცხრე ცა გეღებათ, პოეტებო, ხილული დაბალ ჭერად რომ მიგაჩნდათ!

ეს პირველი ეტაპია მგზავრობისა ვარსკვლავებამდე, იერიშისა კოსმოსზე. ეს სამყაროზე ადამიანის გაბატონების

დიადი დასაწყისია. ბედნიერების საბჭოთა ვარსკვლავები ჩვენი პროგრესის სიმბოლოა...

ვარსკვლავიან ფაფახებს ჰაერში ისროდნენ ჩვენი გმირი მამები ცხრაასჩვიდმეტის ოქტომბერში გამარჯვების შესახვედრად. ახლა ჩვენმა ხალხმა გამარჯვების ნიშნად, დიდი ოქტომბრის პატივსაცემად კოსმოსში აუშვა ვარსკვლავები — მომავლის უშიშარი მზვერავები.

როცა ახდება კაცობრიობის სანუკვარი ოცნება — აღიმართება კომუნიზმის დიადი შენობა, ხოლო დაპყრობილი და ათვისებული იქნება კოსმოსური სივრცე, საიდანაც ჩვენი პლანეტა ზღაპრულ ბურთად გამოჩნდება, — ბედნიერი ადამიანები ამ „ბურთს“ სიმბოლურად შემოავლებენ წითელ წრეს და ახალ რუკაზე მას დააწერენ: „დედამიწა — სამყაროს დედაქალაქი“.

ნოემბერი, 1957.

ომის ნაკვალევი

— გვტოვებ, აბა, სანდრო? მიდიხარ?

— რა თქმა უნდა, თამარ. ქვეყანას ცეცხლი უკიდია, შინ დარჩენა როგორ შეიძლება!.

— რა ვუყო ამ ბავშვებს, ადამიანო!

— ნუ, ნუ, შენ გენაცვალე, ტირილით ნუ გამაცილებ!..

— როგორ არ ვიტირო... ოთხი ბავშვი... მე თვითონ კარგად რომ ვიყო, აღარ შემეშინდებოდა. ახლა კი რა ვქნა?

დროდადრო ოდამდე აღწევდა აფრთონებული ზღვის გუგუნი. ზუზუნებდა სუსხიანი ქარი, თითქოს ოჯახის მწუხარებას ბანს აძლევსო.

— მე ალაგესთან დაგელოდები, დედას ვახარებ შენს დაბრუნებას! — ეტიტინება მამას ქალიშვილებში უფროსი ქვათია, არა უმაღლესი მამის მუხლებისა. გადაადგამს მამა ერთ ნაბიჯს, შვილი — ხუთს, რომ მამას დაეწიოს...

ასე გააცილა ანაკლიელი სანდრო საჯაია ოჯახმა. ეს იყო ორმოცდასამი წლის ზამთარში.

ამაოდ დასკუპდებოდა ხოლმე ალაგეზე ქვათია და ამაოდ გასცქეროდა ანაკლიის გზას, ელოდა ომში დაკარგულ მამას. მაგრამ ისე მტერი დაგიბრუნდეთ, როგორც სანდრო საჯაია დაუბრუნდა თავის ოჯახს.

რას იზამ, ომი ომია, ვაჟკაცი იყო სანდრო და ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა, მაგრამ ოჯახს მეორე უბედურებაც დაატყდა თავს.

— მოხველი, შენი სულის ჭირიმე? დედაია, დედაია, გოგო, გოგო, ქვათია, გააღვიძე ბავშვები. მოვიდა, მოვიდა!.. — და მერე წივილი, კივილი შუა ეზოში. მოცვივდებიან კარის

მეზობლები შუაღამეს ამ წიოკობაზე, მაგრამ სასიამოვნოს ვერაფერს ხედავენ — გაცბუნებულნი, დოინჯშემოყრილნი უცქერიან ასეთ სურათს: დგას შუა ეზოში თამარი, ჩაუცვამს ქმრის ტანსაცმელი, გაუწეწია თმა...

ერთხელ, ორჯერ ასე და მერე მეზობლები შუაღამის ამ წიოკობაზე, ამ ნაჩვევ ხმაურზე გამოღვიძებით კი გამოიღვიძებენ, მაგრამ უკმაყოფილოდ მხარს შეიქცევენ ლოგინში და ძილს განაგრძობენ.

მაგრამ ერთხელ, ღამე, უკვე აღარ შეიძლებოდა განწირულის არაჩვეულებრივი კივილის წაყრუება. მოვიდნენ, ხედავენ — თამარი იგლეჯს ტანზე ქმრის ტანსაცმელს, შორიახლო დგას ტიტლიკანა ქვათია და დედას შესტიტინებს...

— მამა გაგვლახავს, მამა გაგვლახავს...

ბავშვები მეზობლებს ჩააბარა და უფროსი და ქუთაისის საავადმყოფოში წაიყვანა მოსწავლე ბაბუცამ, ბავშვების დეიდამ. ერთი თვე თავს დასტრიალებდა დას. იმედის ნატამალი არ იყო, რომ ავადმყოფი მოიხედავდა.

აქ — დის ტანჯვა, ანაკლიაში — უსუსურ დისშვილებზე დარდი...

ოთხი პაწია ბავშვის დედა ქუთაისში გარდაიცვალა.

დაბრუნდა ბაბუცა დისშვილებთან ანაკლიაში. დაანება თავი სწავლას. რას გააწყობდა — ოთხი ბავშვი, რომელთაგან ყველაზე უფროსი ექვსი წლისაც არ იყო, ახლა მის ანაბარად დარჩენილიყო.

ობლები ზუგდიდის უდედმამო ბავშვთა სახლმა მიიღო. ეს იყო ორმოცდასამი წლის ბოლოს. ობლების დედობა სახელმწიფომ იკისრა.

და აი ზედიზედ გაფრინდნენ წლები...

მაგრამ სჯობს სიტყვა დავუთმოთ თვით ნორას, ბავშვობაში ქვათიას რომ ეძახდა დედა, ალაგუსთან დასკუპებული ამაოდ რომ ელოდა მამას ფრონტიდან; ის ახლა შავთვალწარბა ქალიშვილია, ბრინჯაოსფრად მზემოკიდებული; მას მორცხვად დაუხრია თავი და ამბობს:

— მივდივარ, სათქმელი დალაგებული მაქვს, გზაში

ვვარჯიშობ, რომ აზრი უკეთ გამოვთქვა, ვსაუბრობ საკუთარ თავთან: აი ასე მოვუყვები ამბავს ჩემი წარმოების ხელმძღვანელს. ის ხომ ჩემი აღმზრდელია, მრთველის პროფესია მან შემასწავლა. იგი გამიგებს და განზრახვაზე ხელს არ ამაღებინებს. მე აქ ვეღარ დავიცდი, ანაკლიაში უნდა წავიდე.

აი შევედი დირექტორის კაბინეტში. ღმერთო ჩემო, რად მებმება ენა, სად მიქრება და მეფანტება სათქმელი: „ო, ნორა, ჩემო გოგონი, შენ ტყუილად არ მოხვიდოდი!“ მომიკვამს იგი გვერდით, მაგრამ ენა უკვე ჩავარდნილი მაქვს. სულ სხვა რაღაცას მოვიმიზეზებ, სათქმელს ვეღარ ვამბობ და ცრემლით სავსე გული მომაქვს უკან, ჩემს ოთახში,საერთო საცხოვრებელში, ჩემსავით ავბედგამოვლილ დობილთან და თანამედაზგესთან, ლიზიკო ტომოცოვასთან. ლიზიკო მტუქსავს; „ო, რა ხარ, რა გლახა ხარ, საკვირველია, როგორ მიაღწიე შენ მეცხრე კლასამდე!“

დავწერ, დავწერ ყველაფერს, შევიპარები დირექტორის სამუშაო ოთახში, ჩუმად დავუდებ მაგიდაზე იმ ქაღალდს და გამოვიქცევი, რომ მან ჩემს თვალებზე ცრემლი არ შენიშნოს; მერე, როცა გამომიძახებს, ცრემლი ალბათ გადამივლის და მას პირდაპირ შევხედავ სახეში. მე მრცხვენია, რომ ვითხოვ წასვლას, იქიდან წასვლას, სადაც გავიზარდე, მაგრამ განა შემიძლია ვიყო აქ? ასე მგონია, თუ ანაკლიაში, მამისეულ სახლში ფუტს გავაღვივებ, დებიც იოლად მომნახავენ! აი, თქვენ გეტყვით, თქვენ გიამბობთ, იქნებ რითიმე დამეხმაროთ!

და ქალიშვილი განაგრძობს:

— ჩვენ ოთხნი მიგვიყვანეს საბავშვო სახლში. ეს იყო ორმოცდასამ წელს. ახლა ყველაფერი ბურუსშია გახვეული, მაგრამ მაინც მახსოვს ჩემი დების სახეები. დებში უფროსი მე ვიყავი. გულში ვიხუტებდი ნელის, ყველაზე უმცროსს. ვიწექით ერთ ლოგინში, ველოლიავებოდი, ვკოცნიდი. დედა არა ჰყავდა, მისი დედა ახლა მე უნდა ვყოფილიყავი; თოთო იყო, ძნელი მოსავლელი; ერთ წუთს ვერ ვძლებდი უიმისოდ. ოი, მაპატიეთ, გაწუხებთ ჩემი ცრემლებით... მერე იცით, რა

მოხდა? გამოვიღვიძე ერთ დილას და ვხედავ: ჩემი ნელი აღარაა ლოგინში. „ნელი, ნელი!"—ვიძახი. წამოიშალნენ ლილი და ვერაც, „ნელიო", ეძახიან ისინიც. ეზოში გამოვცვივდით. ეზოში რა უნდოდა, მას სიარულიც არ შეეძლო. „ნუ ტირით, გენაცვალეთ, ნელი კარგმა კაცმა წაიყვანა შვილად, იქ არანაკლებ ბედნიერი იქნება, ვიდრე აქ!" — მეუბნებიან. მე ეს არ მესმის, რას ნიშნავს. ბედმა არც ეს მაკმარა, ორ მომდევნო დასაც მომაშორა. ისინი ზუგდიდის საბავშვო სახლიდან, როგორც ჩვილები, სურამის საბავშვო სახლში გადაიყვანეს.

მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე, ზუგდიდის საბავშვო სახლიდან თბილისში, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში მომიყვანეს, დავიწყე დების ძებნა. ვიყავი სურამში, მითხრეს შენი დები გაშვილებულები არიანო, ორივე ერთმა კაცმა წაიყვანაო, — ვინ — ჩემთვის უცნობია. ვიყავი ზუგდიდში, ანაკლიაში, ვნახე ჩემი დეიდა ოტობაიაში, მაგრამ ვისზეა გაშვილებული ჩემი პაწია ნელი, ესეც ჩემთვის უცნობია, ვერავინ მეუბნება. მე ახლა მოზრდილი ვარ, ვკითხულობ, ვწერ, მესმის ცხოვრების ავ-კარგი, უკეთ გამეგება ყველაფერი, ჩემთვის საკვირველი როდია, რომ დების ამბავს ზუსტად არავინ მეუბნება. მარწმუნებენ მხოლოდ, რომ ისინი ცოცხლები არიან, საიმედოდ არიან. მე ვიცი, რატომ ვერ ვგებულობ მათს ბედს, და რაც მთავარია, მათს მისამართს; არ გაგიმხელენ, შვილო, მეუბნებიან უფროსები, შენი დების ამბავსო, რომ შენი დების სიყვარული შეძენილი დედებისა და მამებისადმი არ გაიყოსო, განზე ცქერა არ დაიწყონო, გული გამზრდელებზე არ აიცრუონ და ნაპოვნ დას არ მიეკედლონო.

მე მესმის ეს ყველაფერი.

არ გიშლით, კეთილო ადამიანებო! რა მეთქმის თქვენთვის მადლობის მეტი, მოვალ, მუხლებს დაგიკოცნით, რომ ჩემი უსუსური დები იშვილეთ და გაზარდეთ, თუმცა საბავშვო სახლშიც მათ არაფერი უჭირდათ, ცრემლებს დავღვრი, ოღონდ ცოტა, ამის ნება მომეცით... იყვნენ ისინი თქვენს შვილებად, არავინ გართმევთ, არავინ გეცილებათ, მაგრამ

თქვენ გესმით, რასაც აკეთებთ, როცა დებს ერთმანეთის კვალს უკარგავთ? ოთხივე და უკვე მოწიფულია, აი, გათხოვდებიან ისინი, ერთმანეთისათვის უცნობნი, შექმნიან ოჯახს, ეყოლებათ შვილები, გაირბენს დრო, დაიზრდებიან დების შვილები, ერთმანეთისათვის უცნობნი და უცხონი... ეჰ, რა საჭიროა, გავაგრძელო!..

მე და ლიზიკო ერთ ოთახში ვცხოვრობთ. დიდ სარკესთან რომ ვირთვებით, გვინდა თითქოს ჩვენი ბედი ამ სარკიდან ამოვიკითხოთ, შემომეხვევა უკანიდან კისერზე ლიზიკო, თითქოს ჩემზე ნაკლები იყოს და მკოცნის. „გოგო, — მეუბნება, — შენ არც კი იცი, რა კარგი ხარ". მე ვტირი ამ დროს; მას რა უჭირს, მან ძმა მონახა. ხიდისთავში ტრაქტორისტად არ ყოფილა? ისე ჰგვანან ერთმანეთს... მე კი ცრემლი ღაპაღუპით გადმომდის... მე მაგონდება ჩემი ბავშვობის ბურუსიდან, რომ როცა ოთხივე დას ერთად ვინმე დაგვინახავდა, არ შეიძლებოდა არ წამოეძახა: დედა, როგორ ჰგვანან ერთმანეთსო! მე სარკეში განა იმიტომ ვიცქირები, რომ ჩემი თავი მომწონს, ჩემს სახეში ვეძებ ჩემს დებს. არაფერი დამახსოვნდა ხუთი-ექვსი წლისას, თუ რაიმე დაბადებით დაყოლილი ნიშანი გაქვთ, იქნებ ამით მაინც მეპოვნეთ... თქვენ ალბათ, გვარებიც გამოცვლილი გაქვთ, თქვენ, მაშინ სულ პატარებს, აღარაფერი გახსოვთ, მიენდეთ, მიეკუდლეთ, მიეხუტეთ უსუსურნი თქვენს წამყვან კეთილ ადამიანებს და არც კი იცით, რომ თქვენი უფროსი და, ვისაც ცოტათი მაინც ახსოვს თქვენი დედა, მამა, ცოცხალი და ჯანმრთელია. მხოლოდ ის მაწუხებს, რომ თქვენი ამბავი არ ვიცი.

გეძებთ, დებო, ხმა გამეცით!

...შუადღე გადასული იყო, ამას რომ ვისმენდი, ქვითინსა და ცრემლში ნაამბობს. იმავე ღამეს მე გზას გავუდექ, ვიყავი ზუგდიდში, საბავშვო სახლში, ვესაუბრე აღმზრდელებს, ნორასთან ერთად აღზრდილებს, რომლებიც ახლა დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე დგანან, ვიყავი ანაკლიაში, საჯაიების გაცივებულ ფუძეზე, სახლი აღარ არის, ხოლო ეზოში იქაურ სკოლას საცდელი ნაკვეთი აქვს. გადავაბიჯე ალაგეს,

სადაც პატარა ქვათია დასკუპდებოდა ხოლმე და ანაკლიის გზებს გასცქეროდა მამის მოლოდინში. იქ კერა გაცივებულია, მაგრამ ვნახე და ვესაუბრე სანდროს და თამარის მეზობლებს...

ყველაფერი, რაც ამ საბრალო ბავშვმა თავისი ბურუსით მოცული წარსულიდან აღადგინა და მიამბო, მართალი აღმოჩნდა; დასტურდება, რომ მისი უმცროსი დები ცოცხლები არიან და ხარობენ აღმზრდელებთან ერთად. ნორას კი სურს გაიგოს, ბედნიერები არიან მისი დები, თუ უბედურნი.

და ეძებს თავის დებს, კეთილო ადამიანებო, მოეცით ხმა!

ლილი, ვერა, ნელი! თუ სახელიც არა გაქვთ შეცვლილი, თქვენ გეძებთ თქვენი უფროსი და, გამოეხმაურეთ, ნუ დატოვებთ ღიად ჭრილობას, რომელიც თქვენი დედ-მამის ოჯახსოვმა მიაყენა!

მისამართი თქვენი დისა ასეთია:

თბილისი, ზესტაფონის ქ. № 3, მუშათა საერთო საცხოვრებელი, მე-2 სართული, ოთახი № 18. ნორა სანდროს ასული საჯაია.

თქვენი მისამართი?

მაგრამ რომელი მიმშვილებელი გაგიმხელს, რომ მისი სათაყვანებელი არსება ნაშვილებია? რას უშვრებით იმ მადლსა და ამაგს, რაც მათ გამოუჩენიათ და გაუწევიათ? როგორ თუ გამოეხმაურონ დები ერთმანეთს? ეს ბზარი ხომ არ იქნება ოჯახისათვის, ელდა ხომ არ იქნება შეძენილი დედებისა და მამებისათვის? ეს ხომ, ალბათ, სიხარულიც არის და მწუხარებაც დებისათვის, სიხარული იმიტომ, რომ მათ ერთიმეორე იპოვნეს, მწუხარება კი იმიტომ, რომ გაქრება ბედნიერი რწმენა, გაქრება რწმენა იმისა, რომ ნამდვილი მშობლების ფრთებქვეშ იზრდებოდნენ, სინამდვილეში კი თურმე „აყვანილი“ ბავშვები ყოფილან! განა არა ჯობს ყველაფერი ძველებურად იყოს და ნაცარმიყრილ ნაღვერდალს აღარ ვუჩიჩხინოთ?

მაგრამ რა ქნას ნორამ, რომელსაც ყველაფერი ახაოვს? რა ქნას ქალიშვილმა, რომელმაც არ იცის დების ბედი, და

მათი მოგონება, სიყვარული მოსვენებას უკარგავს?... რა ქნას ნორამ, რომელმაც კარგად იცის, რომ დედა მოუკვდა, მამა ომში დაეღუპა, უმცროსი დები კი ცოცხლადვე დაჰკარგა ისე, რომ ველარ იცნობს მათ, კიდეც რომ ნახოს?! სად არის გამოსავალი?

აი ძნელად გადასაწყვეტი კითხვები, რომლებიც ებადება ადამიანს, და სწორედ ამიტომ დავარქვი ამ სევდიან ამბავს „ომის ნაკვალევი“.

აგვისტო, 1958.



სიცოცხლის ტრფობა

რატომ ისჯება ასე ეს ადამიანი, რომელსაც მხოლოდ სიკეთე უთესია ამ ქვეყნად?

იგი ახლა ბავშვივით არის, გინდა ეალერსო, ესიყვარულო, გულში ჩაიკრა მშობელ დედასავით. უცქერი, აკვირდები, თვალს ვერ აშორებ. გაუთავებელი წიგნია მისი თვალები, ეწაფები, კითხულობ და ვერ ამოგიწურავს, სულ ახალი და ახალი ფურცლები იშლება. მას რა უნდა ელაპარაკო, მას მხოლოდ უნდა უსმინო, თანაც შიში გიპყრობს — იქნებ დაიღალა! იქნებ უნდა, რომ დატოვო მარტო თავის ფიქრებთან და სამყაროსთან და უნდა, რომ წახვიდე. იგი ხომ არ გეტყვის, წადიო. და სავარძელში კი არა, თითქოს ეკლებზე იჯდე! წამოიწევი, ეკითხები, ხომ არ შეგაწუხეთ, ხომ არ დაგღალეთ, წავალ ახლა...

— ღმერთო ჩემო, — გიპასუხებთ, — აი უკვე მოსაწყენი გავხდი, ათი წუთი და თქვენ უკვე მიიწევთ ჩემგან... ჰო-და, იმას გიამბობდით...

და იგი განაგრძობს ისეთ ტკბილ საუბარს, ნეტავ არ შეწყვიტოს.

ნეტავ რამე შეეშალოს ლაპარაკში, რამე დაულაგებელი და ულოგიკო წარმოთქვას. აღარ შეგებრალება მაინც, გულს დაიმშვიდებ — რას იზამო, იტყვი, ყველაფერი ხომ იბადება, ვითარდება, ბერდება და... მაგრამ სიბერეს რომ მასში ვერ ამჩნევ? ხოლო სიკვდილი დამარცხებულია და განდევნილი ამ პატარა ოთახიდან, იმ სარეცლიდან, რომელზეც მიჯაჭვულია. სიკვდილი ისე სამარცხვინოდ დამარცხებული და უკუქცეულია! საკუთარი ძალის რწმენა ამარცხებს სიკვდილს. მაგრამ რა ძალაა ეს, რომლის ღრმა რწმენა სიცოცხლეს ამკვიდრებს?

განა ფიზიკური ძალა! ადამიანის რა ფიზიკურ ძალაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მას ორივე ფეხი დამბლით აქვს წართმეული, მარჯვენა ხელიც წართმეული აქვს, ლოგინში ვერ გადაბრუნდება, არის ისე, როგორც მიუსწარით — პირაღმა, თეთრ, გაქათქათებულ ლოგინში, თოვლივით თეთრ თავზე თეთრი დოლბანდი აქვს გადაფარებული, საწოლიდან გამოშვერილ და სკამზე მოწყობილ ხის ჩარჩოში ჩასმულ მკვდარ მარჯვენა მკლავზე თეთრი ტილო აქვს გადახურული. ცოცხალია მასში მხოლოდ ორი თვალი, მხოლოდ ეს ორი თვალი იწონის რაღაცას, საოცრად მეტყველი ორი თვალი. თუ არა ეს ორი თვალი, მთელი ეს სხეული ბუმბულივით შეუერთდებოდა ჰაერს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება გრჩებათ. მეტყველი, ჭკვიანი, ახალგაზრდული თვალები! თუ თვალები არის, თურმე ადამიანს ვეღარაფერი შეცვლის. მე თითქოს ახლა ვიგრძენი თვალების მნიშვნელობა, თურმე ისინია, რომ გაბერებენ და გაახალგაზრდავებენ, თვალები გხდიან ბოროტსაც და კეთილსაც, ლამაზსაც და შეუხედავსაც. თვალები გულის სარკეა. ამ სარკეში კი ისეთი გული ჩანს, ისეთი სული — უტეხი, უდრეკი, მე ვიტყოდი —ქართული!

ფიზიკურ ძალაზე აქ ლაპარაკი ზედმეტია, ფიზიკური ძალა აღარ არის. რა ძალაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, რომელიც ლოგინში სხეულს ვერ შეანძრევს, მარცხნიდან მარჯვნივ ვერ შეაბრუნებს! ძალა აქ სულშია. აი ასეთ სულიერ ძალაზე მინდა მკითხველო, ამ წერილში გელაპარაკო.

იგი რომ ჩვეული იყოს მყარ, უძრავ, უდარდელ, ერთფეროვან ცხოვრებას, არაფერს ვიტყოდით მის დღევანდელ მდგომარეობაზე. ამ ნათელ საწოლ ოთახში შემოჭრილია ცხრაასხუთის რევოლუციური დემონსტრაციების ქარიშხალი, ამ ოთახში მოტანილია დაუცხრომელი წარსული: სასწავლებლიდან გარიცხვა, ექსტერნად კურსის ჩაბარება, მასწავლებლობა ჭიათურაში, ქალთა სკოლის დაარსება, არალეგალური რევოლუციური კრებები, დევნილ რევოლუციონერთა მფარველობა, არალეგალური ლიტერატურის გავრცელება, ფეთქებადი მასალების შენახვა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის

კომფრაქციის აქტიური წევრობა, სტუდენტობა მოსკოვში. სტუდენტთა არალეგალურ წრეებში მუშაობა, დიდი ოქტომბრის დღეებში — მებრძოლ სანიტართა რაზმი ლეფორტოვოს რაიონში, ცხრაასოცდაერთიდან — საქართველოში, პედაგოგიური მოღვაწეობა სკოლებში, ჭიათურის საქალაქო საბჭოს წევრობა, განათლების სექციის თავმჯდომარეობა, შორაპნის მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრობა, აქტიური მუშაობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მრავალი ათეული თაობის აღზრდა...

ახლა ეს ბობოქარი სიცოცხლე ამ ერთ ოთახშია მომწყვდეული, სარეცელზე გაკრული. გუშინ კი არ მოსვლია. ოცდაორი წელიწადია ლოგინად არის, ექვსი უკანასკნელი წელი — გაუნძრეველად სარეცელზე მიჯაჭვული.

ძალგიძთ იმის წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს ცოცხალი ადამიანი იწვეს ერთნაირად, ამოძრავებდეს მხოლოდ თავს და მარცხენა ხელს, და ეს მდგომარეობა გრძელდებოდეს არა ერთ დღეს, ან ერთ თვეს, არამედ ექვს წელიწადს?!

ხომ გმირობაა! მაგრამ გმირობა ის არის, რომ ეს ადამიანი ცხოვრებას ერთი წუთითაც არ ეთიშება, იგი კვლავინდებურად ჩართულია მის ბობოქარ დუღილში. გაზეთები, ჟურნალები, წიგნები მისი განუყრელი მეგობრებია, არც ერთი მოვლენა, კულტურული იქნება იგი, ეკონომიური თუ პოლიტიკური, მას არ გამორჩება. რა საკითხზე გინდათ მასთან საუბარი ჩამოაგდოთ, რომ ცხარედ არ გამოგელაპარაკოთ, თავისი ჭკვიანური, ნათელი აზრი არ გაგიზიაროთ. თითქოს ეს-ეს არის დაბრუნდით მასთან ერთად ამ პატარა ოთახში საჯარო დისკუსიიდან და განაგრძობთ მსჯელობას. თითქოს აი ახლა წამოწოლილა იგი დაღლილი, შორგზაგამოვლილი. სხვანაირად ვერ იფიქრებთ. რატომ არ ეხატება ამ ადამიანს ფაქიზ სახეზე უმაგალითო ფიზიკური ტანჯვის ნაკვალევი! ექვსი წელიწადია მისთვის სამყარო —ბუნება თავისი ფერებით, სილამაზით, მზით, ჰაერით, ნათელი თუ ღრუბლიანი ცით, თოვლით თუ წვიმით მხოლოდ აი ამ სარკმლიდან არის დანახული. რა ხდება იმ კედლებს იქით, რომელთა შორის იგი მომწყვდეულია, მას მხო-

ლოდ აღქმით შეუძლია წარმოიდგინოს. ასეთ მდგომარეობაში შესაძლოა ადამიანმა ისურვოს მარტოობა, მაგრამ მისთვის კაცის მოსვლა ოთახში მზის სხივების შემოჭრის სადარია. იწყება ცხარე სჯა-ბაასი.

ყველა პროფესიის ადამიანს თავისებური დახვედრა აქვს ამ ოთახში. ყოფილი მასწავლებელი ყველასთან გამონახავს საერთო ენას. არავის უმალავს, რომ მას განსაკუთრებით აღელვებს მუშების შემოსვლა. მაღაროების სუნთქვა შემოაქვთ. ოთახში კუნთმაგარ, მკერდგაშლილ, ხელებდაკორძებულ თავის ყოფილ მოწაფეებს. ესენი ხომ იმ ქარიშხლიანი ცხრაასხუთის პროლეტარიატის შთამომავლები არიან. იგი წამით მილულავს თვალებს, სტუმრებთან, ბაასით გულგაჯერებული, და ფიქრებს გადაჰყავს შორეულ წარსულში. იგი ფიქრით დგას მაშინ ამ ახალი, ბედნიერი მუშების წინაპართა რევოლუციური დემონსტრაციის რიგებში, და სიხარულით ახელს თვალებს, რომ იმ რევოლუციურმა წარსულმა შვა ეს ბედნიერი აწმყო.

მის საწოლთან, კედელზე, ელექტროღილაკს ზევით დიდი ფოტოსურათი იპყრობს თქვენს ყურადღებას — ახალგაზრდა ქალი თავისი ბიჭუნათი. ეს მარგალიტას ყოფილი მოწაფეა, ახლა ცნობილი ქართველი მეცნიერი ქალი. შორიახლო მაგიდაზე დიდი ალბომია. აქ, ფოტოებზე გამოსახულია ამაღელვებელი ეპიზოდები — გამოშვების ოცდაათი წლისთავზე ამაგდარი მასწავლებლის გარშემო, მის საწოლ ოთახში თავი მოუყრიათ ყოფილ მოწაფეებს — მუშებს, ექიმებს, ინჟინრებს, აგრონომებს, ეკონომისტებს, პედაგოგებს.

— ჩემს ნუნუს და სოსოს მე ისედაც ყოველთვის ვხედავ. ამათ კი ვერა. მათი სურათები ამიტომაც მაქვს ასე ახლოს, გულთან ახლოს!

ნუნუ მისი ერთადერთი ქალიშვილია, კარგი სპეციალისტი, ექიმი. სოსო — სიძეა მარგალიტასი, მაღალი, ახოვანი, კეთილშობილებით აღსავსე ახალგაზრდა ექიმი.

— ჩემი ნუნუ ახლა ვერ არის ჯანმრთელად. ამიტომ სოსო „შუამავალი“ ჩემსა და სამყაროს შორის. იგი არაფერს მაკ-

ლებს — გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს... რადიომიმღებს ჩართავს და მთელ ჩემს სამშობლოს დამაკავშირებს, ჩემი ხალხის ხმას გამაგონებს.

ერთ სქელტანიან წიგნზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ეს რომანია, მოძღვნილი. ისიც მისი ყოფილი მოწაფისაა. მისი საწოლის პირდაპირ მაგიდა დატვირთულია წიგნებით. აქ დევს მრავალნაირი წიგნი — მხატვრული, მეცნიერული, ისტორიული. ეს წიგნები მისი ყოფილი მოწაფეებისაა, მოძღვნის ფაქიზად და სიყვარულით გამოყვანილი ტექსტებით. ამ წიგნებს შორის არის კიდევ ერთი მოხსენების თეზისები. მისი ყდა სათაურით სტამბურად არის დაბეჭდილი. შიგნით ტექსტი რემინგტონზე დაბეჭდილია, ოცდაათიოდე გვერდს შეიცავს. მასზეც ფაქიზად არის გამოყვანილი მოძღვნის ტექსტი. იგი იპყრობს ჩემს ყურადღებას. პირველ ხარკს მოწაფე მასწავლებელს უხდის. იჩქარის მოწაფე ამაგდარ მასწავლებელს ამცნოს, რომ აი დგამს პირველ ნაბიჯს მეცნიერულ ასპარეზზე...

ყველა ამ ნაშრომზე მასწავლებელს თავისი აზრი აქვს, თავისი შენიშვნები. რწმუნდები, რომ მასწავლებელი მაინც მასწავლებლად რჩება. დიდია ახლა ცხოვრებაში მისი მოწაფე თუ პატარა, მასზე მაღლა დგას მაინც, როგორც დედა შვილზე. ამ მაგიდაზე ახლა ყოფილი მოწაფეების წიგნები აწყვია. მთელ საქართველოში ცნობილი არიან მათი ავტორები, ზოგიერთი მათგანი —მსოფლიოშიც. არც ისე დიდი ხნის წინათ კი ამავე მაგიდაზე ამ ავტორების საკლასო რვეულები ეწყო, მას უჯდა მარგალიტა მასწავლებელი და მკაცრი მომთხოვნელობით ასწორებდა. ახლა ეს დაფრენილი ბარტყები კვლავინდებურად გულისფანცქალით ელოდებიან მარგალიტა მასწავლებლის აზრს თავიანთ ნაშრომებზე, როგორც მაშინ, მოწაფეობის დროს საკლასო ნამუშევრების თუ საშინაო დავალების შეფასებას. მარგალიტა იჩქარის მიულოცოს თავის მოწაფეებს წარმატება, გაუზიაროს თავისი აზრი.

ამ საწოლ ოთახში, დიდი სახლის მრავალ ოთახს შორის გემოვნებით შერჩეულ ნათელ ოთახში ფეთქავს დაუცხრომე-

ლი გული, რომელიც ათასი ძაფით დაკავშირებულია ქვეყნის ყველა კუთხეში მოღვაწე ყოფილ მოწაფეთა ბედთან.

...კარი გამოიღო. ჯერ ერთმა, დიდი პეპლის მაგვარ ბანტიანმა გოგონამ შემოიჭვრიტა, მერე მეორემ, მათ მესამე და მეოთხე შემოჰყვა...

— აა, მოვიდნენ ჩემი მერცხლები. რატომ დაიგვიანეთ?

— ხუთი გაკვეთილი გვქონდა, მარგალიტა დეიდა!

— ესენი მიხანგრძლივებენ სიცოცხლეს, — მოგვიბრუნდა მერე ჩვენ მარგალიტა. — აბა, დასხედით, მერცხლებო, აი აქეთ. შენ, ნელი, ჩემთან ახლოს!..

და იწყება ნამდვილი გაკვეთილი. მარგალიტა განაგრძობს მასწავლებლობას, ამეცადინებს უბნის ბავშვებს. ეს მისი მოთხოვნილებაა.

...რა არის ყოველივე ეს, თუ არა სულის სიმხნევე, კაცთმოყვარეობა და ამიტომაც ტრფობა სიცოცხლისა?!

...მარგალიტა ისაის ასული ვაშაძე, —აი ვისზე გვქონდა საუბარი!

აგვისტო, 1958.
ჭ. ჭიათურა.



მშვიდობის ლამპარი

იულიუს ფუჩიკმა პანკრაცში დაწერა თავისი უკანასკნელი წიგნი „რეპორტაჟი სახრჩობელადან“. ეს წიგნი იწერებოდა ერთი ამოსუნთქვით. რაც ფუჩიკმა ვერ მოასწრო, იმის დაწერას მილიონები დღესაც განაგრძობენ. ასე დაუბარა მან მილიონებს — ბედნიერი დასასრული ბოლომდე დაეწერათ.

ამ დიდ წიგნს, რომელიც ფუჩიკმა დაიწყო და რომლის ბედნიერ დასასრულს მილიონები წერენ, ერთი საერთო სახელი ჰქვიან — მშვიდობა.

მოვიგონოთ, როგორ იქმნებოდა ეს ძეგლი.

წარმოიდგინეთ ბუნების სტიქიებს შორის ყველაზე ულმობელი — მიწისძვრა ღამით. და მერე, გათენებისას, როგორ ეძებენ გადარჩენილნი ერთმანეთს: ცოლი ქმარს, დედა შვილს...

მიწისძვრა! — ასეთი იყო ფაშისტების მიერ თავსმოხვეული ომი. გათენება! — ასეთი იყო მშვიდობის ძალების გამარჯვება ფაშიზმზე.

1945 წლის მაისში ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ ციხეებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოვიდნენ პატიმრები — წამებით მოსპობასა და მოკვლას გადარჩენილი ადამიანები. იმათ შორის, ვინც თავისუფლებას ეღირსა, იყო გუსტა ფუჩიკოვა, იულიუსის ერთგული მეუღლე და შთაგონება ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, შემოქმედებაში. ჯერ კიდევ რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში გუს-

ტამ პატიმარი ამხანაგებისაგან გაიგო, რომ მის ქმარს, იულიუს ფუჩიკს, „რუდე პრავოსა“ და „ტვორბას“ რედაქტორს, ბერლინში 1943 წლის 25 აგვისტოს ნაცისტურმა სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა. მაგრამ შეკითხვაზე ქმრის შემდგომი ბედის შესახებ მას ბანაკის ცივი და მაღალი კედლები დუმილით უპასუხებდნენ. განთავისუფლებულ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ცოლი შეუდგა ქმარზე ცნობების შეგროვებას. ცნობები საიმედოს ვერაფერს ეუბნებოდნენ გუსტას: გასამართლების ორი კვირის შემდეგ, 1943 წლის 8 სექტემბერს, იულიუს ფუჩიკი ბერლინში სიკვდილით დაუსჯიათ. მაგრამ ქმრის შესახებ ცნობებში, რომლებსაც ცოლი აგროვებდა, იყო ისეთი რამ, რაც სიკვდილს ამარცხებდა და ქმარს უკვდავებას ანიჭებდა: იულიუს ფუჩიკი თურმე წერდა როცა პანკრაცში იჯდა, წერდა გულის სისხლით სიკვდილის წინ, მაგრამ რწმენითა და მომავლის იმედით. რა მდგომარეობაში წერდა? —

...დასასრული? არა, ჯერ არ არის დასასრული, ჯერ კიდევ არა. მე ფეხზე ვდგავარ, დიახ, დიახ, ვდგავარ მარტო, სხვის დაუხმარებლად, და ჩემს წინ პირდაპირ ჭუჭყიანი, ყვითელი კედელია. შეშხეფებული. — რით? — მგონი სისხლით... დიახ, ეს სისხლია! მაღლა ვწევ ხელს, ვცდილობ თითი მიმოვუსვა სისხლიან კედელს. კი, მაშ, თბილია, ჩემი სისხლია!.. ვიღაც უკანიდან თავში მირტყამს და მიბრძანებს ავწიო ხელები და ჩავმუხლო; მესამე ჩამუხვლაზე ვეცემი...

მერე ვიღაც ვედროთი წყალს ასხამს მას, ვიღაც ქალი წამალს ასმევს... ის კი ანგარიშობს, რამდენი დარტყმის ატანა შეუძლია ჯანმრთელ ადამიანს.

რა მდგომარეობაში განიცდიდა და წერდა? —

...ჩემი ცოლი შემოჰყავთ.

— თქვენ ამას იცნობთ?

ვყლაპავ სისხლს, რომ მან არ დაინახოს, მაგრამ ეს ამაო ცდაა, რადგან სისხლი მდის ყველგან, სისხლი წვეთავს თვით თითებიდან.

ამას გუსტაზე წერს, იმაზე, ვისზეც მერე ამხანაგებს უთვლის: მომწერეთ, გეთაყვა, რა ამბავია გუსტას თავს, და გადაეცით მას ჩემი უნაზესი სალამი. დაე, მუდამ მხნედ და მტკიცედ იყოს, მარტო ნუ დარჩება თავისი დიდი სიყვარულით, რასაც მე მუდამ ვგრძნობ... მუდამ მინდოდა ის ბედნიერი ყოფილიყო, მინდა ბედნიერი იყოს უჩემოდაც...

რა ძალაა ის, რაც აიძულებს ერთმანეთის უსაზღვროდ მოსიყვარულე ადამიანებს ასეთი სცენა გაამართვინოს? —

—...არა, არ ვიცნობ, — თქვა ცოლმა და შიში გამოხედვითაც კი არ გამოამჟღავნა. ძვირფასო! შენ გაამართლე დანაპირები —არასოდეს არ მიცნო.

რა ძალაა ეს? —არ გაიცეს საერთო საქმე, არ ჩავარდნენ ამხანაგები, არ გაიხსნას კვანძი, ფაშიზმთან ბრძოლაში რომ შეკრეს თავისუფლებისმოყვარე ადამიანებმა.

რა მდგომარეობაში წერდა? —

...ვიღაცამ ოდესღაც გამოსაძიებელთა ოთახს პეჩეკის სასახლეში კინოთეატრი უწოდა. სხედან დაკითხვის, წამებისა და სიკვდილის მომლოდინე ადამიანები მერხებზე. მათ წინ არცაა, არც ბუნების წარმტაცი პეიზაჟი, და რაც მთავარია, არ არის თავისუფლება. ისინი, უძრავნი, გაშეშებულნი, ცივ, თეთრ კედლებს უცქერიან გამოძახების მოლოდინში. ეს კედლები ეკრანია. მასზე საოცარი ფილმების კინოლენტებს ახვევს გონება: ფილმებისას დედაზე, ცოლზე, შვილებზე, ჩამქრალ

კერაზე. სისხლზე, მამაც ამხანაგებსა და გამცემლობაზე, სიძულვილსა და სიყვარულზე. ეჭვებსა და იმედებზე, საკუთარ სიკვდილსა და ნათელ მომავალზე, ფილმს იმაზე, თუ ვის და როგორ გადაეცი უკანასკნელი ფურცელი სისხლით დაწერილი სტრიქონებით...

* * *

ფილმი იმაზე, თუ ვის და როგორ გადაეცი უკანასკნელი ფურცელი სისხლით დაწერილი სტრიქონებით! — რა ძნელი წარმოსადგენიც უნდა იყოს, წერის საშუალებას იულიუს ფუჩიკს აძლევდა ციხის ზედამხედველი კოლინსკი. მას საკანში შეჰქონდა ქაღალდი და ფანქარი, ციხიდან კი გამოჰქონდა ნაწერი ფურცლები, ის ფურცლები, რომლებიც მერე გუსტამ შეაგროვა, მოაწესრიგა, და მკითხველს შესთავაზა, ფურცლები, რომლებმაც მერე შეადგინეს სისხლით დაწერილი უკვდავი წიგნი „რეპორტაჟი სახრჩობელადან“, რომელიც მსოფლიოში ყოველი პატიოსანი ადამიანის ნიადაგსახმარი წიგნი გახდა. წიგნი — მშვიდობისა და უკეთესი მერმისისაკენ მომწოდებელი. იულიუს ფუჩიკზე ძნელია წერა. ყოველი მისი სიტყვა აღტაცების გრძნობას იწვევს, აღტაცების და თაყვანისცემის.

იულიუს ფუჩიკი არ მომკვდარა. რა მოკლავს მას. განა ადამიანი დაბლდება იმით, რომ მას თავი მოჰკვეთეს?!

იულიუს ფუჩიკი და მისი წიგნი დღესაც მშვიდობის ლამპრად ანთია.

სექტემბერი, 1958.

გზას გვინათეგდა

გრიგოლ ბოგვერაძის ნაამბობი

არასოდეს არ აღმძვრია გულში ისეთი რაღაც გამოუთქმელი გრძნობები და ფიქრები — არ ვიცი რა დავარქვა — სიამაყე, სიხარული თუ ორივე ერთად, — როგორც იმ ღამეს ელმავლის საჭესთან.

ვინც მიცნობს, ალბათ მკითხავს: რა მოხდა ისეთი, ერთი წელია თუ ორი ელმავალს ატარებო.

საქმე ის იყო, რომ მე იმ მატარებლის ელმავლის საჭეს ვუჯექი, რომელსაც თბილისიდან მოსკოვში მიჰყავდა პარტიის XXI ყრილობის დელეგატები საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან.

ამას თუ დავუმატებთ, რომ მე აგრეთვე ამ ისტორიული ყრილობის დელეგატის მანდატით ჯიბეში ვუჯექი ელმავლის საჭეს, გასაგები იქნება ჩემი განწყობილება.

ხაშურში, ჩვეულებრივ, ცვლა რომ გადავაბარე, ვაგონში შევედი და მოვემზადე ჩემი კუპეს კარი ჩუმად გამომეწია, თვალები შემომაფეთა ჩემმა თანამგზავრმა, აგრეთვე დელეგატმა და დამიტატანა:

— კაცო, სად ხარ, ძმაო, მეგონა ჩამორჩი მატარებელს!

მე ღიმილი ვერ შევიკავე.

— ა! შეხედე? იღიმება კიდეც! დაიკავა კუპეში ადგილი და გაქრა... მომკალი შიშით.

რა მექნა, რა საჭირო იყო გამომეცხადებინა, რომ მე თბილისიდან ხაშურამდე სამსახურებრივი მოვალეობა უნდა შემესრულებინა. მერე თვითონაც ბევრი იცინა, რომ გაიგო საქმის ვითარება.

მოსკოვში ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ამჯერად სულ სხვა იყო ჩემი ჩასვლა. თითქოს პირველად მენახოს იგი. სულ ახლებურად განვიცადე ეს დიდებული ქალაქი. ხოლო კრემლის დიდი დარბაზი! მე სად მეყოფა სიტყვები გადმოგცეთ ის, რაც ამ დარბაზმა განმაცდევინა. ისე ვგრძნობდი, რომ მზე ჯერ აქედან იღებს სხივებს და მერე აფრქვევს მთელ დედამიწაზე. გახსოვთ, ამხანაგ ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვაში ასეთი ადგილი: — აი კვლავ გამობრწყინდა მზე. ჩვენი ყრილობის დაწყებიდან ბოლომდე იგი თან სდევს ყრილობის მუშაობას.

აი ამ დარბაზში მუშაობდა ჩვენი პარტიის ისტორიული რიგგარეშე ყრილობა და სახავდა ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების გზებს.

ჩვენ, დელეგატები საქართველოდან, ერთ მხარეზე ვისხედით. საკუთარი გულისცემაც კი გვესმოდა ისეთი დაძაბული ყურადღებით გვეპყრო თვალი ყრილობის ტრიბუნისაკენ.

თავმჯდომარემ ნიკოლოზ მამაი რომ გამოაცხადა, დიდხანს არ დამცხრალა ოვაცია. ჩემს გვერდით მჯდომმა ტყიბულელმა მეშახტემ პოლიაქტე ჭელიშვილმა მთელი ტანით წამოიწია და დასცხო ტაში, ხუმრობა ხომ არ იყო — თავის დონბასელ კოლეგას ხედავდა ტრიბუნაზე. როცა მამაიმ წარმოთქვა, რომ იანვრის გეგმა უკვე ვადამდე შევასრულეთ და დღეში ორნახევარ ნორმას შევასრულებთო, მე ერთხელ კიდევ ჩავუფიქრდი ჩემს საქმიანობას. აბა მე რით მოვედი ყრილობაზე?

ყრილობის სახელობის ჩვენმა ელმავალთა კოლონამ, რომელშიც რვა ლოკომოტივი შედის, ვალდებულება აიღო გადაეყვანა 600 მძიმეწონიანი მატარებელი, გადაეზიდა 350 ათასი ტონა ტვირთი გეგმის ზევით. ეს ვალდებულება ჯერ კიდევ 12 იანვრისათვის, საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობისათვის შევასრულეთ დიდი გადაჭარბებით და ქვეყანას 420 ათასი მანეთი ეკონომია მივეცით. მაგრამ ამ მონაცემებით გამოწვეული სიამაყე გამიქარწყლა ტამბოველმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ანდრეევამ. მან განაცხადა, ტამბოვის ოლქის მშრომელები ხორცისა და რძის დარგში შვიდწლედის დავალებას სამ წელიწადში შეასრულებენო.

შვიდწლედი სამ წელიწადში! — აი როგორია ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ინიციატივა. ახლა როდი კმარა უწინდელი ტემპები. სასტუმრო მოსკოვში, ორბინიან ლუქსში, ჩვენ ოთხნი ვცხოვრობდით ქართველი დელეგატები: ცნობილი არჩილ ძამაშვილი რუსთავიდან, მეშახტეები პოლიაქტე ჭელიშვილი ტყიბულიდან და ივანე ნაჭყებია ტყვარჩელიდან, და მე... მე საიდან? ძნელია თქვას ჩემი პროფესიის კაცმა, საიდან არის იგი. მე ელმავლის უფროსი მემანქანე ვარ. ჩემი მარშრუტია თბილისი — აქსტაფა — თბილისი —ხაშური. მე, რომ იტყვიან თვლებზე ვარ.

ხშირად მოგვსვლია „შეხლა-შემოხლა“ ბიჭებს, თუ ვინ ვისზეა დამოკიდებული.

— აზერბაიჯანიდან თუ არ მოგიზიდე მადანი, ტყვარჩელიდან და ტყიბულიდან — ქვანახშირი, ჭიათურიდან მარგანეცი, რას გამიკეთებ? — ვახელებ ახალშეძენილ მეგობარს, რუსთაველ არჩილ ძამაშვილს.

— თუ არ გექნა ჩემი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, რომელ ელმავალზე დაჯდები, არ დავინახავ?

— ან თუ არ მექნა ელექტროდენი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ჩემი მანქანა? — კვერს ვუკრავ მეც.

და მართლაც ჩვენი სამშობლოს რომელი კუთხიდან არ მოსულან ამ ყრილობაზე დელეგატები, სახალხო მეურნეობის რომელი დარგის მუშაკებს არ მოუყრიათ აქ თავი! და ყველა ისინი, სოციალისტური, შემოქმედებითი შრომით დამეგობრებულნი. აკეთებენ ერთ საქმეს — კომუნიზმის დიად საქმეს. შვიდწლედის საკონტროლო ციფრები, რომლებიც ყრილობამ დაამტკიცა, კიდევ უფრო მძლავრად და ურყევად ამეგობრებს ყველა პროფესიის ადამიანს.

მარად სამახსოვროა ჩვენთვის ყრილობის დღეები. რა დამავიწყებს იმ მომენტს, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა ჩვენთან, დელეგატებთან გადაიღეს სურათი. ჯერ ამხანაგმა ხრუშჩოვმა გაგვიცნო, მაგრად, სიყვარულით ჩამოგვართვა ხელი. რა დამავიწყებს დედაქალაქის

ღირსშესანიშნაობებს, რომლებიც დავათვალიერეთ, განსაკუთრებით კი ლენინის სამუშაო ოთახს კრემლში. აი სად იჯდა კაცობრიობის დიდი გენია და საიდან მართავდა კაცობრიობის საქმეს! ჩვენ თითქოს ვხედავდით ლენინს ყრილობის დარბაზში, კმაყოფილებით მოღიმარს.

ყრილობა რომ დამთავრდა, ჩვენ, რკინიგზის ტრანსპორტზე მომუშავე დელეგატები, მიგვიწვია ჩვენმა მინისტრმა ბეშჩევმა. მოგვიწყო ბანკეტი. სანამ ბანკეტი დაიწყებოდა, თავის მაგიდასთან მიმიხმო, წინ ედო ჩემ მიერ ადრე გადაცემული ქაღალდი. მე მას ჩვენი ელდეპოს სახელით ვთხოვდი დახმარებას — მოეცათ ერთი ამწე (ჩვენ საცხოვრებელ სახლს ვაშენებთ) და ერთი ავტომანქანა „გაზ-69“(ჩვენ ეს მანქანა ძალიან გვჭირდება ცვლების გადასაყვანად ბინებზე).

— ამხანაგო ბოგვერაძე, — ასე დამიწყო მინისტრმა მეგობრულად, იგი ადრე გავიცანი ჩვენი პროფკავშირების ყრილობაზე მოსკოვში. — ამწეს ჯერჯერობით ვერ დაგითმობთ, ჩვენ იგი ახლა დიდ მშენებლობებზე გვჭირდება. რაც შეეხება მანქანას, ეს — გექნებათ.

როგორ ჩაიარა ბანკეტმა, არც გამიგია, მიმეჩქარებოდა სასტუმროსაკენ, რომ ეს სასიხარულო ამბავი იმავე ღამეს მეცნობებინა დეპოში ამხანაგებისათვის..

...დავტოვეთ მოსკოვი წარუშლელი შთაბეჭდილებებით. გამოვეშურეთ საქართველოსაკენ. მთელ ამ გზაზე ლამპარივით გვინათებდა დიადი შვიდწლიანი გეგმა. ეს ლამპარი გაგვინათებს გზას მთელ ჩვენს შრომასა და მოღვაწეობაში.

მატარებლიდან რომ ჩამოვედი, მანქანით გავეშურე შინისაკენ, ცოლშვილისაკენ...

გულისძგერით ავირბინე კიბეები, რომ სამი კვირის უნახავი ბავშვები ჩავიკრა გულში. ვხედავ კიბეებზე ჩემს ამხანაგს. იგი გადამეხვია, და ცოტა არ იყოს შემანჯღრია კიდეც.

— ბიჭო, გრიგოლ, იცი?

— რა უნდა ვიცოდე?

— გუშინ ელდეპოში წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოგაყენეთ!

ყოველივე ამას არ სჭირდება, რომ იტყვიან, რისიმე დამატება. ერთს კი ვიტყვი:

მადლობა პარტიას, მადლობა ხალხს ამ პატივისა და ნდობისათვის!

თებერვალი, 1959.



მოიყვანეს პატარძალი

იმ მომენტიდან, როცა ახალგაზრდა კაცმა გულში ჩაიდო თავისი ცხოვრების ჩვეულებრივი დინებისათვის მიმართულების შეცვლა, თვითონაც საოცრად შეიცვალა. დაფიქრებული, რამდენადმე გულჩათხრობილი ეჩვენებოდათ იგი ტოლ-მეგობრებს. თვალახელილი დადიოდა, მაგრამ ირგვლივ თითქოს ვერავის ამჩნევდა... მხოლოდ საკუთარი გულის სიღრმეში იხედებოდა. ეს გული კი თურმე ზღვა ყოფილა —ახლაღა მიხვდა ამას — უძირო, ძნელად ამოსაცნობი. სანამ უშფოთველად ლივლივებდა ეს ზღვა, იგი მას ვერც გრძნობდა; ახლა კი რაღაც მანამდე უცნობ ძალუმ ქარს დაებერა და ეს ზღვა — გული—აეტალღებინა. სიყვარულის ნექტარნასვამი ტკბილ ბურანში დადიოდა ამ ზღვაგულის პატრონი და ვერც ვერავისთვის გაეზიარებინა თავისი ფიქრები. ჭაბუკური მორცხვობა და სიფრთხილე — გულისნადები არავის გაეგო — ადრე ტკბილ-მოუბარს ახლა კრიჭას უკრავდა.

ჭაბუკის ეს უცაბედი ნირშეცვლა ყველაზე ადრე თანშეზრდილმა ბიძაშვილმა ფუფამ შენიშნა, და იგი არ მოეშვა, სანამ დახურული გულის კარი არ გაუღო:

— გამონაპირდი ერთი, ჯუმბერ, აქეთ. რა ხასიათზე ხარ, გამაგებინე! — მოსდო განიერ ბეჭზე ფუფამ ხელი ბიძაშვილს.

ჯუმბერი ახალი დაბრუნებული იყო ოქუმიდან, სადაც, მომავალი აგროტექნიკოსი, პრაქტიკას გადიოდა. შინ ვერ მოიცადა, ადგილს ვერ პოულობდა. ნაშენისაკენ გამოეშურა, იქ თავისი ტოლი გოგო-ბიჭები ეგულებოდა, ნაშენის ზღვად გადაშლილ ჩაის პლანტაციებში. მზე არემიდამოს უხვად აფრქვევდა თავის ცხოველმყოფელ სხივებს. ნელი ნიავი სახეზე

ელამუნებოდა ჯუმბერს, შავგრუზა თმას უქოჩრავდა. ეს — მშობლიური ველ-მინდვრები ეამბორებოდნენ თავის ჭაბუკს.

— მომილოცავს, —დაარღვია მცირე ხნის დუმილი ჯუმბერმა, — უკვე კომუნისტური შრომის რგოლი გქონია.

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, — გააწყვეტინა ფუფამ, — ბიძაჩემი დამიდარდიანდა, ვაჟიშვილი მხარნაქცევივით დაიარებაო. შენზე ფიქრობს, — არ ასვენებდა ფუფა და მიიწევდა ცაცხვისაკენ. აგერ, ჟუნაც აქ არის. ჩამოვჯდეთ ამ მდელოზე, და გაგვიხსენ გული.

— ბიჭო, დიპლომის მიღების წინ მოიწყინე? აგროტექნიკოსი გახდი, უნდა გიხაროდეს... — ჩაურთო ახლა ჟუნამ.

— რაზე მელაპარაკებით, რას მატყობთ, არ მესმის,—უგულოდ ჩაილაპარაკა ჯუმბერმა, თუმცა ხედავდა, რომ ამ უდარდელი პასუხით მათს ცნობისმოყვარეობას ვერ დააკმაყოფილებდა.

— ამას დამიხედეთ! — თქვა ფუფამ, — ვითომ არაფერიაო.

რასაც დობილები ბიძაშვილის „მხარნაქცეობაში“ ხედავდნენ, მოწყენილობა, დარდი როდი იყო. ხვალინდელის ტკბილი მოლოდინი, ფიქრი მომავალზე, ღრმა შინაგანი სიხარული, რომელსაც სხვას ვერ გაუზიარებ, რამდენადმე შიშიც — დაბრკოლებას რასმე არ წავაწყდეო, თავის საკუთარ სამყაროში ჰკეტავდა ჭაბუკს. მაგრამ ამ ჩაკირკიტებულ ბიძაშვილს სადღა წაუვიდოდა.

— აბა... რაკი არ მეშვებით... — ჩაიბუტბუტა ბოლოს ჯუმბერმა.

— ჰო, ახლა, ამოშაქრე! — ვერ ითმენდა ჟუნა.

— ოქუმში დავიჭერი...

— ნანაია! — შეჰკივლა ფუფამ.

— სად, ბიჭო, მოგიკვდეს ჟუნა!

ხედავდა ჯუმბერი, რომ ესენი ცუდად ხდებოდნენ. გაიღიმა. მარჯვენა ხელი ნელა ასწია, და დაიდო გულზე.

— უჰ, შენ არ მოისპე, შენ არ მოისპე... — აქაქანდა გახარებული ჟუნა.

— ვინ, ჯუმბერ... — გადაფითრდა ფუფა, — რუხში ვერ დაეტევ...

— რუხში? სათოდუოში? — ჩაეკითხა ჯუმბერ თოდუა.

— რატომ... ცოტანი გვყავს სხვა გვარისა?

—ასე კი არ ხდება მაგ, ფუფა, გრძნობის საკითხია, გენაცვალე! — სერიოზულად ჩაერია თოდუების რძალი ჟუნა.

— ვინ არის მაინც, არ გვეტყვი?

ჯუმბერმა მხარზე გადაკიდებული პლანშეტი წინ გადმოსწია და გახსნა.

ფუფამ ნერწყვი გადაყლაპა. ჟუნა მოუთმენლად ისრესდა ხელებს და იჭვრიტებოდა პლანშეტში, რა ამოვა იქიდანო.

— მე გადავიღე, ამხანაგის „ფედით", როცა ასე შემომციცინებდა...

ამოვიდა პლანშეტიდან სურათი. სტაცეს ხელი აქეთ-იქიდან.

— არ გამიხიოთ, ახლა, არ გამიხიოთ...

— როგორ მორთულა, შენი ჭირიმე! რათ უნდოდა ჩაიში გმირობის ორდენ-მედალი...

— კაი თვალები აქვს... — თქვა ჟუნამ, — სახეზე, აქ ცოტა...

— ეგ გამომქლავნების დროს, — არ აცალა ჯუმბერმა, — შუქი დაეცა ამ ადგილას, ა!..

— ტანადი ყოფილა...

— ადელინა ფარცვანიას შენ გამოიყვან ნაშენში გმირის ვარსკვლავით?.. არ „ცხრებოდა" ფუფა, — შურა ბახტაძეს, მგონი, რაც მიიღო, მერე ერთხელ აქვს გაკეთებული მეზობლის ქორწილში. თავმდაბალი უნდა იყოს ადამიანი...

— ბებო ჭკადუას არ ეკეთა გუშინ კრეფის დროს? იტყვი შენც! —, იწყინა ჟუნამ.

— ის, გენაცვალე, „მებრძოლიდან" მოვარდა ფოტოგრაფი, და იმან თხოვა — ზეგ ნომერში უნდა დავბეჭდოთო.

— ჰო-და მეც ვთხოვე, რომ იცი ხანდახან უშნო ლაპარაკი. სამი დღე ვეხვეწე ამ ადამიანს გამოსულიყო ასე პლანტაციაში. მოგწონს? — მიუბრუნდა ჯუმბერი ჟუნას.

— თუ ორიგინალიც ასეთია... გვარი?

— უკეთესი. მე რა, ფოტოგრაფი ვარ, თუ? ჰო, გვარი ბულისკერიაა.

— ჯუმბერ, შენი ჭირიმე. ნათელა, ბიჭო? — წამოიძახა გახარებულმა ფუფამ.

— არა. ნათელა ბიძაშვილია ამისი.

— აბა სხვა ვინ არის იქ გმირი?

— სად, გოგო, ოქუმში? თერთმეტი გმირია იქ, თერთმეტი. მარტო ამის ოჯახშია სამი გმირი ამიანად.

— ო, აბა, იმენა იქნება ეს, ვიცი ახლა, საბჭოთა კავშირის დეპუტატი რომ არის, ხომ? — ჩაურთო ჟუნამ.

— სწორედ! — ჯუმბერმა ნიავისაგან ჩამოშლილი თმა თავის გაქნევით უკან გადაიყარა, — იცი, რა ადამიანია? — სული და გული..

—იცის ელიზბარ ბიძიამ? — ჰკითხა ფუფამ.

— საიდან. რაც არ მითქვამს... არც ლიდამ იცის.

— მერე? საპატარძლო მოგივა აქ და ის ეტყვის, თუ?

სწორედ ეს იყო სამძიმო და სადარდებელი. როგორ ეთქვა მამისათვის. საიდან დაეწყო. რომ თქვას „დამეკარგე აქედან, ჯერ რა დროს შენი ცოლიანობაა“?

მაგრამ ამ კუდრაჭა ფუფა თოდუას შენ გააჩერებდი? ეახლა სახლში ბიძას და ყველაფერი წვრილად უამბო. მერე კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაინაპირა კანტორაში, ანთიმოზ ბიძია, ასე და ასეა საქმეო, უთხრა, პატარძალი გვყავს მოსაყვანიო.

— ამისთანა საქმეზე კაცი მოვიდეს, კაცი! ეს იცი, რამხელა ამბავია ცხოვრებაში?..

მერგოლური ფუფა თოდუა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მზრუნველურ სიტყვებს რომ ისმენდა, შინ ჯუმბერის ბედი საბოლოოდ წყდებოდა:

— მოდი, ბაბაია, აქეთ, აგერ დაჯექი ჩემს გვერდით, შენი

სულის ჭირიმე, შენი ბედნიერებით გამახარე? შენს ბედნიერებას შემასწარი, შენ შემოგევლე?..

ჯუმბერი, ეს ლომივით ბიჭი, მამის სიტყვებით დამორცხვებული, მთლად მუჭის ოდენა ხდებოდა, მერე-და დედობილი ლიდაც, ვის ხელშიც ობოლი ბიჭი იზრდებოდა, გვერდით მოუჯდა! ლიდა სიხარულისაგან ტიროდა. ეხვეოდა, კოცნიდა თავის გაზრდილს.

— მივიდეთ, ჩემო ქალო, ჩვენი სოფლის მეთაურთან. ერთი ძირი ვაზის ავკარგზე ვეთათბირებით და ამოდენა ამბავი არ ვუთხრათ?

ანთიმოზი მართლაც მამასავით დაუხვდა მოხუც ცოლ-ქმარს.

— აჰა, ჩემი „ვოლგა“, მოემზადეთ და გასწით ოქუმისაკენ. ნახეთ რა, როგორ... პატარა საქმე კი არ არის. ფუფა ჩაისვით, ჟუნა წაიყვანეთ, ხუთი შვილის დედაა, პატივცემული ქალია, გამოცდილია. ნახეთ, მოელაპარაკეთ. რაკი გოგო-ბიჭს ერთმანეთი სურთ, წინ რა უნდა დაუდგეთ. ეფრემ გეთიას უთხარით. — ანთიმოზ როგავა მძახლობას გთავაზობსთქო...

...მოდიოდნენ ოქუმიდან. მაყრებს ოქუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ეფრემ გეთია მეთაურობდა. რუხში გულგაშლილად ხვდებოდა მათ ანთიმოზ როგავა.

სოფლის შემოსასვლელთან გაისმა:

„მოვდივართ, მოგვიხარია,

მოგვყავს დედალი ხოხობიი-ი“...

აქ, ელიზბარ თოდუას ოჯახში დამხვდური ვაჟკაცები ხმას იწყობდნენ:

„მოიყვანეს პატარძალიი-ი...“

ქორწილი გაიმართა ისეთი!..

ზეიმობდა ორი საკოლმეურნეო სოფელი — ოქუმი და რუხი.

...რუხისათვის ახალშეძენილი სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იმენა ბულისკერია ფუფა თოდუას კომუნისტური შრომის რგოლში განაგრძობს შრომას. პატარძალი აცვიფრებს სოფელს თავისი წარმატებებით, თუმცა მას ბევრად არც რუხელი დობილები ჩამორჩებიან.

...მოიყვანეს პატარძალი.

გაიხარე, ნეფე-დედოფალო!

ოქტომბერი. 1950.



ომში და მშვიდობისას

ნარკვევების მწერალთა სრულიად საკავშირო სემინარმა, რომლის მონაწილეც ვიყავი, პირველსავე დღეს მომიწყო სიურპრიზი:

ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში, რომელიც სუვოროვის ბულვარზე მდებარეობს, მივედი რეგისტრაციის დღეს. ორგბიუროს აპარატის მუშაკები გულთბილად შემხვდნენ. სარეგისტრაციო ოთახში ვარ. მოდიან, მიდიან. მესმის რუსული, უკრაინული, უზბეკური, ლატვიური... ეს სემინარი ხომ საკავშირო! ვიღაცამ მკლავზე ხელი მომიჭირა და თავისკენ შემომაბრუნა. მიყურებს გაღიმებული, განცვიფრებული. ვუცქერი. ჯუმაკანოვი, ჩემი ფრონტელი თანამოკალმე!.. და მერე როგორც ხდება ხოლმე ასეთი შეხვედრისას!.. ჩვენ ყველამ მოგვაპყრო ყურადღება. ჯუმაკანოვი ისევ ისეთი იყო, როგორიც მაშინ — ვერ განსაზღვრავდი, ოცი წლისა იყო თუ ორმოცისა.

— ეს რა არის, ეს რა არის, — ჭყიპინებს წვრილი ხმით ჩემი ყაზახი მეგობარი და ხელებს მიცაცუნებს საფეთქლებზე.

— როგორ თუ რა არის, — ვეუბნები, — თხუთმეტი წელი გავიდა, ძმობილო. შენ კი არ შეცვლილხარ.

— აი ცოცხალი ნარკვევი! — იხუმრა ვიღაცამ.

ამ შეხვედრამ ფრონტული წლები აღმიდგინა მეხსიერებაში.

როგორღაც დივიზიის გაზეთში მოვხვდი, „ნა შტურმ ვრაგას“ რედაქციაში სამუშაოდ. მისი რედაქტორი იყო მაიორი პოლიაკოვი, პატარა, ჩია კაცი. ადრე „ბოლშევიტსკაია პეჩატის“ რედაქციაში ემუშავნა. რკინიგზის ძელივით გამოხარშუ-

ლი იყო გაზეთურობის „მაზუთში“. „შვილიკო, მეუბნება ერთხელ, ან მე მაცოდინა ქართული, ან შენ—რუსული“. რუსულად მე ვერ ვწერდი, მხოლოდ ნედლი მასალა მომქონდა ცეცხლის ხაზიდან, მერე მას რედაქციაში „ხათლავდა“ მდივანი. გვარად ვლასოვი, სათვალიანი, სუსტი, ქალივით ნაზი ახალგაზრდა ოფიცერი. გვარს ჩემსას აწერდნენ კორესპონდენციებზე, რაც არა მგვრიდა სიამოვნებას, მასში ჩემი მხოლოდ ნახევარი შრომა იყო.

ერთხელ რედაქციაში გვესტუმრა დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე პოდპოლკოვნიკი გოლოვანოვი, შუა ხნის, მაღალი, კეთილი სახის, სიმპათიური კაცი, აგრეთვე პრესაში ნამუშევარი.

— რომელია აქ ამის ავტორი? კარგია. მოეწონათ ჩვენთან... — დაადო მან ხელი ჩემს მასალას, გაზეთის იმ დღის ნომერში რომ იყო მოთავსებული. მე თავი დავღუნე. „რომელი ავტორი მე ვარ, ვლასოვმა „გააკეთა“. ვლასოვმა მას ჩემი თავი წარუდგინა. „არა, არა! — უარვყავი მაშინვე. — მე ნედლი მასალა მოვიტანე, დაწერა ვლასოვმა“. „ამას ისეთი მასალები მოაქვს, ისეთ დეტალებს და ნიუანსებს სიტყვიერად გადმოგვცემს... — განაგრძობდა ვლასოვი, — რუსული რომ იცოდეს!..“

— ღმერთო ჩემო, — თავი გადააქნია გოლოვანოვმა, —ამ ფრონტულ ორომტრიალში ზოგჯერ რა დანაშაულს ჩავდივართ კადრების მიმართ! რა უნდა ამას რუსულ გაზეთში. განა ფრონტებზე ცოტა გამოდის ქართული გაზეთი! პოლიაკოვ, — მიუბრუნდა მერე გოლოვანოვი რედაქტორს. — სანამ თევზი ცოცხალია, გადავუშვათ წყალში!

— წახვალ ფრონტის პოლიტსამმართველოს რეზერვის განკარგულებაში! — მიბრძანეს ერთ დღეს, და მეც ავიკარი გუდა-ნაბადი და საგზურით გავუდექი გზას.

— ოჰო, მოვიდა კერძი! — დაიგუგუნეს რეზერვის ოფიცრებმა, როგორც კი მათში შევერიე. — შემოგვემატა. იქნება ან „ჯანსახკომი“, ან „მიწსახკომი“.

ეს სახუმარო ტერმინები ჩემთვის ნაცნობი იყო: ჰქუხდა, ზანზარებდა ორიოლ-კურსკის რკალი, და აქედან ცეცხლის

ხაზზე წასული კაცი მეორე, სულ ბევრი მესამე დღეს ან ჰოსპიტალში (ე. ი. „ჯანსახკომში“) უნდა მოხვედრილიყო ან მიწაში (ე. ი. „მიწსახკომში“), შუალედი ბედნიერი გამონაკლისი იყო.

ქოხებში ვიყავით დაბინავებული. ჩემს ქოხში თოთხმეტიოდე ოფიცერი ვბინადრობდით. ყოველ ნახევარ საათში გვესმოდა: „ივანოვ, მარშ შტაბში“!, „პავლოვ, პეტროვ!“.. ასე მეცლებოდნენ ხელიდან მეგობარი მეომრები. შუაღამე რომ გადავიდა, ზედ სარკმელთან მომესმა ახლა უკვე უცხო ხმა. ალბათ ადრინდელი მეკავშირეც წაეყვანათ! შტაბში მიბარებდნენ.

„მიწსახკომი“ თუ „ჯანსახკომი?“ — გამიელვა თავში.

შტაბში ხელდახელ საბუთები, საგზური და ჰაიდა!..

ჩვენ ვილისით მივქრიოვართ.

— საით, თუ ეს სამხედრო საიდუმლოებას არ წარმოადგენს? — ვეკითხები თანამგზავრს.

— „სუვოროვეცში“, მეუბნება, — საფრონტო გაზეთში.

„არ მინდა, ბატონო, მომეშვით, რა მეკალმოსნება. მომეცით ჩემი „დექტიარიოვი“... ხელის ტყვიამფრქვევი ძვირფასი რამეა ფრონტზე — გაბარია ერთი უბანი და სცელე მტერი, სანამ ცოცხალი ხარ. აქ კი ისევ რუსული გაზეთი!“

— ნუ გეშინია, — მამშვიდებს თანამგზავრი, — იქ „სუვოროვეცის“ დუბლად გამოდის თქვენებური გაზეთიც, ქართული, აგრეთვე ჩვენებური — ყაზახური, არის ლატვიურიც, უზბეკურიც, სომხურიც...

„ა, აი რას ნიშნავდა თურმე თევზის გადაგდება წყალში!“

რომ ინათა, მხოლოდ მაშინ დავაკვირდი ჩემს თანამგზავრს. დამჯდარიც კი საშუალოზე მაღალი ტანისა ჩანდა, აღმოსავლური სახის, უწვერულვაშო. ძნელი იყო ასაკი გაგერკვია, გეტყოდა ოცისა ვარო, დაუჯერებდი, ორმოცისაო, არც ის გაგიკვირდებოდა!..

— გვარი შენი? — ვეკითხები.

— ჯუმაკანოვი, — იყო პასუხი, — „სუვოროვეცში“ ვმუშაობ, ყაზახურ დუბლში...

მერე კარგა ხანს მოგვიხდა მე და ჩემს ყაზახ მეგობარს

ფრონტებზე ბრძოლა კალმით და ავტომატით. ახლა, თხუთმეტი წლის დაკარგული მეგობრები კვლავ ვხვდებოდით მოსკოვში ერთმანეთს.

— ერთმა თქვენებურმა, ქართველმა ჭაბუკმა გამახარა ყამირზე, — მიამბობდა ჯუმაკანოვი. — გახურებული მუშაობის დროს ერთი ახალგაზრდა წამოწოლილიყო მხართეძოზე და თვლემდა. ქართველი მიუახლოვდა მას და შესძახა: ადე, ბიჭო, არა გრცხვენია, მარსიდან უცქერიან შენს სიზარმაცესო.

მე ჯერ ვერ გავუგე ჯუმაკანოვს, მერე კი, რომ ამიხსნა, ძალიან მომეწონა და გიამბობთ:

ჩემს ყაზახ მეგობარს მორიგი ნარკვევი დაუბეჭდავს. ფართოდ იცნობენ მას თურმე რესპუბლიკაში. ოცდაცამეტი ათასი ჰექტარის მოხვნასთან ყოფილა ის ნარკვევი დაკავშირებული.

— 33 ათასი ჰექტარი! — მეუბნება ჯუმაკანოვი, — ციფრია მაინც, მშრალი ციფრი. ის რაღაც სხვანაირად უნდა მიაწოდო მკითხველს. მეც ავიღე და ვკითხე სპეციალისტებს — მიწის ამ ფართობის დანახვა თუ შეიძლება, მაგალითად, მარსიდან-მეთქი. კიო, მითხრეს. მეც გავათამაშე ეს ამბავი ნარკვევში და ლამაზად გამომივიდა, გამეხარდა, რომ იგი ყამირის გამტეხავ ჭაბუკებს დამახსოვრებიათ.

ტკბილი იყო ჩვენი ფრონტული განსაცდელის მოგონების შემდეგ მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომაზე საუბარი.

დეკემბერი, 1959.



სიმღერით იგადეგოდა

გაზაფხული იყო. ვიდექ ბექობზე და ვუყურებდი მოლივლივე ლიახვს. ნაპირებზე ატეხილი ჭალები ნიავზე რხევით პიესალმებოდნენ ერთმანეთს. აფეთქებული ჭერმისა და ატმის ფერად-ფერადი ყვავილები თოვლის ფანტელებივით აცვიოღნენ მდინარეს, და მოდიოდა, მოლივლივებდა ლიახვი ასე მოხატულ-მოჩითული. საიდანღაც ჩამოიჭრებოდნენ მოულოდნელად კუდმაკრატელა შავი მერცხლები, ზედ ჩემს ყურებთან ჩაიშურდულებდნენ, მერე ძირს დაეშვებოდნენ, დასწვდებოდნენ მდინარის ზედაპირს, დაეკონებოდნენ, თითქოს საკოცნელად, მოსტაცებდნენ ატმის ყვავილებს, ნარნარად გაჰყვებოდნენ მის დინებას და მერე ჰაერში აიჭრებოდნენ, გაფრინდებოდნენ...

ახლა სხვა არის. ახლა იანვარია. ლიახვს ეფრქვევა თეთრი ყვავილები — თოვლის ფანტელები. შენც გამოცვლილხარ, ლიახვო, და შენს ჭალებსაც უცვლიათ ფერი!

თუმცა სხვა გარემოცვაში, მაგრამ მე იანვარშიც ვნახე გაზაფხულის სურათის ასლი. ვნახე იგი მინის მაღალთაღებიან, თვალმიუწვდომელ ნათელ კორპუსებში, მანქანების გრაგანში...

ბამბეულის საქსოვი კომბინატი ლიახვისა და მტკვრის შესართავთან, ომისშემდგომი ხუთწლედების პირმშო...

როცა საჩეჩ-საპენტი საამქროდან მოყოლებული შემოვიარე ყველა საფეხური, რასაც ბამბა გადის, სანამ იგი ფარჩებად იქცეოდეს, ერთ გიგანტურ კონვეიერთან შევდექი.

კონვეიერიდან იღვრებოდა ქსოვილის მდინარე. იგი ისე მოღელავდა და მონარნარობდა, როგორც ლიახვი. მასაც, როგორც ლიახვს იმ გაზაფხულზე, დაფრქვეოდა ფერადფერადი

ყვავილები, ხოლო ზედაპირზე ხან აქ, ხან იქ „დააფრინდებოდა“ მერცხლის გამოსახულება...

არ თავდებოდა ქსოვილის ეს მდინარება კონვეიერიდან, როგორც არ წყდება ლიახვის დინება.

მე ახლა ვამჩნევდი: კონვეიერის სამართავ პულტთან იდგა ახალგაზრდა ქართველი ქალი გაზაფხულის ფერის ხილაბანდით თავზე, გაზაფხულის ფერისავე წინსაფრით ლამაზ ჩითის კაბაზე. ლოყები უღვივოდა. მოუსვენრად ფუსფუსებდნენ მისი თეთრი, სავსე ხელები პულტთან, როგორც პიანისტის თითები კლავიშებზე. იგი სიყვარულით დასცქეროდა ყვავილდაფრქვეული, მერცხლების გამოსახულებიანი ქსოვილის მდინარეს. ისე მეჩვენებოდა, თითქოს იმ ახალგაზრდა ქალს ამოპყავდა საიდანღაც მერცხლები, რომ ლაღი ფრენით გაეშვა ქსოვილის მდინარის ზედაპირზე.

დროდადრო ატმის ბაგე ეპობოდა და მეჩვენებოდა, რომ იგი მღეროდა, მაგრამ მანქანების ამ ხმაურში ძნელი იყო რაიმეს გარჩევა.

შორიახლო ვიდექი. ის ვერ მხედავდა. ნელა, ნელა და ბოლოს უზარმაზარ კორპუსში წამით, მოულოდნელად სიჩუმე ჩამოწვა... მხოლოდ წამით და ატმის ბაგეებს შერჩათ ჰანგი სიმღერისა: — გაფრინდი, შავო მერცხალო!..

კვლავ აგრაგანდნენ მანქანები, დატრიალდნენ ათასობით თითისტარები, აფუსფუსდნენ გაზაფხულის ფერის კაბიანი ქალიშვილები, კონვეიერებიდან უწყვეტ ნაკადებად მოლიეოლივებდნენ ქართული მიწის ყვავილებით და მერცხლებით მოჩითულ ნაირფერ ქსოვილთა მდინარეები, რომ ხალხში წაეღოთ სალამი გორისა ქართლის უბიდან..

...დავდივარ მოგუგუნე საამქროებში, საკუთარი გულისხმაც არ მესმის, მაგრამ არ იხშობა იმ „ატმის ბაგეებიდან“ დარხეული ჰანგი სიმღერისა —„გაფრინდი, შავო მერცხალო“.

სიმღერით იბადებოდა ქსოვილი, როგორც მდინარე, და მდინარესავით აკავშირებდა ფეიქართა გორს ხალხთან.

იანვარი, 1960.



მკა

ჩვენი ქვეყნის სახელოვან ქალთა მრავალრიცხოვან არმიას კიდევ ერთი სახელი შეემატა. ეს არის გორის ბამბეულის კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, გაგანოველი ელენე გეგელაშვილი.

მას ახლახან სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. იგი მონაწილე იყო კრემლში გამართული ქალთა საერთაშორისო დღის 50-ე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო სხდომისა და დარბაზობისა.

ებეჭდავთ ელენე გეგელაშვილის ნაამბობს, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ჩაწერა. (გაზ. „კომუნისტი". 19. III. 60).

ჯერ კიდევ სიზმარში მგონია თავი. ამ უკანასკნელი ერთი კვირის შთაბეჭდილებიდან ვერ გამოვსულვარ, ან რამდენი კვირა, თვე და წელიწადი უნდა გავიდეს, რომ მასზე ჩრდილი მიმიყენოს, გამიქროს და დამავიწყოს. შრომას ნაყოფი აგვირგვინებს. ისეთი ნაყოფი მოვიმკე, ისეთი...

მე ერთი უბრალო ფეიქარი ქალი ვარ. ჩემისთანა აქ, გორში, ბევრია, ასობით... შეიძლება გამიჭირდეს ახლა დალაგებით გიამბოთ.

აი წუხელ შეხვედრაზე გვეპწრებოდით კლუბში. ყველამ კარგად ილაპარაკა. ერთმა, თუ გახსოვთ, მხატვრულადაც კი დაამთავრა თავისი სიტყვა: ჩვენო ელენე! დაე კვლავაც ნუ წყდებოდეს თითისტრებზე ეს წვრილი ძაფები თქვენს ნაზ, მგრძნობიარე ხელებში... მე კი ვერა... სანამ ტრიბუნაზე ავიდოდი, ყველაფერი დალაგებული მქონდა... უფრო ბევრი სათქმელი მომიზღვავდა ტრიბუნიდან ჩამოსვლის შემდეგ... იქ კი ვერაფერი ვთქვი...

ახლა უკვე საკუთარი დაკვირვებიდან შემიძლია ვთქვა: როცა ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ

ხდება, იგი ცდილობს გაიხსენოს ამ მომხდარი ამბის დასაწყისი. სად დაიწყო იგი?

თქვენ გაზეთის წარმომადგენელი ხართ, და გულახდილად უნდა გითხრათ: მე სწორედ გაზეთს მივაწერ, ჩემი სახელი საქვეყნოდ განთქმული რომ გახდა. რად გადადეთ ფანქარი? გთხოვთ განაგრძოთ ჩაწერა.

შესვენებაზე უნდა გავსულიყავი, კომბინატის დირექტორთან რომ დამიძახეს. ათასი ფიქრი მომაწყდა — რისთვის უნდა მიბარებდეს დირექტორი? შევდივარ. აქ არის კომბინატის პარტკომი, ფაბკომი, დუშაც აქ ზის, ხაჩიძე, ჩემი თანამოდაზგე, მეზობელი ბრიგადის ხელმძღვანელი. მხოლოდ იმ ორ ახალგაზრდას ვერა ვცნობ, ადგილობრივს არა ჰგვანან.

— გაიცანი, ელენე, ესენი კორესპონდენტები არიან, თბილისიდან, — მეუბნება დირექტორი ალექსანდრე ცარციძე.

ხელი ჩამოვართვი. იმის მიხედვით, რომ ერთი მათგანი ფოტოაპარატით იყო შეიარაღებული, ისედაც მივხვდი მათს პროფესიას. აღარ გამკვირვებია ჩემი გამოძახება. მოწინავე ბრიგადა მყავს. ნახევარი წლის გეგმა ვადამდე შევასრულე. ამ ბ ო ბ ე ნ, სხვებს ვუსწრებ. მაშასადამე. სურათი უნდა გადამიღონ, დაწერონ ჩემზე. ამიტომ დაიბარეს ალბათ დუშა ხაჩიძეც. „აი ახლა არის დრო, ელენე,—ვეუბნები ჩემს თავს,— სანამ ეს კორესპონდენტებიც აქ არიან, ახლა ყველაზე კარგი მომენტი მაქვს — გამოვთქვა ჩემი გულისნადები...“

— საქმე ასეა, ელენე, — გამომარკვია ფიქრებიდან კომბინატის დირექტორმა ალექსანდრე ცარციძემ. — შენი და დუშა ხაჩიძის ბრიგადების გადაღება სურთ ამ ამხანაგებს, წერილი უნდათ დაწერონ გაზეთში თქვენზე.

— დაწერონ, გადაგვიღონ, ამხანაგო ალექსანდრე. მაგრამ არა ისე, როგორც ისინი ფიქრობენ, — ვეუბნები.

განცვიფრებული შემომცქერიან.

— მოწინავეობა განაღდებულია. ამაზე რაღა ვიტრაბაზოთ. — განვაგრძობ მე.

— საათივით აქვს აწყობილი ბრიგადაში საქმე, — ჩაურთო

პარტკომის მდივანმა დავით ბედოშვილმა და კორესპონდენტებს გადახედა.

— მე კი მინდა „ასაწყობ საათს“ მივუბრუნდე, — გავაწყვეტინე დავითს, — თქვენი თანხმობა და მხარდაჭერა თუ იქნება.

ვატყობ ვერ გამიგეს, მაშინ ვეკითხები:

— ვისზე ლაპარაკობს ახლა მთელი ქვეყანა, ვისზე წერენ გაზეთები? — და მივაჩერდი დუშა ხაჩიძეს.

— გაგანოვა, მართლა, გოგო, — წამოიძახა დუშამ, მთლად გამოცოცხლდა, უწინ დაფიქრებული, დაავიწყდა კიდეც სად იჯდა.

— ჰოდა, მოდით, საქართველოში პირველი ჩვენ გამოვეხმაუროთ შორეულ რუს დობილს. მე მინდა გაგანოველი ვიყო... — ვთქვი მე.

სიტყვა უძლურია იმის აღსაწერად, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ნათქვამმა იქ დამსწრეებზე.

— აი ცხოვრებით ნაკარნახევი თემა, — აღფრთოვანებით თქვა ერთმა კორესპონდენტმა. და სულ სხვანაირად წარიმართა კორესპონდენტების მუშაობა იმ დღეს, შეიცვალა მათი შთანაფიქრი.

გამოვეთხოვე (გამოთხოვებას უცრემლოდ არ ჩაუვლია) იმ დღეს ჩემს ბრიგადას და სამუშაოდ გადავედი სხვა ბრიგადაში, ყველაზე ჩამორჩენილში. პატარა მიტინგიც მოეწყო, სიტყვით გამოვედი. სხვებიც გამოვიდნენ. ყველამ მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება. მოვიდა მეორე დილით გაზეთის ახალი ნომერი. ეს მე ვარ პირველ გვერდზე, ჩემს ახალ ბრიგადაში. გასცილდა ელენე გეგელაშვილი გორს. შემცირდა მანძილი გორსა და ვიშნი ვოლოჩეკს შუა, დაუსწრებლად ვდობილდებით ქართველი და რუსი გოგონები, გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ხშირად ვწერთ ერთმანეთს მე და გაგანოვა, ვუზიარებთ გამოცდილებას, ვუამბობთ მიღწევებზე და სიძნელეებზე.

კომბინატში გამიჩნდნენ მიმდევრები: „საქმე მაშინ წახდა, როცა გოგოებს უნდა მივბაძოთ!“ — ღიმილით ამბობს ოსტატის თანაშემწე დიმიტრი მამუკაშვილი და ჩვენს ბრიგადაში

იწყებს მუშაობას კომპლექსის ხელმძღვანელად. და ახლა მინდა ვუთხრა ჩემი ბრიგადის წევრებს: გმადლობთ, ჩემი მაღალი ჯილდო თქვენი ჯილდოც არის. უთქვენოდ მე ვერაფერს გავხდებოდი... ძნელია, ძალიან ძნელია გადმოგცეთ ჩემი შთაბეჭდილებები, რაც მოსკოვში, ქალთა დიად დღესასწაულზე მონაწილეობის დროს მივიღე. უზომოდ გამახარა მაღალმა ჯილდომ — ჩემთვის სოციალისტური შრომის გმირის მონიჭებამ.

„გეგელაშვილი რომელია აქ, გეგელაშვილი რომელია, ქართველებო? შემომესმა რუსი ქალის ხმა კრემლის დიდ დარბაზში. და როცა მომაკვლია, გადამეხვია. მეო, ამბობს, ვალენტინაშ დამაბარა, გაგანოვამ, მოგნახო და გადაგეხვიოო, თვითონ ვერ წამოვიდა, ბავშვი ჰყავდა სუსტადო. ამ ახალგაზრდა გოგონამაც მიიღო მთავრობის მაღალი ჯილდო. მაისში თქვენი სტუმარი იქნება ვალენტინა, დღეებს ითვლის, ისე უხარია ქართველ დობილებთან მომავალი შეხვედრაო, — მეუბნებოდა ახალგაცნობილი ვიშნივოლოჩეკელი მეგობარი.

მერე ბანკეტი იყო. სულ ახლოს მომიხდა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვთან დაჯდომა. სადღეგრძელო მეცა ვთქვი ჩემი დამტვრეული რუსულით, მაგრამ ყველა ინტერესით მისმენდა. ნიკიტა სერგის ძე სულ იღიმებოდა და სიყვარულით მიყურებდა. გავბედე და მივუახლოვდი სასმისით ხელში. ახლა-მეთქი. ამხანაგო ხრუშჩოვ, ქართულად უნდა დავლიო თქვენთან ეს სადღეგრძელო, ვახტანგურად-მეთქი, და სასმისიანი ხელი მკლავში გავუყარე. შევატყე, რომ შეხვედრია ასე დალევა სხვა დროსაც. დარბაზში დიდი აღფრთოვანება იყო.

წამოვედით სამშობლოში. ჩქარი მატარებლით მოვდიოდი, მაგრამ გული მატარებელს უსწრებდა. მოვუახლოვდით მშობლიურ გორს. არასოდეს არ მენახა ბაქანზე ამდენი ხალხი. ორკესტრი უკრავდა. თაიგულები, თაიგულები,.. ვიღაცას აცილებენ ან იქნებ ჩვენს მატარებელს მოჰყვება ვინმე საპატიო კაცი! — ვფიქრობ და თვალებს ვაცეცებ. „რას დაიბენი, გოგო, შენზეა ეს ამბავი, შენზე, ვერ ხვდები?“ — მომვარდა მსახიობი ლეილა აბაშიძე, მეხვევა და მანჯღრევს, თითქოს უნდა გამომაფხიზლოსო.

ახლა კი მივხვდი, რომ მართლაც ჩემს გარშემოა ეს ამბავი. რამდენი თაიგულია!..

ეს იყო ნამდვილი მკა, ნუ წამიშლით ამას — პირველ რიგში ჩემი ბრიგადა იმკის. მკა გრძელდება. საიდან არ მომდის მოლოცვის წერილები.

მე და ჩემს ბრიგადას გვწამს, რომ ყოველივე ეს ბევრს, ძალიან ბევრს გვავალებს. გთხოვთ ჩაწეროთ ასე: 1 ივნისისათვის, ე. ი. ერთი თვით ადრე ჩემი ბრიგადა შეასრულებს ნახევარი წლის საწარმოო დავალებას. გაგვიძნელდება, მაგრამ გავაკეთებთ. ეს იქნება ჩვენი პასუხი პარტიის, სამშობლოს ამაგზე.



აკაკი

პირველიდან ბოლო სიმღერამდე — „საიდუმლო ბარათიდან“ „უკანასკნელ ლექსამდე“ აკაკის ჯადოსნური კალმით მოხაზულია სივრცე, რომელსაც არა აქვს საზღვრები. აკაკის პოეზია არ მორჩილებს დროსა და სივრცეს. ცა ფირუზის ქვეშ, ხმელეთ ზურმუხტზე დარხეული მისი ჩანგის სიმთა ყღერა გასცდა მთებსა და ზღვებს და გახდა ყველა ხალხის კუთვნილებად. მილიონთა გულს კვლავაც ესალბუნება ჰანგები აკაკის მაღალი იდეალებით ნათელმოსილი პოეზიისა. ყველას, რა ეროვნებისაც უნდა იყოს, გულის კარს აღებს და ამღერებს „სულიკო“ და „ციცინათელა“.

მხოლოდ პოეზიის უკვდავ ქურუმთა ხვედრია ხალხის ისეთი სიყვარული, როგორსაც აკაკი სიცოცხლეშივე ეზიარა თავისი შემოქმედებისათვის. ხალხი იყო აკაკის პოეტური შთაგონების წყარო, ცა ფირუზი და ხმელეთ ზურმუხტი სამშობლო იყო მისი სულის ჩამდგმელი მხარე, მისთვის იწვოდა და, მაშასადამე, ანათებდა ერის დიდი შვილის გული. ხალხისა და სამშობლოს სიყვარულით ანთებულ ლამპარს შუქი მით უფრო ემატებოდა, რაც უფრო ედებოდა მილიონებს.

აკაკი ძვირფასია თავისი უკვდავი შემოქმედებით, რომელიც გვასწავლიდა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს; უმწიკვლო, ღვთაებრივი, ზენაარული აკაკის სიყვარული სამშობლოსადმი.

აკაკი ძვირფასია თავისი მარად უჭკნობი პოეზიით, რომელიც ადიდებს ერის სახელოვან წარსულს და წინასწარმეტყველებს მის უფრო დიდებულ, ნათელ მომავალს.

აკაკი ძვირფასია თავისი შემოქმედებით, რომელიც გულს

გვიხსნის ხალხთა საძმოდ. „ოღონდ კაცი ყოფილიყო, მისთვის იყო ყველა ერთი! სიმართლე და თანსწორობა იყო მისი რწმენა — ღმერთი!“

აკაკი ძვირფასია თავისი შემოქმედებით, რომელმაც დიდი ხნით ადრე ჩამორეკა ზარი, მაცნე სამშობლოს ნათელი მომავლისა: „ცით მოწმობენ ვარსკვლავები და მთვარე, არვის ჰმონებს შემკობილი ეს მხარე, რადგან ელის განთიადის ცისკარსა, ის სამწუხროდ არ გააღებს მის კარსა!“

ძვირფასია აკაკი, რომელმაც დიდ ილიასთან ერთად ნახევარი საუკუნე ზიდა ერის სულიერი სამსახურის მძიმე და საპატიო ტვირთი.

ძვირფასია აკაკი ჩვენი პატარა, კოპწია ქალაქისათვის კიდევ და კიდევ რატომ იცით? — იყო იგი ახალ-სენაკში, ფეხი დაუდგამს ჩვენს მიწაზე, მოსწონებია ჩვენი კუთხე-ხალხი ჩვენს საყვარელ აკაკის — პოეტს ხან ცისას და ხან მიწისას, ვისაც ძილის დროს ქუხილი და სიბნელის დროს ელვა არ მოუშლია...

უყვარდა, უყვარს და ეყვარება თავისი დიდი შვილი, ხალხის გულის მესაიდუმლე პოეტი ერს, რომელმაც მამადავითზე, მთაწმინდაზე აუტანა გვირგვინი მრავლისმეტყველი წარწერით: „აკაკის.

საქართველო“.

დეკემბერი, 1960.
ქ. ცხაკაია.

შენ რაღას იტყვი, ჭოროხო!

ვზივარ კირნათის სასოფლო საბჭოს ღია სარკმელთან, იდაყვებზე თავი მაქვს დაყრდნობილი და გავცქერი ჭოროხის მარცხენა ნაპირს.

გავცქერი, თორემ ძალიან შორი კია! — ჩემი პაპიროსის ბოლს ხედავენ ალბათ იქიდან. ოჩოფეხაზე შემდგარი სათვალთვალო ჯიხურიდან იქნებ ასკერი ჭოგრიტით მიყურებს და ამჩნევს ფიქრებისაგან დაღარულ ჩემს სახეს. საფიქრელი კი ცოტაა? — ასე მგონია აკლდამის წინ ვდგევარ. ცივ და იდუმალ აკლდამასთან მდგომს კი ძალიან მძიმე განცდები გეუფლება ხოლმე. ერთი წამით რომ წარმოვიდგენ — ჩემი გულის საყვარელი იქ, გაღმა, ვთქვათ, იმ სახლის აივანზე მეგულებოდეს, — ციებიანივით მაკრჭოლებს. აქედან ხაბაროვსკი უფრო ახლოა, ვიდრე გაღმა ის სახლი. და რის სული უდგას კირნათელს, როცა ძმა გაღმა ეგულება!

საოცარია საზღვრის ამბავი საერთოდ: გაიკლი ნეიტრალურ სარტყელს, და გათავდა ერთი ქვეყანა, დაიწყო მეორე — სხვა ერის სამფლობელო, შემოგესმა სხვა ენა...

ასეთი ჯადოსნური გამყოფი ძალა აქვს ამ ვიწრო ზოლს — საზღვარს.

მაგრამ ჭოროხი რომ გადაიარო და გაღმა სოფელში გახვიდე, იმავე ენას გაიგონებ, რასაც კირნათში და მარადიდში — ქართულს. და მძიმედ დამაფიქრებელიც ეს არის — ორ ძმას შუა ღობეც არ გაივლება და აქ კი ასეთი გაყოფა! ბედის უკუღმართობა ამაზე შორს წავა? ჩამდგარა თურქი ორ ქართველ ძმას შორის და ერთმანეთთან არ უშვებს.

ჭოროხი არა მგონია თურქეთის მთებიდან ილებდეს სათავეს. შეიძლება ქართველი დედების თვალთაგან?!.

არის ადამიანში სულიერი განცდების ისეთი კუნჭული, რომელშიც ძნელია სხვისი ხელის ფათური. ამ განცდების გაღვივება ვულკანის ამოხეთქვას უდრის.

მაპატიე, მოხუცო ალი! — შენ ისეთი მხიარული, კმაყოფილი, ისეთი ყოჩაღი შემოხვედი საბჭოს ოთახში, ბიჭებს ახარე, რომ კიდევ ერთი სახლის გადახურვა დაგიმთავრებია, შენ ისეთი კარგი ოსტატი ყოფილხარ...

შენი საკოლმეურნეო სოფელი ნელ-ნელა გროვდება საბჭოს ეზოში. კირნათელებს დიდი ლაშქრობა აქვთ, და სასიხარულო ამბები მოაქვთ ფრონტიდან. ეს მშვიდობის ლაშქრობაა, შვიდწლედის მეორე წლის ჩაის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობა. ჭოროხს გამოლმა ფრონტია საკოლმეურნეო დოვლათისათვის ბრძოლისა. წელს შენც იზეიმე მშობლიური საქართველოს ახალი დიდება — ასორმოცი ათასი ტონა მწვანე ოქროს — ჩაის მიღება. შენს დიდ ოჯახსაც ერგო მთავრობის მადლობა ამ გამარჯვებისათვის.

მაგრამ კირნათელებს წლევანდელი წარმატება ეცოტავებათ. ამ ზამთარშივე უყრიან საფუძველს შვიდწლედის მეორე წლის ჩაის უხვ მოსავალს. შენი მეზობლები ბარავენ პლანტაციებს. შეაქვთ სასუქი, თესავენ ჩაის, გამოჰყავთ ნერგები. შენს კოლმეურნეობას წელს მარტო ჩაიმ მისცა მილიონამდე მანეთი შემოსავალი, თითქმის ამდენივე — თამბაქომ და სხვა კულტურებმა.

ჭოროხის თვალწარმტაც ხეობაში, ბათუმიდან ოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით, ჰყვავის შენი საკოლმეურნეო სოფელი კირნათი — მშვენივრად მოწყობილი ცენტრით, შეძლებული და კულტურული მოსახლეობით, ლამაზი ქართული ოდებით, სკოლით და კლუბით, მაჭახელაჰესის შუქით, ჩაით და თამბაქოთი, ვენახით და ხეხილით. დაფნაც უხვად მოდის. და შენი სოფლის ლამაზი გოგო-ბიჭები ხალისიანი სიცილ-კისკისით ყოველწლიურად გამარჯვებისა და ზეიმის სიმბოლოდ ამ ქართული მიწის დაფნის გვირგვინს უწნავენ ბედნიერ საბჭოთა კირნათს...

მე კი შევეხე შენს მივიწყებულ მძიმე განცდებს და გკი-

თხე — ხომ არ გახსოვს, ვისია აი ის სახლები, ამ სარკმლიდან რომ მოჩანს, ასკერის სათვალთვალო ჯიხურის გარშემო მთაზე რომ არის შეფენილი-მეთქი!

— ეჰ, რად გინდა! — დიდიხნის დუმილის შემდეგ მიპასუხებ სახეალეწილი და თავს ღუნავ.

— გეკითხება, ძია ალი, სტუმარი, — არ გეშვებიან თანასოფლელები.

თავს მაღლა არ სწევ. კვლავ სდუმხარ. მერე ნელი, აკანკალებული ხმით ჩაიბუტბუტებ მოძმეთა გვარებს, და ბოლოს უმატებ:

— იქით, უფრო შორს, დარჩა ჩემი ძმის სახლი და მშობლების საფლავი. ცოცხალია, მგონი, ძმისშვილი... ვუყურებ აქედან ჩემი ბებრული თვალებით, მაგრამ რას გავარჩევ!..

მგონი სტირი — ნიკაპი გითრთის. ყველანი ვდუმვართ. დამშვიდდი. აღარაფერს შეგეკითხებით.

...გაღმა მთები ბურუსში ეხვევა. ღამდება. სიტყვა ეძლევა ჭოროხს — ახლა უფრო გარკვევით ისმის მისი შხუილი. რა ამბები მოგაქვს, ჭოროხო, გაღმელი ქართველებისაგან?

აქეთ ლამპიონები ენთება.

ახალი წლის წინა ღამეა. ხმამაღლამოლაპარაკე რადიო ჩართულია. სიმღერა აღწევს გაღმელებამდე. მათ სიბნელეში მაინც დართავენ ალბათ ნებას კარში გამოვიდნენ.

იანვარი, 1960.



ერთ მშვიდობიან დღეს...

სამშობლო რა არის? — ვერ ამოლევ ზღვას, ვერ ამოსწურავ ამ კითხვას.

რა არის სამშობლო? — ეს შენი დედა და მამაა, და და ძმაა, ეზო და კარია, ამხანაგი და მეგობარია. ეს შენი მთა და ბარია, მდინარეები და ნაკადულებია, ზვრები და ბაღებია, ცა და მიწაა... ვერ დაითვლი ქვიშას, ვერ ამოსწურავ ამ კითხვას.

რა არის სამშობლო? — ეს შენი დედაენაა, შენი ხალხია, შენი ქვეყანაა, ვრცელი და ახლობელი, ყველგან რომ შვილად მიგიღებს, ყველა რომ შენიანია...

რა არის სამშობლო?! — ეს შენი და შენი გულით საყვარელის მისამართია, თავად სიყვარულივით დაულეველი და დაუხარჯავი. რა არის სამშობლო? ვინ დათვალოს ცაში ვარსკვლავები, ვინ ჰპოვოს სიტყვები მის საქებრად!.. ის ჰაერივითაა, რომლის ფასს მაშინ უფრო ხვდები, როცა მისი დაკარგვა გემუქრება. რა არის სამშობლო? — ის შენშია, შენ მასში ხარ, სულისა და ხორცის ერთიანობასავით; ძნელი ასაწერია, თუ რა არის სამშობლო. არაფერი ისე არ შემართავს კაცს, როგორც მისი ხელყოფა. ამიტომ არის, ომში რომ უფრო ხვდები, თუ რა არის სამშობლო, და ვეფხვად იქცევი, უძლურიც კი, მის დასაცავად. ამიტომ არის, რომ შრომაში უფრო ტკბილდება მისი სიყვარული, რადგან იცი, რომ შენი შრომა მატებს მას ძლიერებას.

პატარა ჟუჟუნაც შრომით ადიდებდა სამშობლოს იმ დღეს. რიგით ასსამოცდამეორე შრომადღე ეწერებოდა, მის ანგარიშზე ათასშვიდასამდე კილოგრამი მოკრეფილი ჩაის ფოთოლი იყო.

თვით მისი მშობლიური სოფელი, სადაც ქვემოთ აწერილი ამბავი მოხდა, ზღაპრულად ლამაზია. მე რას შევძლებ დაგიხატოთ იგი, თავად უნდა ნახოთ; და, საერთოდ, მთელი ეს კუთხე, რომლის შვილიც ჟუჟუნა დიასამიძეა, ღვთისაგან დალოცვილი რამ არის — სწორედ აქ ჩამოუბერტყავს ღმერთს სიკეთის კალთა. ჟუჟუნას სოფელი საქართველოს ფიზიკურ რუკასა ჰგავს, ცოცხალ რუკას. ჩაი და ციტრუსი, ვაზი და ხეხილი, სიმინდი და ფუტკარი, დაფნა და ტუნგო, გრეიფრუტი და ხურმა, ნაძვი და ევკალიპტი, ყვავილები, ყვავილები, თვლა გაჭირდება, იმდენი სახისაა... ზეგნები და გორაკები, ვაკე და მინდვრები, მდინარეები და ნაკადულები...

მდინარეებს შორის ერთი ყველაზე დიდი, რომლის თვალწარმტაც ხეობასაც ჟუჟუნას სახლკარი გადაჰყურებს, რაღაც სიზმარში ნანახ სილამაზეს ჰგავს. ლივლივებს, ლივლივებს, მირაკრაკებს ქვებზე და ლოდებზე, ლურჯია როგორც ცა, თუ ცას ედება მისი ფერი! დუდუნებს რაღაც ზღაპარს, რაღაც ტკბილ ამბავს, ახმიანებს ტყეს და ჭალას, ხეები კი მიესალმებიან, დაბლა უხრიან თავს და ალერსის სიტყვებს ეჩურჩულებიან საოცრად მოუბარი ფოთლებით და ნიავით. მხოლოდ ერთი რამ ტკივილი სჭირს ამ მდინარეს. დიდი, ძალზე დიდი ხანია, ჭრილობა აქვს წარსულისა და ვერ მოუშუშებია. იმ ადგილას, საცა იგი ჟუჟუნაა სოფელს გარს არტყია, არავის ნებით არ გაუცურავს და არ გამოუცურავს, და არის ისე ქალწულივით, ბიჭების თავისუფალ მხარულს დანატრებული. გამოღმა რომ ქალიშვილი დალალებს ჩაუშვებს, გაღმა გახედვა უმძიმს — გაჰყო ბედის უკულმართობამ გაღმა-გამოღმა ნაპირები. იქით სხვა სამყაროა... ეზოში დამარხული გულის საყვარელივით სევდას ჰგვრის იგი გამოღმელებს და ყოველ გახედვაზე უხსნის ჭრილობას წარსულისას. დგანან გაღმა სახლები გამოტირებულებივით, თითქოს იქიდან მიცვალებულნი ეს-ეს არის გაესვენებინოთ. ხმა არ ისმის. თითო-ოროლა სილუეტი თუ გაიღიმღამებს...

ვინც საზღვარზე წუთით მაინც მდგარა, და გაღმა სხვა სამ-

ყაროსკენ გაუხედავს, იმას უთუოდ მთელი ძალით განუცდია, თუ რარიგ ტკბილია სამშობლო.

რად ივიწყებს მტერი უძლიერეს ფაქტორს სამშობლოს სიყვარულისას, როცა იგი ამ სამშობლოს ხელყოფის განზრახვით მოდის?! მთა თუ გადალახა, მდინარე თუ გასცურა, მავთულხლართზეც გადაფორთხდა, ყველა ფიზიკურ წინაღობას სძლია, რატომ არ იცის, რომ ეს კიდევ ყველაფერი არ არის, და გადასალახავი მას რჩება ერთი დაუძლეველი წინაღობა — საბჭოთა მოქალაქე, თვალი და ყური მისი და, რაც მთავარია, გული მისი, სამშობლოს უსაზღვროდ მოსიყვარულე გული.

ერთ ასეთ წინაღობას, ჟუჟუნა დიასამიძის სახით, შეეფეთა საზღვრის დამრღვევი სულ ახლა, შემოდგომის იმ ერთ სამახსოვრო საღამოჟამს, ნაწვიმარზე. გველმა იცის ასე, ნაწვიმარზე, — დაიგრაგნება საზიზღარი, შემართავს კისერს და ელოდება მსხვერპლს. კაცმა არ იცი, რა გრძნობა გჭარბობს მის დანახვაზე — შიშისა თუ ზიზღისა, უფრო ზიზღისა! დარტყმაც შეგზარდება — არაფერი მოგეწინწკლოს მისგან, მოჟამული ხარ მისი მნახველი, სულ ის გელანდება მერე, თოკიც კი იმად გეჩვენება.

გველად ქცეულა ეს კაცი, ტალახში ამოგანგლული, წყალში ამოლუმპული, თავით ფეხთამდე სველი.

ახლა ყური მივუგდოთ ჟუჟუნას გულის ხმას ამ მძიმე წუთში:

— გაწოლილა ეს საზიზღარი მწკრივებს შორის. სულ ცოტა ხნის წინათ ამ მწკრივებს შორის ლაო ჩაის ვკრეფდი. მეპკურებოდა შემოდგომის თბილი წვიმა, არ ვეპუებოდი, საშური საქმე იყო, ვკრეფდი ფოთოლს, ველოლიავებოდი ჩემს ფიქრებს, ახლოს არავინ იყო, და მე ვიყავ მარტო, ჩემს ფიქრებთან, ჩემს ნაკვეთში... ეს უცხო კაცი ვინღაა, საიდანღა შემოეჭრა ჩემი სულის სიმყუდროეში! ეს ჩვენიანი არ არის, ქართველი არ არის. ეს კაცი მტერია. დედა, რაღა ვქნა?! გამეგონა და არ კი გამომიცდია — ჩემს მიწაზე შემოპარული მტერი! ამან უნდა ხელჰყოს ჩემი სამშობლო. აქ უცხო კაცს რა უნდა? რათ წევს და იკლაკნება? რათ მიბრიალებს თვალებს? რათ მა-

ნიშნებს გავჩუმდე და გზა ვუტიო? საით გიტიო, საზიზღარო, გზა! მეც ვშრომობ და ესეც შრომობს! რანაირი შრომა არ ყოფილა ქვეყანაზე? როგორი ნაჯაფია, დაღლილი... ჰყავს იქნება ამას ჩემი ხნის და, და ასე ნაშოვნი ფულით უყიდია მისთვის კაბა. არ უნდა შემოეწვას ტანზე? გარეგნულად ლამაზი ჩანს, ვინ იცის ვისად უსაღებს თავს ვინმე საწყალ გოგოს, და ისიც, მოტყუებული, ჯვარისწერაზე ოცნებობს. ვაი საბრალო!... ამ წუთამდე არაფერს დაურღვევია ჩემი სულის მყუდროება — დავიბადე, ვიზრდებოდი დედ-მამის ალერსში, რვა და ძმაში, მერე სკოლა, რვა კლასი. კოლმეურნეობა, შრომა. ამ წუთამდე ასეთი ბიოგრაფია მქონდა. ომი არ არის ჩემს ქვეყანაში, ყველგან მშვიდობაა. მე კი ვომობ ახლა, ჩუმი, დაძაბული ომი მაქვს, მტერთან პირისპირ ვდგავარ, ჩემი სამშობლოს მტერთან... ჩვენი ადამიანები შრომობენ, და ესეც „შრომობს" რაღა! სირცხვილი ასეთ „შრომას"! ჩემი სოფლის სახელი, შრომამ გაიტანა შორს, ჩემს სოფელს კრემლშიც იცნობენ, ჩემს სოფელს კრემლშიც ჰყავს წარგზავნილი თავისი რჩეული — დეპუტატი. ასეთი სოფლის მტერია, აქ რომ წევს ახლა, უცხო, ჩემი პლანტაციის მწკრივებს შორის, ტალახში ამოსვრილი, და მე უნდა გავჩუმდე და გზა გიტიო. საზიზღარო?! სამშობლო არა გაქვს შენ და არ იცი, რა არის სამშობლოს სიყვარული?..

ვიდრე სახალხორაზმელი ეუეუნა ამ მძიმე წუთს განიცდიდა, დიდი ფუსფუსი იყო საზღვრის ზონაში. ჯერ კიდევ დილას, კოკისპირული წვიმის დროს, მაღალ ჯიხურზე მოთვალთვალე მესაზღვრის ბინოკლის ობიექტივში მოხვდა მდინარეზე მოძრავი შავი წერტილი. ამის შესახებ სიგნალი ელვის სისწრაფით გადავიდა ჯიხურიდან ჯიხურზე, საყარაულო რაზმიდან რაზმზე. შავი წერტილი კი ჯიუტად განაგრძობდა წინ წამოწევას. გადმოლახა მდინარე, შეუყვა ქვაღორღიან ბილიკს მთაზე. სადაც არის, ტყე დაიწყება, და თუ მას მისცა თავი, პოვნა გაძნელდება. ალყა შემოერტყა მთელ ზონას, ცოცხალი ღობით შეიკრა გზები და ბილიკები, მიუშვეს მაძებარი ძაღლები, მაგრამ კვალის პოვნა შეუძლებელი აღმოჩნდა — წვიმა

რეცხდა ყველაფერს, მტერმა ტყუილად როდი შეარჩია წვიმიან-ბურუსიანი ამინდი...

ჩვენი ჟუჟუნა კი დგას ახლა იმის პირისპირ, ვის საძებნელადაც მთელი საზღვარი ფეხზეა დაყენებული, და განიცდის თავის მძიმე, აქამდე გამოუცდელ და შეუცნობელ წუთს. რა უძირო და უსაზღვრო ყოფილა ზოგჯერ წუთი!..

წამოიმართა მტერი, გადმოდგა კიდეც ნაბიჯი, ქურციკივით გადაუხტა ჩვენი გოგონა და დაეშვა თავქვე თავდავიწყებით და პირველსავე შემხვედრს, სუნთქვაშეკრულმა მიაძახა: — „ბიძია მამია, მტერი, ბიძია მამია!“.

ეს იყო მერგოლური ხალვაში, ვისი რგოლის წევრიც ჟუჟუნაა.

„მტერი!“ „მტერი!“ — ელვის სისწრაფით გადავიდა ეს ერთი შემაზრზენი სიტყვა ბაგიდან ბაგეზე, ბუჩქიდან ბუჩქზე, ოდიდან ოდაზე, რაზმიდან რაზმზე...

მიჰყავდათ ჯარისკაცებს საზღვრის დამრღვევი. ზიზღით მიაცილებდა სოფელი შემოპარულ მტერს. ჩაის ბუჩქთან იდგა აღელვებული, განცდილისაგან თავდავიწყებული ჟუჟუნა და ნერვიულად წიწკნიდა ფრჩხილებით ფოთოლს. არასოდეს არ დაავიწყდება თავის სიცოცხლეში ის ერთი მძიმე წუთი.

რა არის სამშობლო?! — ის შენშია, შენ მასში ხარ, სულისა და ხორცის ერთიანობასავით. არ დათმობ სულს — არ დათმობ სამშობლოს.

რა არის სამშობლო?! — ძნელი ასაწერია, თუ რა არის სამშობლო.

ნოემბერი, 1960.



გედი ქალიშვილისა

ქართველო ძმაო, ომგადახდილო, ვინ იცის, იქნებ შენს გვერდით დაეცა ბრძოლაში მიხეილ ჯეირანაშვილი, უცხო ქვეყნის მიწაში რომ ჩაიტანა ფიქრი თავის სამ პაწია შვილზე, დარდი საშობლო სოფელ ქვემო ხოდაშენში დარჩენილ, მაშინ მეოთხე ბავშვისათვის ფეხმძიმე ცოლზე...

ომიდან შინმოუსვლელის ოჯახის ბედზე მინდა გიამბო, მკითხველო!

მიხეილი ისე დაეცა ბრძოლის ველზე, ვერც კი მოესწრო საბოლოოდ ცნობას შინიდან, რომ ოჯახში თვალი აეხილა მის მეოთხე შვილს; უმალ ოჯახმა მიიღო შავი ამბავი მამის დაღუპვისა, ვიდრე მამა გაიხარებდა მეოთხე შვილის შეძენით ამბით.

არც ერთი შვილი არ გამოკლებია ამ უმამო ოჯახს. ჭირი ბევრი ნახა, მაგრამ ჯარისკაცის ქვრივმა ოჯახი არ წააქცია. ცხადია, კატო ვერას გახდებოდა, ხალხი, სამშობლო რომ არ დახმარებოდა, მამით ობლებისათვის ქვეყანას მამობა რომ არ გაეწია, მშობლიური ზრუნვა რომ არ გამოეჩინა. ორი გოგონა, ლამარა და ვარო, თელავის საბავშვო სახლმა აღზარდა. ორი — შინ დაიტოვა დედამ.

დაიზარდა ასე მწვანე ჯეჯილი, დღეს დაპურებული და ყანადქცეული.

ვაჟი — ოთარი დაცოლშვილებულია, მამისეულ სახლკარს დასტრიალებს, კოლმეურნეობაში ბეჯითად შრომობს, ვარო მსახურობს, ნანული საშუალო სასწავლებელს ამთავრებს, ხოლო ლამარა...

ლამარა ხომ ქვეყნის სახელოვანი ქალიშვილი გახდა.

მეხუთე კლასში სწავლობდა თელავის საბავშვო სახლის ალსაზრდელი, თბილისში რომ ჩამოიყვანეს, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში რომ მიაბარეს.

არაფერი ამის მსგავსი მანამდე არ ენახა თელაველ გოგონას.

ეზოში რომ შევიდა, ნამდვილი ბაღი გადაეშალა თვალწინ. იდილიური მყუდროება სუფევდა ირგვლივ. აქა-იქ თუ გამოჩნდებოდნენ ადამიანები ასფალტიან ბილიკებზე. სკვერები, მარადმწვანე დეკორაციული მცენარეები, ვარდ-ყვავილები, საცურავი აუზი, ლამაზი ნაგებობანი პატარა ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ის, რაც მან ამ წარმოების კორპუსებში ნახა, განსაცვიფრებელი იყო. გრიალებდნენ საქსოვი დაზგები, ტრიალებდნენ ადამიანები, რომელთა დათვლაც შეუძლებელი იყო. აქ ბამბა იპენტება, იქ — ძაფი ირთვება. იგრიხება, იწმინდება, სხვა საამქროში — ქსოვაა გაჩაღებული. ათასნაირი ტექნიკა, ათასი დაზგა და მანქანა იპყრობს გოგონას ყურადღებას.

ეს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატია, საბჭოთა საქართველოს ომისშემდგომი ხუთწლედის პირმშო — მსუბუქი ინდუსტრიის ნამდვილი მშვენება.

მრავალთა შორის ერთი საპატიო და რთული პროფესია აირჩია პატარა. ლამარამ ამ წარმოებაში — მრთველის პროფესია.

საერთო საცხოვრებელი. სუფთა, კრიალა, ნათელმზიანი ოთახი. ახალი დობილები, ცქრიალა გოგონები. საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, ახალი მასწავლებლები. გულითადი ადამიანები. სწავლა სკოლაში, სწავლა წარმოებაში. კომკავშირი. ახალი ცხოვრება, ახალი წრე.

ლამარა სიხარულს ვერ იტევს გულში. ნიჭიერად ეუფლება პროფესიას, ერთდროულად საშუალო სკოლასაც ამთავრებს.

დამოუკიდებელი შრომა. საკუთარი დაზგა. პირველი პროდუქცია.

— ყოჩაღ, კარგია!

ოსტატებისაგან გამხნევებული ლამარა შრომის წარჩინებული ხდება. გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. კომბინატის მრავალათასიან კოლექტივში თითით საჩვენებელი ხდება. მას პარტიის რიგებში იღებენ, დედაქალაქის სამრეწველო რაიონის — ლენინის რაისაბჭოს დეპუტატად ირჩევენ. ლამარა ხალხის რჩეულია. დედას, და-ძმებს სასიხარულო ცნობები მოსდით. ჩამოდიან — ხარობენ, ლამარაც ჩადის ხოლმე მშობლიურ ქვემო ხოდაშენში — დედას შველის.

გაზეთები წერენ ლამარაზე. მის სურათებს ბეჭდავენ. ლამარა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრია. იმუშაოს სანიმუშოდ, ისწავლოს ბეჯითად, იყოს კულტურული ადამიანი, თავაზიანი, კაცთმოყვარე, სამშობლოს ღირსეული შვილი — აი რას ნიშნავს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრობა. ლამარაც ემზადება სწავლისათვის — უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში სწავლისათვის.

მრავალთა შორის ერთი უცხოელი ჟურნალისტი ეწვია კომბინატს, ამჯერად ჩეხი ქალიშვილი.

როცა მან ბევრი საჭირო მასალა ჩაიწერა, უბის წიგნაკი დაკეცა და თქვა (კარგად ლაპარაკობდა რუსულად):

— მე ჩეხოსლოვაკიიდან ვარ. მამა არა მყავს. იგი ამ ომში დაიღუპა ფაშისტებთან ბრძოლაში. პარტიზანი იყო, მერე, მიწურულში, საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა. და აი მე მინდა გამაცნოთ თქვენ ჩემი ტოლი ქალიშვილი, მუშა, რომელსაც აგრეთვე ომში დაღუპვია მამა.

— ამ სტუმრის ხნისა... ომში დაღუპულის ქალიშვილი... მუშა... — საგონებელში ჩავარდნენ მასპინძლები.

— ავერ, კაცო, ჩვენი ჯეირანაშვილი მგონი ასეთია, — წამოიძახა ერთმა.

პირისპირ დგას ორი ქალიშვილი — ჩეხი და ქართველი.

— მეც სულ პატარა ვყოფილვარ, მამა რომ დამღუპვია!..— ჩაურთო საუბარში ჩეხმა ქალიშვილმა, — იგი მოუკლავთ ჩემსავე სამშობლოში, მიკულოვოს მისადგომებთან, სოფელ დობროე პოლეში. შენი?

ლამარა ტირის.

— მე ვიცი მამის საფლავი, — განაგრძობს სტუმარი. — ის მარტო არ წევს. ძმათა საფლავია. მე და დედა ხშირად ჩავდივართ. მიგვაქვს გვირგვინი და ვდუმვართ დიდხანს.

— უკანასკნელი მოგონება დედაჩემისათვის, — ძლევს ლამარა ქვითინს, — მამის უკანასკნელი წერილია. სწორედ ჩეხოსლოვაკიიდან მიღებული.

ჩეხი ქალიშვილი:

— ვიგულისხმოთ, რომ ჩვენი მამები ერთად წვანან ჩეხურ მიწაში!

ქართველი ქალიშვილი:

— და დაეცნენ ერთი საქმისათვის!

ჩეხი ქალიშვილი:

— ვიყოთ დობილები. აი ეს სამკერდე ნიშანი. ნება მომეცით თქვენი სახელი გავაცნო ჩემს მკითხველებს.

როცა ლამარა დაზგას მიუბრუნდა, თვალი მიაყოლა ძაფს, ელვის სისწრაფით რომ ერთვებოდა მასრებს.

დაერთვე, ფიქრის ძაფო, გასწვდი ჩეხთა მიწამდე, სადაც მეგულვის მამის საფლავი!..

იმ წუთებში ლამარას თვალებიდან არ შემეძლო სხვა სიტყვები ამომეკითხა.

ხოლო ძაფი, ლამარას სამი დაზგის მასრებს თუნდაც ერთ დღეში რომ დაერთვება, ჩეხთა მიწას კი არა, მთელ დედამიწას შემოსწვდება...

ძაფი, რომელიც მშვიდობას, ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება.

მარტი, 1960.



სხივთა ძნა

აკაკის ოცნებასავით „სმელეთ-ზურმუხტიდან“ „ცა-ფერუ-ზისკენ“ აჰყროობილია ილიასავით უკვდავი მუხა. მის ნერგს. სანამ ნორჩი იყო, წარსულის ხან სუსხიანი ქარი ეხლებოდა. ხან გვალვა სიკვდილით ემუქრებოდა. მაგრამ იგი დარგული იყო ჩვენი წინაპრების ხელით — წარსულში, და მომავლის დროების მოღვაწეთ იგი რწყეს თავისი მზურვალე ოფლით... რწყავდნენ, სხლავდნენ. ფესვჩქნიდნენ, უვლიდნენ, პატრონობდნენ. მისი ფესვებიც ვრცლად იკიდებდნენ ფეხს. მიიჭრებოდნენ ღრმად და შორს, ქართული ნოყიერი მიწის წვენით ნაკვებნი. ტანი ეყრებოდა ნერგს, კორძდებოდა, ფოლადდებოდა ქართან და სუსხთან შენაბრძოლები, მხრებს ძალუმად შლიდა ერის სულით ნალოლიავები. და აღიმართა აქე ფაზისის, იყალთოსა და გელათის ნამუშარებზე ტანაყრილი. მისი ღონიერი ტოტები გაიშალნენ თბილისის ცის ქვეშ, გადასწვდნენ აღმოსავლეთით თელავს, გორსა და ცხინვალს, დასავლეთით — ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს...

ლამპრად ანთებულს, სხივთა ძნად შეკონილს, სანთელს სანთელზე უკიდებდნენ, რომ შუქი მისი განვრცობილიყო სამშობლოს ყოველი კუთხით. მაგრამ არც ალი, არც სინათლე, არც სიცხოვლე მას არ მოჰკლებია, პირიქით, — შემატებია. რადგან ერთის ნაცვლად აგერ ათასმა სანთელმა იმასთან ერთად იწყო ლაპლაპი. იგი ამ ათასი მოლაპლაპე სანთლის კანდელია, დედათბილისის ბებერ და მაინც მარად ჭაბუკ მიწაზე ანთებული.

ეა მუხა — ილიას სიყვარულივით ერის გულში ფესვებ-ჩახლართული, ეს ლამპარი — ათას ციცინათელად აკაკის ლექ-სებივით აკიაფებული, ეს აკვანი — ერის ძლიერი სულის საზრ-დოდ დარწეული, — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-ტია — ცოდნის ტაძარი.

ივლისი, 1960.



ჩაუმქრალი კერა

ბედმა, ან უფრო სწორად — შრომითმა დიდებამ სამჯერ დააკავშირა კრემლის სასახლის დიდ დარბაზთან სომეხი მწველავის აშხენ ავეტისიანის სახელი. პირველად, როგორც პარტიის XXI ისტორიული ყრილობის დელეგატისა, მეორედ, როგორც ქალთა საერთაშორისო დღის დაწესების 50 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის მონაწილისა, საიდანაც იგი ოქრის ვარსკვლავით და ლენინის ორდენით დაბრუნდა, და მესამედ... მესამედ დაუსწრებლად, აგერ სულ ახლა — პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე.

— ჩვენი რესპუბლიკის სახელმოხვეჭილმა მწველავმა შაუმიანის რაიონიდან, სოციალისტური შრომის გმირმა, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა აშხენ ავეტისიანმა 1959 წელს მისთვის მიჩენილი 12 ძროხიდან თვითეულზე მიიღო 5.581 კილოგრამი რძე, ხოლო 1960 წელს — 5.823 კილოგრამი.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ზარობიანის ამ ცნობას პლენუმის მონაწილენი ოვაციით შეხვდნენ, როგორც შეხვდება ხოლმე დარბაზი რაიმე მგზნებარე ლოზუნგს.

აშხენ ავეტისიანის შრომითი დიდება მართლაც ლოზუნგივით არის მისი თანამოსაქმეებისათვის სომხეთში თუ საქართველოში, ყირგიზეთში თუ მოლდავეთში.

შრომით მოწეულის მკა დიდი ბედნიერებაა. თავისი შრომის ნაყოფს იმკიდა აშხენ ავეტისიანი, კრემლის სასახლის დიდ დარბაზში რომ იყო ორჯერ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც

ნას წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო პარტიის XXI ყრილობაზე დელეგატად სომხეთიდან.

ძალიან ბევრს გაეცნო და დაუმეგობრდა იგი იქ. მაგრამ ყველაზე უფრო სამახსოვრო შეიქნა მისთვის ერთი შეხვედრა. ხომ იცით, დედის გული როგორია, და ამიტომ დაამახსოვრდა.

სხდომათა შორის შესვენებაა. სომეხ დელეგატთა ერთი ჯგუფის ყურადღებას იქცევს პორტრეტებიდან ნაცნობი სახე. სარდლისა. სიყვარულით აცქერდებიან მის მკერდს. რამდენი ორდენი და მედალი აქვს!.. იგი ნელი ნაბიჯით მოემართება ჯგუფისაკენ.

—მარშალი მალინოვსკი! — გაეცნო იგი.

ხელის ჩამორთმევა, მოკითხვა. თვითეული ცდილობდა ხელის ჩამორთმევისას გარკვევით და ხმამაღლა ეთქვა თავისი სახელი და გვარი, თითქოს მარშალს შეეძლო ყველა მათგანის სამუდამოდ დამახსოვრება.

— მწველავი აშხენ ავეტისიანი სომხეთიდან!..

მარშალს ხელი არ გაუშვია. თავით ფეხთამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა ეს პატარა ტანის ქალი.

— ა, მე მსმენია თქვენზე — ხუთი ტონა რძე ხომ თვითეულ ძროხაზე?

— ცოტა მეტი, ამხანაგო მარშალო, ხუთნახევარი..

— კარგია. ქმარი, ალბათ, ასეთ შემთხვევაში, ფერმის გამგეა?

— რატომ? — ღიმილით უპასუხა აშხენმა მარშლის ხუმრობას.

—ამას ქმარი აღარც ჰყავს, — ჩაურთო ერთმა.

— მძიმედ დაჭრილი დამიბრუნდა ომიდან, შინ გარდამეცვალა, — განმარტა აშხენმა. თავი დახარა. დუმილი ჩამოვარდა.

— შვილები? — იკითხა მარშალმა.

— სამი ვაჟი. უფროსი ბელორუსიაშია.

— სწავლობს?

— ნამდვილ სამსახურშია, ჯარისკაცი სტეფანე მოვსესიანი.

რას იწერება ჯარისკაცი მოვსესიანი, ხომ არაფერი აწუ-ხებს?

— არაფერი, ამხანაგო მარშალო. აი უკანასკნელი წერილი.. — საფულე გახსნა. კონვერტი ამოიღო. — წამოსვლის წინ მი-ვიღე!..

— აბა?! — ხელი გაუწოდა მარშალმა. თვალი შეავლო კო-ნვერტს. დააცქერდა მისამართს. — მოგენატრათ ალბათ!

...თოვლიან-ქარბუქიან დღეს ტაქტიკურ მეცადინეობაზე, როცა მეომრები ახალი ზღუდის „ასაღებად“ წინ მიიჭრებოდ-ნენ, ჯაჭვურად, ბაგიდან ბაგეზე გადადიოდა სიტყვები:

— მოვსესიანო, მეთაურთან, მოვსესიანო შტაბში!..

— თხუთმეტდღიანი შვებულება, ჯარისკაცო მოვსესიანო! მარშალ მალინოვსკის განკარგულებაა!

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს! — სჭექს სიხარულით ცას წიული მოვსესიანი.

— მაგრამ შვებულება ერევანში კი არა,—კვლავ ახალი მო-ულოდნელობა ატყდება სტეფანეს. — მოსკოვში. მისამართი: სასტუმრო „უკრაინა“. ოთახი 340. აშხენ ავეტისიანი.

— ვემსახურები საბჭოთა კავშირს!..

დაუვიწყარია ის თხუთმეტი დღე დედა-შვილისათვის დედა მოსკოვში გატარებული.

ასე ფასდება შრომა ჩვენში.

და აი კიდევ როგორ ფასდება:

პლენუმზე ამხ. ზარობიანის მიერ აშხენ ავეტისიანის მაგა-ლითის დასახელების შემდეგ ოვაცია რომ მიწყდა, ნიკიტა სე-რგის ძემ ჰკითხა მომხსენებელს:

— ამხ. ზარობიან, ეს ხალხი იღებს თუ არა დამატებით ანა-ზღაურებას?

— აუცილებლად იღებს, — უპასუხა ზარობიანმა.

— არავინ არაფერს არ ლაპარაკობს დამატებით ანაზღაუ-რებაზე. თქვენ რა, გინდათ მარტო მორალური ფაქტორებით იაროთ კომუნიზმისაკენ? მორალური ფაქტორები კარგია, მაგ-

რამ უნდა მივცეთ მატერიალური საფუძველი. ამ ფაქტორების შეხამება წინსვლის კარგ პირობებს შექმნის.

სწორედ ეს სიტყვები ჩამესმოდა ყურში, როცა ამ დღეებში ვეცნობოდი აშხენს მისსავე მიწაზე, მრავალტანჯულ, დღეს კი აყვავებულ სომხეთის მიწაზე, მის მშობლიურ კოლმეურნეობაში, ვეცნობოდი მას იმ ფერმაში, სადაც თავდადებული მუშაობით სახელი გაითქვა შორს, სომხეთს იქითაც.

ფერმის ეზოში რომ შევედი, ვიფიქრე, პატარა დაბაში მოვხვდი-მეთქი. მოკრიალებული ეზო, სუფთა, ნათელი შენობები, მთელ ნახევარ კილომეტრზე გაჭიმული, შუქჩამდგარი სადგომი პირუტყვისა. ფერმის ირგვლივ საკვების მთელი გორებია აღმართული. სასილოსე ნაგებობანი და ტრანშეები ციხე-გალავანივით არტყია პირუტყვის „ქალაქს". მექანიზაცია ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ფერმაში კი არა, ქარხნის დიდ საამქროში იყოთ.

ადამიანები აქა-იქ დაფუსფუსებენ. ქალთა შორის მაინც განსაკუთრებული ინტერესით ერთს ვეძებ თვალით—უკითხავად თუ მივხვდები რომელია აშხენი.

უთუოდ ეს არის. გაზეთებიდან მეცნაურა. პატარა ტანის, ბავშვივით მორცხვი და მორიდებული, თეთრი სახის ქალი. საკვირველია — აქ მწველი მზე იცის ზაფხულში. ეს ქალი კი თითქოს რომელიმე ლაბორატორიის მუშაკი იყოს.

შემატყო ვინც ვარ, რაზეც ჩავსულვარ. თავაზიანად გამეცნო, მაგრამ საუბარს თავს არიდებს. თვალით ეძებს თავის დობილებს. „კმარა ჩემზე. ესენი ჩემზე ნაკლებნი როდი არიან",— მიმართავს იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და წარმომიდგენს ახალგაზრდა გოარ კარაპეტიანს — შავგვრემან, მოცხარივით შავთვალა ქალს; არაქს გრიგორიანს —სახეზე ღიმილგაუმკრთალ ჭაღარა ქალს; აზნივ ალექსანიანს — ყველა დანარჩენისადმი დედობრივი სიყვარული რომ ჩასდგომია თვალებში.

— აი ამათ ხუთი, ხუთნახევარი ტონა რძე აქვთ თვითეულ ძროხაზე მიღებული! — მეუბნება აშხენი.

ჩვენს შორის დგას სამოც წელს მიღწეული არტაშეს მეჟ-

ლუმიანი — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. არა მგონია, ეს კაცი როდისმე გაბრაზებულიყოს, როდისმე ხმისთვის აეწიოს. ისეთი კეთილი, ისეთი სათნო ადამიანია...

— ა, მე ვაინტერესებ ახლა ამათ, და ასობით ამათთანებს.

— სიყვარულით გადახედა მწველავ ქალებს მეჟლუმიანმა. მე ვერ მივხვდი რის თქმა სურდა. — ფული, მატერიალური დაინტერესება, უამისოდ წინ ვერ წავალთ, — განაგრძო, — ოცდახუთი მანეთი ყოველდღიურად გარანტირებული აქვს ჩვენს კოლმეურნეს. ისე, თვითეულ შრომითს ნორმაზე 36 მანეთი გაიცემა. აშხენს, მაგალითად, 40.000 მანეთი წლიური შემოსავალი აქვს ფულად. ასევე ამათაც... გახსოვთ ალბათ ამხანაგ ხრუშჩოვის რეპლიკა — მარტო მორალური ფაქტორი არ კმარაო. დაფასება უნდა იმათს შრომას, ვისითაც ლიტრი რძე მხოლოდ ხუთი-ექვსი კაპიკი გვიჯდება, ვისითაც მილიონნახევარ მანეთს მარტო ფერმიდან ვიღებთ, რომ არაფერი ვთქვათ ბაღ-ვენახიდან და მეცხვარეობა-მეფრინველეობიდან მიღებულ ექვს მილიონ მანეთზე...

— მაგრამ, არტაშეს, ეს თქვენი ფერმის ძროხები რომ არა ჩანან? — ვიკითხე, ბოლოს, ფერმაში გამეფებული იდილიური მყუდროებით გაკვირვებულმა.

— ჰო, დილიდან ველად არიან, სასეირნოდ. ძროხების გასეირნება აუცილებელია. დაიძვრიან სადაც არის.

დიდი ხანი არ გასულა, რომ შორიდან ნახირის ფეხის ხმა მოისმა. მოდის და დასასრული არ უჩანს პირუტყვს. თვალსა და გულს ახარებს მათი ნახვა.

— ეს რვაას კილოიანია, — მეუბნება არტაშესი, —ეს შვიდასოთხმოციანი... ხუთას კილოზე ნაკლებიანი არა გვყავს. ეს აშხენის ძროხებია, ეს არაქსისა...

თვითეულ ძროხასა სცნობს, იცის მისი წონა, წველადობა, წლოვანება, თვითონ შაუმიანის რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსი ყოფილა ადრე. ამ თანამდებობაზე მუშაობით მიუღია სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. მაგრამ

კომუნისტს გული არ დასდგომია იქ. ისწრაფოდა იქითკენ, სადაც მეტი სიძნელეები იყო. სიძნელეებს კი მოსვლისთანავე წაწყდა არტაშესი ამ კოლმეურნეობაში. აბა იანგარიშეთ, რძის მაშინდელი ფასის მიუხედავად, 1952 წელს მხოლოდ ორასი ათასი მანეთი შემოსავალი მისცა ფერმამ კოლმეურნეობას, საჭირო იყო ფერმის დაკომპლექტება, კომუნისტების გადაყვანა ამ პასუხსაგებ უბანზე. კომუნისტი აშხენ ავეტისიანიც მაშინ მოვიდა ფერმაში.

— შეძენილი გეყოლებათ, ალბათ, ეს ძროხები?—ვეკითხები არტაშესს.

— არა, ადგილობრივი ჯიშისა შევაჯვარეთ შვიცთან; და საუკეთესო მეტისი მივიღეთ. 112 მეწველი ძროხა გვყავს. თვითეულ ძროხაზე კოლმეურნეობა საშუალოდ 4.757 კილოგრამ რძეს იღებს.

— დაგვიჭემებია ამერიკა, ამერიკაო, ამერიკული ფერმებიო, — ჩამოგვერია საუბარში მანამდე შორიახლო მდგარი ჭარმაგი კოლმეურნე ვიგენი, — ჩვენ პირადად გავუსწარით კიდეც მათ. ეჰ, გვინახავს მათი ფერმებიც... — მძიმედ ამოიოხრა.

— თქვენ ალბათ ტურისტად იყავით იქ! — შევეკითხე.

— ჰმ, კარგი ტურისტი კი ვიყავი!.. — ვიგენის ეს სიტყვები ჩემკენ იყო მომართული, ხოლო მრავლისმეტყველი მზერა — არტაშესისაკენ — აუხსენი, ერთი, ამ უცხო კაცსო.

— ეს „ამერიკელი“ სომეხია, — მეუბნება არტაშესი. — აგე, ცხვარს რომ მოლალავს, სირიელია, ის კიდევ, ვენახში რომ დგას, ეგვიპტელი.. არიან აქ ლიბანიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან ჩამოსული სომხებიც...

რას მეუბნება ეს კაცი!..

— დიახ, ესენი ხომ თურქეთის სომხური ქალაქის მალათიას მკვიდრნი იყვნენ. მალათია ავი დედინაცვალი გახდა მათთვის. თურქების მიერ შევიწროებას ვინ საით გაექცა ბედის საძებნელად და ვინ საით. ბედი კი არსად იყო. მათ დედა ეძახდა, მშობლიური სომხეთის მიწა, აი ეს დალოცვილი დედამიწა...

მალათია... მალათია!.. — ცრემლის ქალაქი, თურქეთის ქალაქი!

მისგან დევნილი, მსოფლიოს გზებზე მიმოფანტული სომხები სამშობლოს დაუბრუნდნენ და გააჩაღეს თავიანთი კერა. ქმნიან ხვავსა და ბარაქას...

თებერვალი, 1961.



სახელი და მანძილი

ბევრი სახელოვანი ადამიანის თანასოფლელი ვარ.

ყველა დროსა და ეპოქაში შეიძლებოდა ადამიანი მრავალი საშუალებით გამხდარიყო სახელოვანი, საქვეყნოდ ცნობილი, მხოლოდ არასოდეს — ფიზიკური შრომით.

ამიტომაც იმ სახელოვანთაგან, რომლების თანასოფლელიც ვარ, დღეს მინდა მოვიგონო სწორედ ფიზიკური შრომით სახელმოხვეჭილი ერთი ადამიანი. სხვები, რაკი ზემოთ ნათქვამში დამეთანხმებიან, უთუოდ მაპატიებენ, რომ მათზე არაფერს ვწერ.

მე იმას როდი ვამბობ, რომ ჩემს რაიონში მარტო მას მოეხვეჭოს ფიზიკური შრომით სახელი. არა, მაგრამ თუ სახელს მანძილითაც გავზომავთ, მაშინ ჩემი ამ წერილის გმირის სახელს ყველაზე მეტი მანძილი აქვს გავლილი. გადაუვლია მას მთები და ზეგნები, ველები და მინდვრები, მდინარეები და ზღვები, მიუღწევია ოკეანემდეც და იქაც დამკვიდრებულა.

და, გგონიათ, რით? — ფიზიკური შრომით. ასეთი რამ წინათ არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ყველაზე დიდი შრომის შედეგსაც კი მხოლოდ უმოკლესი მანძილის გავლა შეეძლო — იმის ნალიამდე თუ ჯიბემდე, ვისთვისაც ეს შრომა ძალით იყო გაწეული — ექსპლოატატორამდე.

იმ სოფელში, რომლის მკვიდრზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ვყოფილვარ მეოთხედი საუკუნის წინათ, შემიდარებია ახალი შრომის ადამიანის ბედი უწინდელთან და უბის წიგნაკში ჩამიწერია, როგორც შავი კონტრასტი: — სოფელში იბადებოდა, სოფელში იტანჯებოდა, და სოფელივე საფლავის თავთან ხის ჯვრით უსვამდა წერტილს ადამიანის გაწამებულ ცხოვრებას.

ახლა ამ სოფლიდან ცხრა მთას იქით მდებარე დიდ და ბო-ბოქარ ქალაქში უცნაური მოულოდნელობით იყო ნახსენები ჩემი ამ წერილის გმირის სახელი.

ათასი საქმით და გზებით დაქანცული ჩემს სასტუმროში რომ შევედი და სკამზე ჩამოვჯექი თუ არა, კარზე კაკუნი მომესმა.

— მობრძანდით! — წამსვე გავეხმაურე.

მაკვირდება, ვაკვირდები. ჩვენ ერთიმეორისათვის უცნობნი, ვდგავართ ოთახში პირისპირ. ისე კი, ეტყობა, ჩვენებური უნდა იყოს.

— ქართველი ხარ, კაცო? დაბრძანდი აგერ!

— ქართველი, — მიპასუხა უცნობმა და სავარძელში ჩაიმუხლა. — გუშინ პეკინიდან ჩამოვფრინდი. ორი თვე ვიყავი იქ სოფლის მეურნეობის საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფთან ერთად. გამომგზავრების წინ, სოფლის მოწინავე კოოპერატორების შეკრებას რომ ვესწრებოდი, ერთი ქალი გამოეყო თავის ამხანაგებს, ღიმილით და კრძალვით მოუახლოვდა ჩემს გვერდით მდგომ თარჯიმანს და ისე, რომ მოციმციმე თვალები ჩემთვის არ მოუშორებია, ეკითხება თურმე მას ჩემზე: „ეს საბჭოთა ამხანაგი ქართველია?“ „ქართველი ვარ!“ უნებლიეთ მშობლიურ ენაზე მივაძახე ჩინელ ქალს.

დასტური თურმე ყველა ენაზე ერთნაირად გასაგები ყოფილა. და ისიც ახლა მე მომიბრუნდა. მეტიტინება გაბარებული, სახეგაცისკროვნებული, ხელის ხელზე შემოკვრით. „ზანაო, ამბობს, — მითარგმნის ჩემი მხლებელი მის სიტყვებს,— გაგიგონიაო? სოფელი ზანა, ცხაკაიას რაიონში რომ არისო?“. გამიგონია კი არა, ვყოფილვარ კიდეც-მეთქი. ამის გაგონებით გახარებული ჩინელი ქალის წამოძახილს, როგორც შემდეგ გავეცანი საქმის შინაარსს, ქართველი ქალი, მგონი, შემდეგი სიტყვებით გამოხატავდა: „დედა, შენ გენაცვალე!“ და მერე მიამბობდა თურმე ჩინელი ქალი: მე იქ მყავს შორეული მეგობარი, ჩემი კოლეგა, ჩაის მკრეფავი ტატიანა ტყეებუჩავა, გაგიგონიათ? ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებით მეტი ჩაისათვის. იგი ჩვენში ცნობილია ჩვენი გაზეთით „დრუჟბათი“. მსოფლიო რეკორდსმენი მეჩაიეა ტატიანა —ჩვიდმეტი ტონა ჩაი სეზონ-

ში! მე ჯან ცინ-ხე მქვია, ანხუეის პროვინციიდან... აქეთ-იქით მიმოიხედა, უმწეოდ ხელები გაასავსავა, თითქოს რაღა ვქნა ახლაო, მერე მაჯიდან საოცრად ლამაზი და ბრჭყვიალა სამკაული მოიხსნა და გამომიწოდა, — „ეს საჩუქრად გადაეცით მას ჩემს სალამთან ერთად“. მე ქართველი დობილის მაგივრად მადლობა ვუთხარი, და ბოდიში მოვიხადე, რომ ვერ შევასრულებ მის დავალებას, რადგან დიდხანს მომიწევს მოსკოვში დარჩენა-მეთქი. ისე კი მივწერ მას ყველაფერს მეთქი... თქვენ ჩემზე ადრე ჩახვალთ, — მომმართა მერე ჩემმა მოსკოველმა თანამოსაუბრემ, — გთხოვთ ეს ამბავი გადასცეთ ტატიანას. ვაი თუ წერილში ვერ ავწერო, რაც განვიცადე...

ვუსმენდი მთხრობელის ამ უცნაურ ამბავს, პასუხი ვერ მომეფიქრებინა, მხოლოდ დროდადრო, როგორც შავი კონტრასტი, გამიელვებდა თავში სიტყვები ჩემი ძველი უბის წიგნაკიდან. — სოფელში იბადებოდა, სოფელში იტანჯებოდა, და სოფელივე საფლავის თავთან ხის ჯვრით უსვამდა წერტილს ადამიანის გაწამებულ ცხოვრებას...

ბურანიდან რომ გამოვერკვიე, მივმართე მთხრობელს:

— არა, წერილი ამაზე შენვე უნდა მისწერო, უამბე მას წერილობით ყველაფერი. მისთვის დიდად სასიხარულო იქნება!..

ზამთარია. ზანის ზეგნები თოვლით არის დაფარული. სოფლის უმშვენიერესი პეიზაჟია გადაშლილი თვალწინ. თოვლით შემოსილი ჩაის პლანტაციები ღრუბლებივით შეჰფენიან ფერდობებს. ბუხრებიდან კვამლი მძიმე-მძიმედ ადის და ტყვიისფერ ცას უერთდება. იდილიური მყუდროება სუფევს ირგვლივ.

უკვე ტატიანას სახლში ვარ, ახალი ოდის დიდ სასტუმრო დარბაზში. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს. მაგიდაზე ალაგია ათასგვარი საქმიანი ქაღალდები, წერილები — საბჭოთა ადამიანის შრომითი დიდების გამომხატველი. ვათვალიერებ მათ, ტატიანას ოთხი შვილით, სახეგაბრწყინებული ოთხი ქალ-ვაჟით გარშემორტყმული. შორიახლო დგას ტატიანას დედამთილი— ქართველი ქალი, ჭირსა და ლხინში გამოტარებული, ჯერ კიდევ მხნე ანეტა. დროდადრო დარბაზს მიმოვავლებ თვალს. კედლიდან ამაყად დამყურებს ქართველი ვაჟკაცის პორტრეტი.

ეს ტატიანას მეუღლეა, ომგადახდილი, ფრონტზე მიღებული ჭრილობებისაგან შინ გარდაცვლილი.

მოხუცმა თვალი მკიდა. ნაღვლიანად აიხედა სურათისაკენ.

— თითქოს გარდუვალი იყო, ნანა, ჩვენი დაქცევა, — თვალს არ აშორებს შვილის სურათს, — ოთხი ობოლი შემოგვრჩა ქოხში. შრომამ გამოგვიყვანა...

ტატიანა კრძალვით ხრის თავს.

ღრმა ფიქრებში წასული ვათვალიერებ ქაღალდებს, დოკუმენტებს.

სოციალისტური შრომის გმირის სიგელი.

პარტიის XXI ყრილობის დელეგატის მანდატი.

მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრობის ბილეთი.

ზანელი მეჩაიე ქალი!

ახლა მაგონდება ის გოგონა, ჩემს ჰაბუკობაში მშობლიური ქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში რომ სწავლობდა, იგი ხომ აგროტექნიკოსია განათლებით; მან კი პლანტაციაში ისურვა ფიზიკური შრომა.

ფიზიკური შრომა მეცნიერების საფუძვლების ღრმა ცოდნით, დიდი გამოცდილებით. მას ახლა ათასობით მოწაფე და მიმბაძველი ჰყავს.

მეჩაიე ქალი!

— ეს წაიკითხეთ? — მაწვდის გახსნილ კონვერტს ტატიანა, — მე მუდამ სიხარულით ვიღებ ხელში.

წერილი ამოვიღე. ვკითხულობ. ეს ხომ ის არის — ჩემი მოსკოველი მთხრობელის გამოგზავნილი წერილი.

სოფელში იბადებოდა!.. — კვლავ მაგონდება სიტყვები ძველი უბის წიგნაკიდან, როგორც შავი კონტრასტი.

და მიხარია, რომ მე იმის თანასოფელი ვარ, ვისი სახელიც ჩვენს დროში შრომამ ჩინეთამდეც გაიტანა.

თებერვალი, 1961.



დედის სიყვარული

სიყვარული უთუოდ რითიმე არის გამოწვეული. სილამაზე და სიფაქიზე, ძალა და სიკეთე, სიამოვნება და სიტკბოება, ეშხი და მიმზიდველობა, ზრუნვა და ამაგი, ერთგულება და თავდადება... განა შეიძლება ჩამოთვალო ყველა თვისება, რაც კი ვისმე და რასმე გაყვარებს!..

მთას შესტრფი, თოვლიან-ყინულიანს, ცის მოამბორეს მიუკარებლობისა და გულზვიადობისათვის; მდინარეს — აქაფებული ჩანჩქერებისა, მოღუღუნე ზვირთებისა თუ გულჩახვეული ჭორომებისათვის; მინდორს სილაღისა და ყვავილთა სურნელებისათვის; ყანას — მობიბინე ჯეჯილისათვის; ტყეს ნიავზე ფოთოლთ ჩურჩულისა თუ ფრინველთ გალობისათვის.

მაგრამ არის ქვეყნად ორადორი სიტყვით გამოხატული რამ, რომელიც სიყვარულისათვის არ საჭიროებს ეპითეტებს, — დედა-შვილობა, მამულიშვილობა.

განა დედა იმისათვის გვიყვარს, რომ ლამაზია?!... განა მამულის სიყვარულისათვის მნიშვნელობა აქვს, იმას ტრამალებზეა იგი თუ მთებზე, ხრიოკია მისი მიწა თუ მწვანით მოხასხასე?! ყაზახისათვის, ლიტველისათვის, სომხისათვის, — ყველასათვის, ერთნაირად საყვარელია თავისი კუთხე-სამშობლო.

და თვითეულის ეს სიყვარული დედა-მამულისადმი ის ენაა, რომელიც ერთნაირად გასაგებია ყველასათვის.

ეს სიყვარული ის კეთილი ძალაა, რომლის წინაშე დრკება ყოველივე ბოროტი.

საქართველო! — არა მარტო თავისი სილამაზისათვის, მთებისა და ველებისათვის, ცა-ფირუზისა და ხმელეთ-ზურმუხტისათვის, არა მარტო თავისი „ლილესა“ და „მრავალყამიერისა-

თვის“, ქარისათვის, რომელსაც ცეცხლოვანი ცეკვები წარმოჰქმნიან, ნიავისათვის, რომელიც დედის „ნანას“ მოგაგონებს. ქნარისათვის, რომელიც რუსთველს დაუჟღერებია, არა მარტო ქვებისათვის, წინაპრებს რომ ერის უკვდავ ძეგლებად დაუტოვებიათ, არა მარტო აკვნისათვის, ქართველ დედას რომ შეუთხზავს და მამას სათუთად გამოუთლია, არა მარტო ხმლისათვის, პატარა კახსა თუ გიორგი სააკაძეს, ცხრა ძმა ხერხეულიძეთ თუ სამას არაგველთ რომ შემოსეული მტრებისათვის მოუქნევიათ, — არამედ იმისათვის, რომ მას დედა ჰქვია, — აი, ამისათვის გვიყვარს ჩვენ ჩვენი საქართველო.

ეს სიყვარული კი ყველასათვის გასაგები გულის ენაა და ხიდად იდება რუსისა და უკრაინელის, სომხისა და აზერბაიჯანელის, უზბეკისა და ჩინელის, ჩეხისა და პოლონელის გულამდე. ეს არის ხიდი სიყვარულისა!

საქართველო!

შენ მრავალი დღეობა გიზეიმნია, მაგრამ არასოდეს არ გიმღერია ისე ომახიანად, როგორც ახლა. როცა მყინვარივით ჭალარაცა ხარ და ჭაბუკიც, როდესაც ნასუნთქი ხარ ორმოცი ბედნიერი გაზაფხულისა, — შვიდწლედის დევგმირული ნაბიჯით კომუნიზმისაკენ მავალო, მრავალბრძოლაგადახდილო საქართველო!

მაისი, 1961.



საგჭოთა ხასიათი

ჯერ პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი მამის გარდაცვალების გამო თვალზე ცრემლი არ შეშრობოდა, რომ ძაძიანი დედა მიაცილებდა მას სამამულო ომის ფრონტისაკენ მიმავალ ეშელონზე.

მთელ მის ბიოგრაფიას განსაზღვრავდა მხოლოდ ოცდაორი გაზაფხული. საშუალო სკოლა, ინსტიტუტი. მის პიროვნებას ადასტურებდა ორად ორი დოკუმენტი — ლენინური კომკავშირის წევრობის ბილეთი და ეს-ეს არის მიღებული არქიტექტორის დიპლომი. პასპორტი ამჯერად შეცვლილი იყო მოქმედ არმიაში მობილიზაციის წითელი ფურცლით.

მაღალი, წერწეტა, ჩამოუყალიბებელი და ძვალმოუმაგრებელი, ლამაზი და მოსიყვარულე, ჭკვიანი თვალებით, კოხტად შეკრეჭილი წაბლისფერი კოკორი ულვაშით, ტალღისებრ ხვეული თმით, მკვირცხლი და დაუდგრომელი, საამოდ მოუბარი თავაზიანი ჭაბუკი პირველი შეხვედრისთანავე შეგაყვარებდათ თავს. თუ არა სიმაღლე და კოკორი ულვაში, მოგესურვებოდათ თავზე ხელი გადაგესვათ და ბავშვივით მიალერსებოდით. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ასეთი სურვილით თვითონ გასწრებდათ და, კაცთმოყვარე, თავად ავლინებდა თქვენდამი სიყვარულისა და ალერსის გრძნობებს. ძალზე ადრე ჩათვალა თავი მოზრდილად, და ამის შეგრძნობის შესაბამისად იყო მუდამ მომთხოვნი საკუთარი თავისადმი. არსად, არასოდეს არ ტოვებდა მას ბუნებისაგან მინიჭებული პოეტური, მეოცნებე სული, თუმცა ვერ გეტყვით, წერდა თუ არა ლექსებს, შესაძლოა, წერდა, მაგრამ არავის უმხელდა. ხატვით კი გატაცებით ხატავდა. მის ტილოზე არაერთი შთაგონებულად შესრულებული

სასახლე, არაერთი ისტორიული ძეგლი ყოფილა აღმართული. ამხანაგები ბევრჯერ მოუხიბლავს ტილოზე მის მიერ ნიჭიერად წარმოსახულ ქალაქს, ბაღს, ქუჩებს, არქიტექტურულ ნაგებობებს.

ასეთ ახალ სასახლეთა, ახალ ქალაქთა შენებაზე ოცნებით მიაქროლებდა მას ეშელონი ნგრევის დიდი ველისაკენ—ფრონტისაკენ.

უშენებია კიდეც! ცხრამეტი-ოცი წლის ჭაბუკი, სტუდენტური ზაფხულის ჟამს, სამუშაოთა მწარმოებელი ყოფილა დონბასში, კიევსა და ტულაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე. ვაი რომ ჰიტლერულ ურდოებს ბევრი ეს სახლი დაუნგრევიათ.

მოსკოვის მისადგომებიდან პრაღამდე, ლეიტენანტიდან მაიორამდე! — ასეთია ამ ახალგაზრდა ქართველი ოფიცრის საბრძოლო გზა. შვიდჯერ ნატყვიარი, სიკვდილს იმდენჯერ გადარჩენილი, რამდენი წუთიც ცეცხლის ხაზზე რკინისა და ლითონის ნიაღვრის ქვეშ ყოფილა!

ოცდასამი წლისას ჩააბარეს პირველად საინჟინრო ბატალიონი. ქალაქთმშენებლობაზე, არქეოლოგიურ გათხრებსა და ძიებაზე მეოცნებე, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისათვის მოწოდებული ახალგაზრდა არქიტექტორი ახლა განსაცდელში მყოფი დედა-სამშობლოს საომარ მშენებლობათა ფიცხელ და სადღეღამისო ფრონტულ შრომაში იყო მთელი არსებით ჩაფლული. არა მიწისზედა სართულების, არა არქიტექტურულ ნაგებობათა, არამედ ხიდების, ძელმიწურების, ბლინდაჟების, ტრანშეების, ნაღმიანი წინაღობების, პონტონების ასაგები სამუშაოებისათვის უნდა ეხელმძღვანელნა.

ახლა იგი წყალუხვი დნეპრის მარცხენა ნაპირზე თავისი ბატალიონით ახალი საბრძოლო დავალების შესასრულებლად დღესა და ღამეს ასწორებდა, არ ეპუებოდა ტყვიასა და ჭურვებს, ბომბებსა და ნაღმებს, განუწყვეტელ საჰაერო თავდასხმებს, ყოველ წუთს სიკვდილით რომ ემუქრებოდა მეთაურსაც და მის ხელქვეითებსაც.

არასოდეს არ დაავიწყდება ამ დავალების მიღების წუთები. როდესაც იგი ბლინდაჟში გამოიძახეს, თვალი აუჭრელდა.

ფრონტის გენერალიტეტს მოეყარა აქ თავი. ბლინდაჟში შესულს პირველად ფრონტის სარდალი ვატუტინი შემოეგება.

— 268-ე საინჟინრო ბატალიონის მეთაური, თქვენი გამოძახებით.

ამ პატაკზე წამოიმართა ბლინდაჟის ცენტრში მაგიდაზე გაშლილ რუკაზე თავდახრილი გენერალი, რომლის სახე მას პორტრეტებიდან ეცნაურა. ეს იყო ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი.

— ხიდია დნეპრზე გასადები. ვადა — ხუთი დღეღამე!— მიმართა ვატუტინმა არა ამ ახალგაზრდა ოფიცერს, არამედ გენერალ კრისანოვს — ფრონტის საინჟინრო ჯარების სარდალს, — მოვიწვიოთ მოსკოვიდან ძალები, თუ?..

— არ არის საჭირო, ამხანაგო სარდალო! — არ დააცალა კრისანოვმა და მკლავზე ხელი შეავლო გვერდში მდგომ ახალგაზრდა ოფიცერს, — ჩვენ გვყავს ძალები.

— მეც ასე ვიცოდი. კაპიტან ციციშვილს აქვს გამოცდილება.

— ქართველი ხარ? — გაუღიმა კაპიტანს ნიკიტა სერგის ძემ, — თბილისიდან ხომ არა?

— გახლავართ, ნიკიტა სერგის ძევ! — და ენაზე იკბინა, რომ გენერალს მოქალაქურად მიმართა.

— ამოცანა მძიმეა. დნეპრის ფორსირება შეტევის ბედსა წყვეტს. თქვენი ხიდი გამარჯვების ხიდი უნდა იქნეს!..

„გამარჯვების ხიდი!.. შეტევის ბედი“.. არ სცილდებოდა გენერალ-ლეიტენანტ ხრუშჩოვის ეს სიტყვები ახალგაზრდა ოფიცერს, როცა იგი ბატალიონის განლაგებაში ბრუნდებოდა.

მარცხენა ნაპირის უკრაინაში მარცხის შემდეგ ციებცხელებით შეპყრობილმა ჰიტლერულმა სარდლობამ იწყო დნეპრისაკენ მთელი ძალების წამოწევა, მარჯვენა ნაპირზე თავდაცვითი ნაგებობების მოწყობა. არა მარტო უხვწყლიანი დნეპრის ფორსირება იყო საძნელო. უნდა გაგვენადგურებინა და გადაგველახა საცეცხლე სიმაგრეები, მთლიანი ტრანშეები შემაერთებელი სასვლელებით, მავთულღობურები და მავთულხლართები, დანაღმული ველები და სატყვიამფრქვევე მოედ-

ნები, ძელმიწური საცეცხლე წერტები და წრიული თავდაცვის სიმაგრეები...

დნეპრს გაღმა უძველესი რუსული ქალაქი — კიევი თვლემდა ნგრევისა და ცეცხლის კვამლში და ურჩხულისაგან დახსნას ითხოვდა. კიევი უნდა განთავისუფლებულიყო.

ცას სწვდებოდა ყუმბარებისა და ბომბებისაგან დნეპრიდან აშხეფებული შადრევნები, ქვემეხთა ცეცხლის ალი ანათებდა ღამეს და კვამლი ებურა ცასა და მიწას დღისით.

ამ ვითარებაში შეუდგა კაპიტან ციციშვილის ბატალიონი დნეპრზე ხიმინჯებიანი ხიდის აგებას ჩვენი შემტევი ჯარებისა და საომარი ტექნიკის გადასასვლელად. ამ უწყვეტი ცეცხლისაგან „თავშესაფარად“ კაპიტანსა და მის მეომრებს ჰქონდათ მხოლოდ ბედი და ხიმინჯები, მხოლოდ ძელები და ურონაჯახი.

დროდადრო მას მოსკოვი, გენერალური შტაბი უხმობდა ტელეფონით, რომ ამბავი გაეგო ხიდისა.

მარჯვენა ნაპირამდე ხუთასმეტრიანი ხიდიდან ასორმოცდაათი ხელახლა შეიქნა ერთ ღამეში აღსადგენი — ჰაერიდან და ხმელეთიდან შეუწყვეტელი დარტყმებით ანგრევდნენ გერმანელები. ბატალიონის პირადი შემადგენლობის ერთი მესამედი მწყობრიდან გამოვიდა დაჭრილთა თუ დახოცილთა სახით.

მაგრამ... არა მეხუთე, არამედ მეოთხე ღამეს ხიდი არის! ცოცხალი ძალა და ტექნიკა მტრის რისხვად დაიძრა ციციშვილის ბატალიონის აგებულ ხიდზე, კიევის მიმართულებით.

ამ საბრძოლო დავალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის სახელოვან ქართველ ოფიცერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო ბატალიონს „კიევისა“ ეწოდა. მისი თითქმის მთელი პირადი შემადგენლობა დაჯილდოებულ იქნა საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. განა მარტო ხიდების აგება!..

აი კიდევ საბრძოლო დავალება:

დაზვერვამ ცნობა მოიტანა, ჩვენს ზღუდეს მტრის ასზე მეტი ტანკი მოაწყდა და ღამე შეტევაზე გადმოდისო.

ბატალიონის ნაწილს უნდა დაჰკისრებოდა მტრის ტანკე-

ბის ადგილზევე მოსპობა, ხოლო დარჩენილთათვის ნაღმებით გზის გადაღობვა. დრო არ იცდიდა. ამ დავალებაზე წამსვლელს სიკვდილი ელოდა.

— მისმინე, ბატალიონო! — კაპიტნის დაძახილზე მწყობრი სმენად იქცა. — საბრძოლო დავალებაა. — ბატალიონმა, როგორც ერთმა კაცმა, ასწია თავი. — ნაღმებით აფეთქდეს მტრის ტანკები. — ბატალიონმა მთასავით წინ წამომართა მკერდი მზადყოფნის ნიშნად. — დაღამებას ვერ დაველოდებით. ჩემთან ერთად წასვლის მსურველო... — ბატალიონი თითქოს მთელი თავით ამაღლდაო, შეიმართა განკარგულების მოლოდინში. — ერთი ნაბიჯით წინ!

საპასუხოდ ერთი წინ წადგმული ნაბიჯი მიწას მძლავრად დაჰკრა... მთელმა ბატალიონმა.

— იძულებული შევიქენი, — იგონებს ციციშვილი, — სიით ამომეძახნა ყოველი მეხუთე მეომარი... ღირდა მათთან სიცოცხლეც, ბრძოლაც, და თუ საჭირო იქნებოდა, სიკვდილიც!...

მაგრამ გმირი არ მომკვდარა. დაბრუნდა გამარჯვებული, ნატყვიარი, მაგრამ ჯანგაუტეხელი, კვლავინდებურად მკვირცხლი, დაუდეგარი, თავაზიანი და კაცთმოყვარე, ლამაზი და ახოვანი, მეოცნებე და მაძიებელი, მომავლისაკენ არწივის თვალით მზირალი — ირაკლი ციციშვილი, გმირის ვარსკვლავით.

ირაკლი ციციშვილისათვის ყველგან გზა ხსნილი იყო. მაგრამ მისი სული სხვა რამისკენ მიისწრაფოდა. ეს იყო მეცნიერული მუშაობა, საქართველოს ისტორიის, ხუროთმოძღვრების, არქეოლოგიის, არქიტექტურის სამსახურში ყოფნა, და აი იგი აკადემიაში თავისთან სამუშაოდ მიიწვია სასიქადულო მეცნიერმა სიმონ ჯანაშიამ. უდიდესი სიხარულით მიიღო ციციშვილმა ეს მიწვევა. მალე თავის მშობლიურ, აღმზრდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც მიიწვიეს უფროს მასწავლებლად. კითხულობდა იქ არქიტექტურის ისტორიას.

გატაცებული ძიება. ძველი მემკვიდრეობის შესწავლა. წიგნები... დღეღამეში ოთხი-ხუთი საათიღა ძილი. შემოქმე-

დებითი, მეცნიერული მივლინებები მოსკოვსა და ლენინგრადში. არქეოლოგიური ექსპედიციები საქართველოს ისტორიულ ადგილებში. გათხრები; ძველი ისტორიული ძეგლების შესწავლა.. ჯერ მის ნატყვიარ მაზარას დენთის სუნი კარგად არ გასცლოდა, რომ დემობილიზაციიდან ერთი წლის შემდეგ, 1946 წელს მან ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ანტიკური ციხე-ქალაქები", და მიიღო არქიტექტურის კანდიდატის სამეცნიერო წოდება. არც აქ დადგა მისი მაძიებელი სული. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად იგი მუშაობს სადოქტორო თემაზე.

აი, ამ ერთი წლის წინათ, მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქართული არქიტექტურის საწყისები" და მოიხვეჭა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი. ომის შემდეგ გამოაქვეყნა ორმოცდაათზე მეტი შრომა. ბევრმა მათგანმა მაღალი შეფასება ჰპოვა ჩვენში და საზღვარგარეთ — ამერიკაში, იტალიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში.

ექვსი წელიწადია იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრას განაგებს, მანამდე კი ამავე კათედრის დოცენტი იყო. ასობით ახალგაზრდა სპეციალისტი მოუმზადებია მას შემოქმედებითი შრომის ასპარეზისათვის. მათი მონაწილეობით შენდება და მშვენდება საბჭოთა საქართველოს მრავალი ქალაქი, დედა თბილისი, რომელიც დღითი დღე სახეს იცვლის, იზრდება, და გრანდიოზული ქალაქი ხდება.

მეომარი და მეცნიერი, ომის გმირი და ხუროთმოძღვარი. მეოცნებე და მაძიებელი! — აი ნამდვილი საბჭოთა ხასიათი!

ზღვის ამოლევას აპირებდე და ჯერ მხოლოდ ერთი კოვზი გქონდეს შესმული — ასეთია ჩემი ეს წერილი ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის ირაკლი ციციშვილის სახელოვანი ცხოვრების მიმართ.

მაისი, 1961.



ვ ა ჟ ა

ბევრი არ მოიძებნება ქვეყნად სოფელი, რომლის სახელიც ასე შორს გაეტანოს თავის შვილს. ვაჟამ ჩარგალს არგუნა ეს იშვიათი ბედი. ბევრი გენიოსის ბიოგრაფიაში პირველივე სტრიქონების შემდეგ ქრება მისი დაბადების ადგილის სახელი. ვაჟა კი დაბადებიდან სიკვდილამდე დაკავშირებული იყო ჩარგალთან.

ჩარგლულას პირას, ქვითკირის პატარა დაბალჭერიანი სახლი იყო აკვანი დიდი პოეზიისა. ჭერად მეშვიდე ცა რომ ედაბლებოდა, ჰორიზონტად თვით საქართველოც რომ ეკიწროებოდა. იქ, ზვიადი მთების კალთებზე ხნავდა, თესავდა, ნადირობდა, უყვარდა, იწვოდა, ანათებდა და ამ ნათელით ქმნიდა გენიალურ ნაწარმოებებს მიწის, სიცოცხლისა და სიყვარულის მარადიულობის თანატოლი თავის უკვდავებაში — გლეხკაცი ლუკა რაზიკაშვილი, მგოსანი ვაჟა-ფშაველა.

მთელი მსოფლიო სიყვარულით წარმოთქვამს დღეს ბუნებისა და ადამიანის, გმირობისა და შრომის, მშვიდობისა და სიკეთის გენიალური ჩარგლელი მგალობლის ვაჟა-ფშაველას სახელს.

ეს იმ დროისაგან დაჭრილი არწივია, ყვავ-ყორნებს რომ ეომებოდა, ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ვეღარა დგებოდა. ეს ის ასწლოვანი არწივია, დღეს რომ წამოიმართა, მხრები გაისწორა, თვალი მიმოავლო ცის ტატნობს და ასაფრენად გაშალა ძალუმი ფრთები. პოეზიის ამ ფრთების ქვეშ ხარობს და ზეიმობს დღეს შვილის დაბადების ასი წლისთავს მისი მშობელი და ძუძუს მწოვებელი დედა — საქართველო.

ქართულ მიწასავით წვენდაუშრეტელია, მზითა და მთვა-

რით ნაშუქ ცასავით ნათელია, მაღალი მთებივით მძლავრია, სალს კლდეებივით გაუტეხელია, შვლის ნუკრის თეთრი თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბივით ნაზია, ტყეში მოსულ იასავით ლამაზი და სურნელოვანია, მთის წყაროსავით საამოდ წყურვილის მომკვლელია, თავისი მამაცი გმირებივით შემართებული და სულით სპეტაკია ერის მიწაში ღრმად ფესვებგადგმული, ცასთან მოუბარი, მშობელი ერის სიყვარულით ანთებული პოეზია ვაჟასი.

ამიტომაც ცოცხლობს ხალხში ილიასა და აკაკის თაობის ღონიანი შვილი, მინდიას შემქმნელი და თვითონ მინდია — ვაჟა-ფშაველა — მიწის, სიცოცხლისა და სიყვარულის მარადიულობის თანატოლი თავის უკვდავებაში.

თელავი, 1961



სუნთქვა კომუნიზმისა

ისტორიულ ცხრაას სამში, ბრიუსელსა და ლონდონში, რსდმპ II ყრილობაზე, რომელსაც პირველი პროგრამა უნდა მიეღო, დელეგატებმა მიიტანეს სუნთქვა მოახლოებული რევოლუციური ქარიშხლისა.

პარტია მაშინ მოუწოდებდა რუსეთის მშრომელებს ცარიზმის, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიული წყობილების დამხობისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ.

თხუთმეტ წელზე მეტი ხნის შემდეგ, როცა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით გადაწყვეტილი იყო პროგრამის ძირითადი ამოცანა საბჭოთა ქვეყანაში, ისტორიულ ცხრაას ცხრამეტში მოსკოვში შეკრებილმა რკპ (ბ) VIII ყრილობამ საქვეყნოდ გამოაცხადა ახალი, მეორე პროგრამის ძირითადი ამოცანა — მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფოს განმტკიცება, სოციალისტური მშენებლობის გაშლა!

ახლა, როცა სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში, მოსკოვში იკრიბება პარტიის XXII ყრილობა, რომელმაც ახალი, რიგით მესამე პროგრამა უნდა მიიღოს, პროგრამა კომუნიზმის აშენებისა.

დელეგატებს ყრილობაზე მიაქვთ სუნთქვა მოახლოებული კომუნიზმისა.

ამ დელეგატებს შორის არის ერთი გურული ქალიშვილი — შუაგანახლებელი ეთერ ჯიბუტი.

ცხრაას სამი. ცხრაას ცხრამეტი. რსდმპ II, რკპ (ბ) VIII ყრილობები. ბრიუსელი, ლონდონი, მოსკოვი, და... ჩვენი ოცდაცხრა წლის შუაგანახლებელი ეთერ ჯიბუტი!..

ცოტა შორი შემოვლაა? — სულაც არა!

მოვიგონოთ პარტიის ლოზუნგი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის!“

ბრიუსელსა თუ ლონდონში პარტიის II ყრილობაზე შეკრებილნი, ლენინის იდეებით შთაგონებულნი, ცხრა მთა და ცხრა ზღვა რომ გადაუვლიათ, ქარტეხილები რომ გადაულახავთ, იმ მილიონთა თავისუფლებისა და ბედნიერების პროგრამაზე ბჭობდნენ, რომელთა წარმომადგენელი ეთერ ჯიბუტიც არის.

თითქოს გუშინ იყო ნაოცნებარი ის, რაც დღეს ახდენილია. რაც უნდა დიდი ხნის იყოს ნაოცნებარი, ჩვენამდე მანძილს საოცრად ამოკლებს მისი ახდენა.

ამ კაცმა კიდევ მთლად შემიმოკლა ის მანძილი:

— მესამე კლასში ვიყავი მაშინ, დღევანდელ დღესავით მახსოვს, დიდი ლაპარაკი იყო შუაგანახლებაში პირველ პროგრამაზე...

ვერაფერი ვერ დამარწმუნებდა მთხრობელის ასაკში, რომ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანს მიხეილ ყაჭეიშვილს კომუნისტების სააღრიცხვო ჟურნალი არ მოებრუნებინა ჩემსკენ და თითი არ დაედო ბესარიონ სიხარულიძისათვის:

— ა, ცხრაას ჩვიდმეტიდან არის პარტიის წევრი.

ჟურნალში ხან აქ, ხან იქ, თვალი ვკიდე გრაფას — „პარტიაში შესვლის დრო“ — ქვევით 1917, 1918 1919... ბევრი მათგანი თურმე აგერ ზის, ამ კვირადღეს, ჩემთან, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოთახში.

— ეს რომელია, ეს, ცხრაას ცხრამეტიდან რომ არის...

— ო, სწორედ მაგ წელიწადში ვარ მიღებული წევრად, პარტიის მეორე პროგრამის მიღების წელიწადში.

— პახუმ სიხარულიძეა, — მაცნობს მდივანი.

— ასე ახალგაზრდა ცხრაას ცხრამეტიდან? — ვერ დავმალე განცვიფრება.

— ვიკვირს მაი? —ჩაურთო ვიღაცამ ბოხი ხმით და ულვაშები გადაისწორა. — რამდენისა ხარ შენ... ოო-და იმიტომაც გეჩვენება, შორი იყოს. რაია ცხრაას ცხრამეტი. აგერ არ

იყო გუშლამ?!.. ცხრაას თხუთმეტში სიმონა დოლიძე რომ მომიკლეს..

— მოყვება ახლა... — წამჩურჩულა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აგრონომმა ლიონ ლორიამ.

— მოყვეს. სიმონა რა, გახსოვთ თქვენ, ბიძია!

— ჰმ, ჰე-ეეჰ! — გააქნია თავი. მიმოიხედა ირგვლივ — მელიტონი ვარ მე, ჯიბუტი. — აუწია ხმას და მომაჩერდა.

— მამიდაშვილი იყო ამის, მასთან იბრძოდა,—განმარტა ბესარიონმა. — ამასაც ბევრი შემოკვდომია მეფის სატრაპი, ციხეებშიც ნამყოფია.

— ჩემი პირველი წინამორბედია, პირველი არტელის თავმჯდომარე იყო შუაგანახლებაში, — ჩაურთო ლიონმა.

— დარჩა კიდევ ვინმე სიმონას?

— ქალ-ვაჟი თბილისში, ძმა—აქ, სამუელი. მარჯვე კოლმეურნეა ნამეტანი, — ცდილობს ლიონი კოლმეურნეობას მოუახლოოს საუბარი. — გიკვირთ? სიმონა დოლიძეზე უფროსი გვყავს ჩვენ, გედეონ დოლიძე. ერთი ჰექტარი სიმინდის ფართობი მოითხოვა. მოუარა. ექვსი ათასი კვადრატული მეტრი დამატებით საერთო ფართობშიც გაგვითხნა. წყვილი ხარი ჰყავს მიჩენილი, ბზინვა გაუდით, ისე არიან მოვლილნი.

— შესწრებოდა სიმონაც ჩვენს ბედნიერებას!... — ს

უშრომიათ პარტიის მეორე პროგრამის განხორციელებისათვის და დღეს ამას სიამაყით ზეიმობენ.

მათი სიცოცხლე, მათი შრომა და გარჯა თითქოს გუშინდელ დღედ მიქცევს წიგნებში ამოკითხულ ისტორიულ წარსულს, მიკუმშავს მანძილს იმ დროის ოცნებასა და დღევანდელ ბედნიერ ცხადს შორის, ისევე როგორც კეთილი შედეგებით გაგარინმა და ტიტოვმა შეკუმშეს მანძილი დედამიწის ირგვლივ.

კეთილი შედეგი ამოკლებს თურმე მანძილს ოცნებასა და ახდენას შორის, რა სიშორიდან, რა მძიმედ გამოვლილიც უნდა იყოს იგი.

ჩემს წინ ზის ამ სოფლის რჩეული შვილი, მისი უდიდებულესობის — მშრომელთა კლასის წარმომადგენელი მეჩაიე ეთერ ჯიბუტი — დელეგატად წარგზავნილი პარტიის ისტორიულ XXII ყრილობაზე, რომელმაც ახალი, რიგით მესამე პროგრამა უნდა მიიღოს, პროგრამა კომუნიზმის აშენებისა.

ეთერი ამ დიადი პროგრამის მიღების მონაწილე იქნება.

გამოვა თუ არა ეთერი, როგორც დელეგატი, სიტყვით ყრილობაზე, სულ ერთია, იგი მაინც მიიტანს გულით სათქმელს ჩოხატაურის რაიონის მშობლიური შუაგანახლებიდან. თან მიაქვს სიხარულიც თავისი ბეჯითი შრომისა, რომელმაც სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახადა, სიხარული წლევანდელი წლისაც — მან რვა ტონა ჩაი მისცა სამშობლოს; მიაქვს ყრილობაზე სიხარული თანასოფლელებისა, რომლებიც თავდადებით შრომობენ და ბედნიერად ცხოვრობენ, სიხარული თავისი გმირი დედისა, რომელმაც შოგა და გაზარდა შრომასა და სწავლაში დასაქმებული ცხრა შვილი, მათ შორის რიგით მეორე, სახელოვანი ეთერი, მიაქვს სიხარული მშობლებისა, რომელთა მეცხრე შვილი ბევრად უმცროსია მათი პირველი შვილის ვაჟიშვილზე... თუ საუბარი ჩამოვარდა, სიამაყით იტყვის თავის გამრჯე მამაზეც, წელს ერთ ჰექტარ სიმინდის ფართობზე ასი ცენტნერი მარცვალი რომ მოიყვანა...

მიაქვს სიხარული და მადლობა სოფლისა.

აი, დაბრუნდება ყრილობიდან ბედნიერი ქალიშვილი, და ჯიბუტების ოჯახი, მთელი შუაგანახლება, მისი ძველი და ახალი თაობა კვლავინდებურად ჩაებმებიან პარტიის ახალი პროგრამის ხორცშესხმისათვის ბრძოლის ფერხულში, პარტიისა, რომლის დროშაზე წერია: „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

პროგრამა ხომ სახავს ხვალინდელ დიდებულ დღეს — კომუნიზმს.

შრომა და ბრძოლა ამ ხვალინდელი დღის მანძილსაც შეამოკლებს.

ოქტომბერი, 1961.

ნ ე რ გ ი

ვინ იცის, რამდენი ღამე იმაზე კონსპირაციულ ბჭობაში ათენეს რკინიგზის სახელოსნოს მუშებმა, თუ სად უკეთ დამალოდნენ ხელისუფალთა რისხვას პირველი მაისობის გადახდისას. სადმე უკაცრიელ ველზე, თანაც ქალაქთან ახლოს! ასეთ ადგილად მლაშე ტბების რაიონი შეარჩიეს, რადგან ჩიტიც კი მნახველად და მოწმედ არ ეყოლებოდათ. ჩიტს იქ აბა რა დაჰკარგოდა, და კაცს მით უფრო. და გაემართა ფეხით ოცდაათი შეფიცული მუშა, რომ პირველად იქ გაეშალათ საპირველმაისო წითელი დროშა. თვალმისაწიერზე ერთი ხისა კი არა, ჯოხის ხილვა ვინმეს რომ მოეწადინა, კვლავ დროშის ტარისათვის უნდა შეეხედა, და ერთადერთი რამ, რაზეც შეხლა და რისი ამოძრავებაც ქარს შეეძლო, ალისფერი ტილო იყო, იმ ოცდაათი შეფიცული მუშის თავზე აფრიალებული.

ეს იყო 1898 წელს.

სადაც ათასები, იქ მეც გავბავშვდი სიხარულისაგან, ფეხთ გავიხადე, შარვალი დავიკარწახე და დავუხვდი გადმოგდებულ ივრის წყალს, მლაშე ტბების ტაფობში რომ მოიზლაზნებოდა. ჯერ მოიზლაზნებოდა, გზას მოიკაფავდა. გადატრუსული ბალახის ძირებში მაცოცხლებლად ჩამავალი, ზედაპირზე სოკოებივით ტოვებდა თეთრ ბუშტულებს, იფანტებოდა უკალაპოტო თვალუწვდენ ველებზე და ფარავდა ათასობით ჩემისთანა ადამიანის ნატერფალებს. მერე ამ თეთრი ბუშტულების სოკოებს თავს გადმოევლებოდა ხოლმე უკან მომავალი სულ უფრო და უფრო მოძალებული ზვირთები და მლაშე ტბებზე იბადებოდა თბილისის ზღვა, და მკვიდრდებოდა წყალი და სიცოცხლე. ყველანი ჩვენ-ჩვენს ფიქრებთან და სიხარულთან ვიყავით იმ

მარად სახსოვარ წუთებში და არ შევცდილვარ მყუდროება დამერღვია იმ მოხუცი კაცისათვის, ჩემსავით სულ უკან-უკან რომ ინაცვლებდა ადგილს შემოტეული ივრის წყლისაგან. ეს კია, რომ მე მასში შევიცანი ის, ვისაც იმ პირველ ოცდაათ შეფიცულ ჩვენს წინაპარს შორის, იმ პირველ მომაისეთა შორის, სჭერია ხელთ დროშა წითელი, აი სწორედ აქ სადღაც, ამ მიდამოში — არ ვიცი, იორს უკვე მოესწრო მისი დაფარვა, თუ სადაც არის უნდა დაეფარა... და ჩემთვის უსიტყვოდაც ძნელი არ იყო იმ მოხუცი მედროშის ნაფიქრისა და განცდილის მიხვედრა — „იხარა ჩვენმა ნერგმა". თვითონ დროშა იყო ნერგი...

ეს იყო 1951 წელს.

ნერგი ყოველივე იმ სიკეთისა, რასაც ხედავს ჩემი თვალი მოლივლივე თბილისის ზღვის აზურმუხტებული ნაპირებიდან, გაცოცხლებული სამგორიდან. საუცხოო გადასახედია ჩემი სამგორიდან. აქედან ჩემი გონების თვალი კიდით კიდემდე, ხმელეთ-ზურმუხტიდან ცა-ფირუზამდე სწვდება სამშობლოს, მოზეიმეს და მომაისეს და მიხარია, რომ ვარ შვილი უძლეველისა. წყარო სამშობლოს უძლეველობისა კი პარტიაა, წინ რომ უძღოდა იმ პირველ მაისებს, ჩვენს დღეებამდე რომ მოიტანა ის დროშები, დღეს მოზეიმე ქუჩებს სამგორის აქოჩრილ ტყეებად რომ მოსდებიან.

ყოფილ მლაშე ტბებზე წითელი დროშის პირველ გაშლას, პირველ მაისობას 65 წელი უხდება, უფრო მეტი ხანი — სხვაგან გაშლილ პირველ წითელ დროშას და პირველ მაისობას, მაგრამ ბებერი არ არის, გამჭოლი ქარისა არ ეშინია! თუ რამ უბერებელი არის ამ ქვეყნად — გაზაფხულია. კაცობრიობის სიჭაბუკე და გაზაფხულია იდეები, რომელიც ასულდგმულებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. არ ვიცი, ვინ ასწია სულ პირველად წითელი დროშა, მაგრამ ყველამ ვიცით — მის გარშემო დაიწყო. გაიზარდა, განმტკიცდა და დავაჟკაცდა ეს დიადი მოძრაობა.

მაისი გაზაფხულის თვეა, ბუნების გამოცოცხლების თვეა.

ეს ბუნებაში. საზოგადოებაში კი იგი მსოფლიოს კომუნისტური გამოცოცხლების თვეა.

ამის სიმბოლოა პირველი მაისი.

განუყოფელია მაისი და დროშა.

იმ წითელი დროშისაკენ იწყო დინება ათასობით და ათასობით მებრძოლმა წარსულში.

წითელ დროშას, ჩვენს ქვეყანაში პირველ მუშათა რევოლუციურ დემონსტრაციებთან ერთად რომ გამოჩნდა, პარტიას მტკიცედ ხელთ რომ უპყრია, — კომუნიზმისაკენ მიჰყვება საბჭოთა ხალხი; კაცობრიობა წითელ დროშას, როგორც გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს, მიჰყვება სანუკვარი მომავლისაკენ.

ეს კი ამ ადრე გაზაფხულზე იყო. ვიდექი სამგორის — ყოფილი მლაშე ტბების რაიონის აბიბინებულ მიწაზე და შორს გავცქეროდი მიდამოს. სახეზე თბილისის ზღვიდან მონაბერი გაზაფხულის ნიავი მელამუნებოდა. ჩვენს პატარა სამგორს ნატვრის თვალი ჩაეყენებინა. და მე მასში, როგორც მზეს ერთ წვეთ წყალში, ჩემს სამშობლოს ვხედავდი — აყვავებულს და გაფურჩქნილს. ჩემი ყურადღება მიიპყრო მოასფალტებულ გზაზე სატვირთო ავტომანქანების ქარავანმა. მანქანების ძარაში ნელა ირწეოდნენ ნერგები. თვლა არ ჰქონდა ამ ნერგებს. საიდან მიჰქონდათ იგი? — სამგორიდან, სახელმწიფო ხეხილსანერგიდან! მიჰქონდათ, რომ ახალ მიწებზე გადაერგოთ, აემწვანებინათ, აებიბინებინათ ველ-მინდვრები, გაეშენებინათ ხეხილის ახალი ბაღები.

რა შეძლო კაცის შრომამ სამგორის საუკუნეობით გადატრუსულ, გაუხარელ მიწაზე!

ნერგები, ავტომანქანების ქარავანი რომ მიაქროლებდა, ხეხილსანერგის ერთ-ერთი კომუნისტური შრომის ბრიგადის გამოყვანილი და დამყნობილი იყო.

— პირველი მაისი განთავისუფლებული შრომის ზეიმია. ჩვენ მივალთ კომუნისტური შრომის გამარჯვებამდე! — ამბობდა ლენინი ოციანი წლების პირველ სამაისო შაბათობებზე

მივედით.

იხარა ნერგმა.

იმ პირველი მაისობის დროშა იყო თვითონ ნერგი, დიდებულ აწმყოდ რომ გაიფურჩქნა და კიდევ უფრო დიად მომავლად რომ გაიშლება.

მაისი. 1962.



ბიულეტენები და ფიქრები

ჩემი ქვეყნის უმაღლესი ორგანოს არჩევნების საარჩევნო ყუთებში გუშინ ჩაშვებულ მილიონობით ბიულეტენებს შორის ორი — ჩემი ჩაშვებულია.

ჩავუშვი ყუთში ისინი ისეთებივე, როგორიც მომცეს — რომ იტყვიან, ხელუხლებლივ. მაგრამ ასე მგონია, მაინც გამოვარჩევ მათ იმ მილიონებისაგან, რადგან ისინი ჩემს გულში გამომიტარებია და ჩემი ფიქრებიც ზედ მათზე დამიჭდევია.

თუ მილიონობით ბიულეტენებს, ერთად თავმოყრილს, ზღვად წარმოვიდგენთ, მაშინ ჩემი ნაქონი ის ორი ბიულეტენი ორი წვეთი იქნება ზღვაში, და მილიონთა ფიქრების ზღვაშიც — მხოლოდ წვეთი ჩემი ფიქრები. მაგრამ ისეთი წვეთი, რომ შიგ ცა ჩანს მზითა და დარის ღრუბლების თეთრი ქულებით.

გამიტანებია მათთვის ჩემი ფიქრები თბილისიდან მოსკოვამდე, ჩემი ქალაქის ერთი ქუჩიდან კრემლის დიდ სასახლემდე.

ვიცი, წვეთი წვეთისაგან არ გამოირჩევა, და ჩემი ფიქრებიც მილიონთა ფიქრებისაგან, და ამიტომ ვბედავ მათზე ამ სტრიქონებით ვილაპარაკო.

მომატარეს ჩემმა ფიქრებმა წიგნებში ამოკითხული შორეული წარსულიდან დღევანდლამდე, ჩამახედეს მასში, როგორც სარკეში, წინაც გამისწრეს და თვალი ხვალინდელი დღისთვისაც მომავლებინეს.

მომატარეს მათ იმ დროიდან, როცა მხოლოდ აჩრდილი ბორგავდა კომუნიზმისა — და ისიც მარტო ევროპაში — ვიდრე აწმყომდე, როცა ეს უწინდელი აჩრდილი უკვე ხილულია და დაბრძანდება ჩვენს შორის, ჩვენს რიგებში, უფლებამოსილი; მომატარეს კომუნიდან კომუნიზმამდე, იმ შორეული თვრამეტი მარტიდან გუშინდელ ღირსსახსოვარ თვრამეტ მარტამდე.

დამიჭდევია იმ საარჩევნო ბიულეტენებზე ფიქრები ჩემს სამშობლოზე, პარტიაზე, ჩვენს აწმყოსა და მომავალზე.

დეპუტატობის მარტო' იმ ორ კანდიდატს, ხალხის მარტო იმ ორ რჩეულს როდი მივეცი ხმა.

მე ხმა მივეცი ჩემი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, ჩემს სამშობლოს, ჩემს ხალხს — კომუნიზმის მშენებელს; მე ხმა მივეცი ინდუსტრიის მძლავრ მაჯისცემას, ზვრებისა და ბაღების აყვავებას, ყანა-ჯეჯილის აბიბინებას, მოსარკულ ცას და მიწას — ნატვრის თვალს, მდინარეების უშფოთველ ბუბუნს და ზღვების სილაჟვარდეს, მზესა და გაზაფხულს, აკვნებში ჩვილების მთვარისებრ გაბადვრას, სკოლებში ნორჩების ჟრიამულს, კოსმოსის დამორჩილებას, ჩემი ქვეყნის მშვიდობას...

მშვიდობას!

ჩემი ფიქრები ელოლიავა იმათაც, ვინც ჩემთან ერთად ვეღარ მოვიდა საარჩევნო ყუთთან, ვინც, ამ დიდებულ აწმყოს შეწირული, 'გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, და ხმა მივეცი იმას, რომ დედებს შვილების მოლოდინით თვალები აღარ უწყლულდებოდეთ, ცოლები ომის გამო აღარ ქვრივდებოდნენ და ბავშვების სიტყვის კონაში „მამა" არ გაიშვიათდეს.

პარტიას — მესაჭეს, პროგრამის კოლექტიურ შემოქმედს და გენიალურ ხორცშემსხმელს! — აი ვის მივეცი ხმა მე — ზღვის ერთმა წვეთმა, ერთმა მილიონთაგანმა.

ეს ზღვა — ხალხი დღეს უკვე ზეიმობს გუშინდელ არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების ლენინური ბლოკის გამარჯვებას.

ხალხი და ბუნება ზეიმობენ...

მარტი, 1962.



სიცოცხლის სათავე

დედა სიცოცხლის საწყისია.

ყველა ადამიანი, რა ფერისაც, რა ენაზე მოლაპარაკეც, რა რწმენისა და სარწმუნოებისაც უნდა იყოს იგი, ცხრა თვე დედის მუცლით ნატარები, ვაით ნაშობი და უით ნაზარდია. ამიტომ არავის ისე არ სურს თავისი პირმშოს კარგობა, როგორც დედას.

კაცობრიობა დედით ნაშობი და გამოზრდილია. ამიტომ მზე ისე არ ათბობს მას, როგორც დედის ზრუნვა და სიყვარული, არავის ისე არა სურს მისი ბედნიერება და კეთილდღეობა, როგორც დედას.

კაცობრიობა უკვდავია იმიტომ, რომ დედამ არ შობა იგი სიკვდილისათვის.

დედა არ შობს თავის პირმშოს ხანჯლისა და თოფისათვის.

არცერთ დედას არ უთქვამს პირმშოსათვის—პირველმა აიღოს იარაღი. მაგრამ თუ დედა ომში მიაცილებს შვილს, უბარებს — მალე დაბრუნდეს შინ მშვიდობით და გამარჯვებით, ამაოდ სურს თავი დააჯეროს, რომ სიცოცხლისათვის გაჩენილი თავისი პირმშო სასიკვდილოდ არ მიდის, რომ დაბრუნება ისევე მისი ნებაა, როგორც წასვლა. ასე დაუბარეს უთუოდ დედებმა შოთა გამცემლიძეს თუ ალიოშა წურწუმიას, სიცოცხლე რომ ბრძოლის ველზე დატოვეს და უკვდავების სახელით რომ დაუბრუნდნენ დედებს.

დედის გული მუდამ მშვიდობისათვის ძგერს და არასოდეს — მტრობისა და ომისათვის, თოფისა, და მახვილისათვის, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას, თავდაცვისას შვილთან ერთად თვითონაც მიმართავს იარაღს. ბუნებამ ბელურა-

საც მისცა, მართალია სუსტი, მაგრამ მაინც — კლანჭები და ნისკარტი — რომ არწივსაც შეეომოს, როცა იგი ბარტყს ართმევს.

მანამდის კი დედის მანდილი მუდამ მზად არის ორთა შორის გაიშალოს მშვიდობის ჩამოსაგდებად. ამასვე იქმდა ვეფხვთან ომში დაცემული მოყმის დედა, რომ მიესწრო იმ საბედისწერო წუთებში, მაგრამ ისღა დარჩენოდა, წასულიყო ვეფხვის დედასთან — „სამძიმარ ეთქვა შვილისა“.

შვილის სიკვდილით გულის ძარღვი უწყდება დედას და რადგან არავინ არ კარგავს იმდენს, რამდენსაც დედა, ყველა დედა ერთია მწუხარებაში.

ამიტომ ძნელი არ არის იმის შეგნება, რომ ომის გამჩაღებელთა ყველა თოფი, უწინარეს ყოვლისა, კაცობრიობის პირველგამომკვები დედის ძუძუებისაკენ არის მიშვერილი და ყველა მათი ხმალი დედის მანდილიან თავზეა აღერებული. დედა მთრთოლვარე ხელის გულს აფარებს შემართული თოფის ლულას, მლოცველის ხელებს აღაპყრობს ხმლის დასახვედრად და ამბობს: — არა! — რათა სიცოცხლე განაგრძოს კაცობრიობამ, იცოცხლოს შვილმა.

დაიხაროს ლულები, ჩაიგოს ხმლები, რომ აღარასოდეს აღარ აღიმართოს საჩეხად, არა მარტო დაიხაროს და ჩაიგოს, არამედ გადადნეს, გადადუღდეს სახნისად, ურიოდ, ნამგლად! — ამას ესწრაფვის ჩვენი ქვეყანა, ამას გვიბარებს დედის გული.

ნება კაცობრიობისა ამას მიაღწევს.

საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის შეუპოვარი ზრუნვა ამის საწინდარია.

მანამდის კი მშვიდობასა და ომს შორის დედის მანდილად, დაე, იდოს ჩვენი შრომა!

ივნისი, 1962.



ი ს ტ ა

ჩვენ არასოდეს სიტყვა არ გაგვიტეხია, და წუხელ უკვე მეჩვიდმეტე რვა მაისის ღამე იყო, ფრონტზე დათქმული პირობის მიხედვით რომ ვხვდებოდით ერთმანეთს. ღამე, რადგან სწორედ ღამე გვეუწყა ყველაზე სასიხარულო რამ, რომლის მსგავსი არასოდეს ჩვენს სიცოცხლეში არ გვიწვნევია: — კაპიტულაცია! ჩვენი საცეცხლე წერტის ბრუსტვერიდან ბღუჯა მიწა ავიღეთ და პირთან მივიტანეთ, რომ გვეჭამა. სიგიჟის თანაბარი იყო სიხარული. მეორე დღეს, ცხრა მაისის მარადსახსოვარ მზიან, მშვიდ დღეს, პირაღმა ვიწექით მიწაზე და შევყურებდით ცას. არასოდეს ისე არ შეგვიცვნია ცა, მისი დიადი სიმშვიდე, მისი კამკამა ლურჯი ფერის სილამაზე, არასოდეს არც მანამდე და არც შემდეგ ისე არ დავმტკბარვართ ბუნების სიმშვიდით, როგორც მაშინ. ჰაერი მზის სხივებში ბანაობდა და ციმციმებდა.

ჩვენ წუხელაც შევგროვდით ორნი, დათქმული პირობის თანახმად, რომ ხელახლა განგვეცადა იმ ორმოცდახუთის რვა მაისის ღამის სიხარული.

ჩემი ფრონტელი მეგობრის ნაამბობი ჩემი თაობის გულის ამოძახილად მივიჩნიე და ვთავაზობ მკითხველს:

თვალი სარაევოს გასროლაზე გამიხელია.

ცხრაას თოთხმეტი.

პირველი ომი აკვანში გამიტარებია. დედის იავნანა არა მსმენია, მის მოთქმაზე ვიძინებდი და ვიღვიძებდი — ძმა ომში დაღუპვია.

„ავრორის“ გასროლა ჩვენს სახლში მხოლოდ გაზეთით შემოჭრილა, მაგრამ იქნებ მესმოდა მისი შორეული გამოძახილი.

ცხრაას ჩვიდმეტი.

მე თვითონ ამიკრეფია ჩვენს ეზოში ჰილზები და დამითვლია ოდის ფიცრულში ნატყვიარი ნახვრეტები.

ცხრაას ოცდაერთი.

ოცდათვრამეტში ხასანი, ოცდაცხრამეტში ფინეთი... ორმოცდაერთში...

ეს მეტისმეტია ერთი თაობისათვის. მეტისმეტად ნატყვიარი და ნადენთარია ჩემი თაობა.

მე მოგიყვები ამ წარსულ ომზე დედის გულის, დედის თვალების ანარეკლიდან.

მე შურიანი ადამიანი არა ვარ, მაგრამ ყოველთვის მშურდა ჩემი შვიდი უფროსი და-ძმისა, განსაკუთრებით პირველებისა. მათ ახსოვთ ჩემი დედა ახალგაზრდა, მე — არა. ეს მათ წამართვეს ჩემი ლამაზი ახალგაზრდა დედა და ჩემს წილად ხანში შესული მარგუნეს. რაც თვალი გავახილე, დედა სულ მოხუცად მახსოვს და ნუ გაუმტყუნებ მოხუცს, თუ ასე მოიქცა შვილის გულისათვის:

მიუბამს კუთხეში ჩემს სახელზე ნაყიდი ცხვარი, მოუშინაურებია ქალაქში ჩემს სახელზე ნაყიდი მტრედი და ლოცვით მელოდა. გაეპარა შინიდან თურმე ჩემს დებს ღამით და წავიდა ილორის სალოცავში ფეხშიშველი. წავიდა ილორში, გაეპარა ჩემს დებს ღამით შინიდან, რომ ხელშეკრულება დაედო ღმერთთან: „შენ, ღმერთო, მშვიდობით ჩამომიბრუნებ ჩემს ჯონდის, მე შენ დაგიკლავ ცხვარს და აგიფრენ მტრედს — ჩემს წმინდა სულს. მოვედი შენთან ფეხშიშველი ამის სათხოვნელად.“

დედა, როგორ იარე შორ, ქაცვიან და ქვაღორღიან გზაზე ღამე ფეხშიშველმა შინიდან ილორამდე. რანაირად იყიდე ის ცხვარი და მტრედი, წიგნაკით ერთი გირვანქა პურიღა გერგებოდა, ვაი, იქნებ ნახევარს ჭამდი! შენ კი მეტანიით მოუწერე ხელი ღმერთს ხელშეკრულებაზე, მაგრამ იგი უტყვად გადმოგცქეროდა, არაფერს გპირდებოდა, რა იცოდა, დავბრუნდებოდი თუ არა!

მე რომ გავიგე, თუ როდის მომხდარა ეს, დამთხვევია იმ

დროს, მეგობარო, — მომმართა მოსაუბრემ, — როცა, გახსოვს, ბეჟიცადან ბრიანსკამდე ვლაშქრობდით ტყვიამფრქვევით და ავტომატით, დაახლოებით იმდენივე მანძილზე, რამდენიც დედას ევლო, ფეხშიშველს, შინიდან ილორამდე.

დედა, მე ჩექმები მაინც მიფარავდა ტერფს, შენ — ქაცვიან-ქვაღორღიანი გზა გაგივლია ჩემი გულისათვის...

დავბრუნდი არა ღვთით, როგორც იცი, არამედ რაღაც საოცრებით. დედის მუცლიდან ომის ველამდე ჩემი არსება თითქოს ერთი წინადადება იყო, მაგრამ ბუნებამ— ამ წინადადების დამწერმა დაუშვა, ჩემდა იღბლად, პუნქტუაციური შეცდომა — არ დაუსვა წერტილი წინადადებას.

თუ წინადადებას მდინარეს შევადარებთ, მაშინ მდინარე მდინარობს მანამ, სანამ კალაპოტში მიედინება, ზღვას შეერთებული კი აღარ. ზღვა მდინარის წერტილია, დიდი, შავი წერტილი. ჩაკვირვებიხარ, რა არის წერტილი? წერტილი, იმას ნუ კი უყურებ, რომ პატარაა, წერტილი მთელი უსასრულობაა, ჩემთვის და შენთვის ომს რომ უნდა დაესვა, როგორც უსვამს ბოლმე მდინარეს ზღვა.

მაგრამ დავბრუნდით. დავბრუნდით არა ღვთით, არამედ საოცრებით, და კმარა ნატყვიარი, ნადენთარი ჩვენი თაობისათვის!

ჩვენ გვინდა მოწმენდილი ცა, ისეთი ცა, როგორიც შევიგრძენით იმ ცხრა მაისს, იმ მარადსახსოვარ მზიან, მშვიდ ცხრა მაისს...

მაისი, 1962.

ბალადა ჯარისკაცზე

ამას წინათ №-ნაწილში. მეომრებთან შეხვედრისას მოვისმინე ამბავი. რომელიც საფუძვლად დაედო ამ ნოველას.

დაღლილობა ხომ იცი რა არის, ჯარისკაცო! როგორ არ იცი... ფეხებს ძლივს მიათრევ, მთელ ტანში გტეხავს. და თუ ძილიც გაკლია. თოვლიც რბილ ლეიბად მოგეჩვენება, პირქუში ცა — თბილ საბნად. ნელი ნიავიც ისე გიძალიანდება, თითქოს ქარს მიაპობდე, თითქოს მუხლამდე საფლობში იყო. ფეხი ვერ მოგინაცვლებია. ნაბიჯი კილომეტრად გექცევა. ერთადერთი ძალა, რაც წინ გეწევა, არის გული. ჩქარა, ჩქარა! — პოლკში გაგვიანდება, დღეს ისედაც შეფერხებული ხარ. მეთაური, ალბათ, წამდაუწუმ საათზე იცქირება, ნერვიულად თითებს იმტვრევს შენს მოლოდინში — გაგვიანდება სასწრაფო ბრძანების მიტანა. სასწავლო დღის წარმატებით დამთავრება შენს დაბრუნებაზეა დამოკიდებული. წინ, ჯარისკაცო, წინ!

ბორცვები და ვაკე, საფლობი და ღრანტეები, ჯაგები და ყორე... ათასი ბარიერია გადალახული და გადასალახავი. გზა შორი გიდევს, ერთადერთი განმარტოებული ელნათურაც, ამ სიბნელეში ცისკრის ვარსკვლავად და ორიენტირად რომ გესახებოდა, ისიც ჩაგიქრა. ჩაგიქრა ეს „ვარსკვლავიც“, და ცოტა ხანში იმ ჩამქრალი ვარსკვლავის მხრიდან ყურში ჩაგესმის გამწარებული წივილი ბავშვისა:

— მამა, მამილო!...

ეს წივილი დაღლილს ბურანიდან გარკვევს.

— მი-შვე-ლეთ!..

არის ვიღაც, ვისაც შენზე უფრო უჭირს ამ ღამით, მაგრამ შენზე უფრო უჭირს კი?! წუთები წყვეტენ ყველაფერს. გელოდებიან შენ, ჯარისკაცო, საშველად გიხმობენ...

გამწარებული ძახილი წყდება. და, ალბათ, დგება უფრო საშინელი რამ: „რა მოხდა ნეტავ?!"

„რა მოხდა ნეტავ?!" — მკითხაობის დრო აღარ არის. იმრუდებ გზას ასე ძნელად რომ ჰკეცავ, და მიეშურები იმ ბაგშვის წივილისაკენ, ჭირის ძახილისაკენ.

„მაგრამ შენ რომ პოლკი გეძახის?! წუთებს შეუძლია დავალების ჩაშლა!" — იგერიებ ამ იდუმალ ხმას და მიჰყვები შენს გულისთქმას: — „გასწი ორივე ძახილისაკენ, და ჩქარა!".

სად გაჰქრა, ჯარისკაცო, შენი დაღლილობა, რამ გამოგაბა მგლის მუხლები, რამ მოგცა ვეფხვის ნახტომი, რომლითაც გალავანს გადაევლე და სახლის წინ ასეთ სურათთან დადექი:

მამაკაცი ჩამუხლებულა, იკრუნჩხება და ძაგძაგებს. შორიახლო პატარა გოგონა დგას და წივის: „მამა, მამილო!"

შენ ხედავ ჭირში მყოფის მარცხენა ხელში ჩაბღუჯულ მავთულის ბოლოს. ეს ელექტროძაბვის მავთულია. კიდევ კარგი, რომ დაბალი ძაბვაა, მაგრამ მაინც მძლავრად ჩასჭიდებია კაცს. კიდევ ერთი თვალის დახამხამება და კაცი გათავდება.

ტტრრ-აახ! — აგლიჯა ჯარისკაცმა ყორედან ფიცარი, და ამ ფიცრის ფარით ელექტროძაბვის მავთულისაგან — ხიკვდილისაგან გამოიტაცა ჭირში მყოფი, შემდეგ, ხელებგაკაწრული, ახოხდა ბოძზე და ფიცრის მოშველიებით, დიდი წვალებით შეაერთა გაწყვეტილი მავთული. სახლში კვლავ აკიაფდა ის „ცისკრის ვარსკვლავი", ის ელნათურა, დამკვიდრდა სახლში კვლავ სიცოცხლე და სინათლე.

ისევ მგლის მუხლი მოიბა. ისევ ვეფხვის ნახტომით გადაევლო გალავანს და დაეშვა ჯარისკაცი თავქვე. დაღლილობისაგან კვლავ ეკეცებოდა მუხლები, მაგრამ მაინც პოულობდა ძალას დროდადრო მობრუნებულიყო და თვალი მოეკრა იმ

აკიაფებული ელნათურისათვის. კვლავ განაგრძობდა გზას წინ. „ჩქარა, ჩქარა, პოლკი გელოდება!“ — ჩასძახოდა იდუმალი ხმა.

დანიშნულ დროს ათი წუთი გადასცილებია.

მეთაურმა, ჯარისკაცის პატაკი რომ მოისმინა, მარცხენა ხელი ასწია და საათისაკენ მიუთითა:

— ათი წუთი, მეკავშირევ. — დამარცვლით დასძინა მან.

— შემთხვევა იყო, ამხანაგო მეთაურო, მძიმე შემთხვევა...

გადარჩენილი კაცი გონს რომ მოვიდა, შეიშმუშნა, თვალი გაახილა. ოთახში შუქი კიაფობდა, თავთან პატარა გოგონა ეჯდა და ლოყებზე ვარდისფერ ხელებს უცაცუნებდა. ორი ობოლი ცრემლი შემორჩენოდა მაყვლისფერი თვალის ქუთუთოებზე. ფერმიდან ეს-ეს არის დაბრუნებული ცოლი კარებთან გაოგნებული იდგა და თვალებს დაბნეულად აცეცებდა.

გონს მოსული და ძალამოკრებილი კაცი ზეწამოიჭრა, კარში გამოვარდა, თავქვე გზაზე დაეშვა და სიბნელეში გაისმა მისი ძახილი:

— ამხანაგო ჯარისკაცო-ო-ო!

— ო-ო-ო! — ბანი მისცა ექომ.

ძახილი ბევრჯერ განმეორდა, მაგრამ, გარდა ექოსი, პასუხს არავინ იძლეოდა.

არ შეიძლება ეს ძახილი გზად არ წამოსწეოდა ჯარისკაცს.

ამის შემდეგ გადარჩენილი სადმე გზაში ჯარისკაცს თვალს რომ მოჰკრავს, აედევნება ხოლმე, წინიდან შემოუვლის, გამარჯობას ეტყვის და თვალებში ჩააცქერდება.

შეაჩერა ერთხელაც მან მორიდებულად ერთი ჯარისკაცი, სიყვარულით ხელი მოჰკიდა მკლავში, ჩააცქერდა თვალებში და ჰკითხა:

— უკაცრავად, თქვენ ხომ არ იცნობთ...

მაგრამ ვის? რა გვარი ჰკითხოს?!

ჯარისკაცი მხრებს იწურავს. უცნაური შემკითხველიც უიმედოდ ხელს ჩაიქნევს და ბოდიშის მოხდით გაეცლება.

მაგრამ მაინც იმედმოცემული ბრუნდება შინ, რომ იპოვა თავისი მშველელი. ყველა ჯარისკაცში ხედავს მას.

ნოემბერი, 1962.

სრული სვლა!..

ძველი წელი წავიდა. ახალი დადგა. წელთა სვლა აღელვებთ ადამიანებს. აღელვებთ ძველთან გამოთხოვება, არანაკლებ — ახალთან შეხვედრა. ძველი შეგვესისხლხორცა, მან ჩვენში წარუშლელი კვალი დატოვა. ამიტომ გვიმძიმს მისგან განშორება. ახალი კი გულს გვიძგერებს თავისი მოლოდინით — რა მოაქვს, რას მოგვიტანს!... ძველთან ოცნებათა ხორცშესხმა გვაკავშირებს, ამიტომ მას დაპყრობილ მწვერვალად, განვლილ საფეხურად ვთვლით, ახალი კი ინტერესით აღგვავსებს. გონების თვალი მას დარის ბურუსში გვიხვევს, და მაინც ამ შორეულ ბურუსში მოჩანს ედემის ბაღის მსგავსი რამ მწვერვალი, რომელიც უნდა ავთოკოთ და დავიპყროთ. მიღწეული წარსულია, მისაღწევი — მომავალი.

ბევრი სიხარული განგვაცდევინა, სიძნელე გადაგვალახვინა, სამახსოვრო რამ გვაჩუქა გარდასულმა წელმა. ისტორიის უკიდეგანო ველში იგი ახალ ღრმა ხნულად, ღრმა კვალად შეიჭრა. იმ წელს განეკუთვნება პირველი ბილიკის გადება დედამიწიდან მარსამდე — საბჭოთა ადამიანის გონების ამ უმაღლესი ფანტაზიის ხორცშესხმა. იმ წელთან არის დაკავშირებული ინდუსტრიის ახალი გიგანტების, ახალი მარტენებისა და ბრძმედების, ახალი მაგისტრალებისა და ჰესების, ახალი საბჭოთა ცათამბჯენების მწყობრში ჩაყენება; ახალი დიდი მეცნიერული აღმოჩენები და ბუნების საოცრებათა გენიალური ამოხსნები; დიადი გარდაქმნები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში; ხალხთა სანუკვარი მშვიდობისაკენ ახალი გზების გაკვალვა და დიდი ლაშქრობანი უომო მსოფლიოსათვის.

„მოხდა 1962 წელს!“ — ვინ მოთვლის, რამდენ საგუ-

ლისხმო მოვლენას დაესმის ეს თარიღი მომავალ კალენდარებში. კალენდარი, რომელსაც ცხრაას სამოცდაორი წელი გონების ნათელით და კოკრიანი ხელით წერდა, ჩვენს თვალთან მიტანილი წიგნი იყო, რომლის ამოკითხვა და აღქმა გვიძნელდებოდა. ახლა, როცა ისტორია გვაშორებს თვალთა ხედვიდან ამ კალენდარს, ვკითხულობთ მის საოცრად ნათელ ფურცლებს — რა გვიკეთებია, რა გვიშენებია, რამდენი რამისთვის მიგვიღწევია!

ამ ქვეყნად არ არის ადამიანი, რომლის პირად ცხოვრებაში ღრმა კვალი არ დაეტოვებინოს გარდასულ 1962 წელს. ქორწინება თუ დაბადება; ახალი ფუძის გაჩენა — ახალმოსახლეობა; პირველი ნაბიჯები შინიდან სკოლამდე — გულში ჩაკრული დედა-ენით ნაშუქ გზაზე; პირველი ბილიკი სკოლის მერხიდან დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე — ქარხნისაკენ თუ საკოლმეურნეო მინდვრისაკენ; პირველი თვალებდაცეცებული შეღება უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიის კარისა; პირველი დისერტაცია თუ პირველი ამოხსნა ბუნების ამა თუ იმ საიდუმლოებისა; პირველი წიგნის ავტორობა თუ პირველი ჰანგის დარხევა... ზოგს რა აკავშირებს წარმავალ წელთან და ზოგს რა! ამიტომაც შეგვესისხლხორცა იგი და გულითადად საყვარელი, ჩვენი ბიოგრაფიის ულამაზესი თარიღი შეიქნა. ვერაფერი ვერ ამოშლის მას ჩვენი ცხოვრებიდან.

ყველა დიდსა თუ მცირე საქმეში, რომლებითაც შემკულია გარდასული წელი, ჩვენი პარტია ძალასა და ძლიერებას ლენინიზმის დაუშრეტელი იდეებიდან იღებდა. ყველა დიდი თუ პატარა გზა, გადებული კომუნიზმის სანუკვარი მწვერვალისაკენ, ლენინიზმის შუქით იყო განათებული. არ ამოილევა ზღვა, არ დაიშრიტება მჩქეფარე ანკარა წყარო. ლენინიზმის შუქით არის განათებული მშვიდობის ის გზა, რომელზეც ჩვენი ქვეყანა მიჰყავთ პარტიას, მთავრობას, მშვიდობის დაუცხრომელ მოღვაწეს ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს. „ავრორას“ ისტორიული გასროლით დაწყებული და დამთავრებული კოსმოსის დაპყრობით, — ჩვენი სამშობლოს, მშობლიური კო-

მუნისტური პარტიის საქმეებისა და მოღვაწეობის ხათელ ცაზე ისტორია ვერ შენიშნავს ვერც ერთ პაწია ლაქასაც კი, რომელიც შეიძლებოდა ომში გადაზრდილიყო. განუხრელად მშვიდობის ერთგულია ჩვენი ქვეყანა. და არა პასიური ერთგული. მშვიდობის უბრალოდ მონატრული და მოსურნე, არამედ აქტიური მებრძოლი მისთვის, არა მარტო უბრალოდ აქტიური მებრძოლი, არამედ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ საკაცობრიო ბრძოლის მედროშეც.

ერთი გაიარეთ გვიან ღამით ჩვენი მზიური დედაქალაქის რომელიც გნებავთ უბანში და ყური მიუგდეთ, თვალი მიაპყარით — რა ხდება ირგვლივ. განუწყვეტელი მშენებლობაა. სამ ცვლად შრომობენ ადამიანები, აშენებენ ახალ-ახალ კორპუსებს. მთელ წარსულ, ერთად აღებულ, ორ-სამ ხუთწლედში იმდენი საცხოვრებელი სახლი არ აშენებულა თბილისში, რამდენიც თუნდაც 1962 წელს. ეს თბილისში. ახლა სხვაგან? — ტაშკენტთან იმოდენა ახალი დასახლება აღიმართა და გაიზიმა, რომ მოძმე უზბეკეთის დედაქალაქს ახალი რაიონი შეემატა, და რა გგონიათ! — იმოდენა რაიონი, რომ მოცულობით და მოსახლეობით უკან მოიტოვა ახლომდებარე საოლქო ცენტრი — ძველთა-ძველი ბუხარა..

გუშინწინ საბჭოთა ადამიანებმა, როგორც საკუთარი დღეობა, იზეიმეს სსრკ-ს შექმნის მე-40 წლისთავი. ეს გასაგებიც არის. ლენინის იდეით ხორცშესხმულმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა დასაბამი მისცა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობას, ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, მოძმე რესპუბლიკებს, თანასწორთა შორის თანასწორი ჩემი მზიური საქართველოს ზრდასა და აყვავებას.

გაგონილა შარაგზის ყაჩაღი საძარცველად შინიდან გასვლის წინ პერანგის საყელოს იხამებდეს და სარკესთან კოპწიაობდეს! მას ამის არც თავი აქვს და არც გული. შეუძლებელია ომის მოსურნე ქვეყანა დღედაღამე ხარაჩოებზე იყოს და ადამიანებს საცხოვრებელ სახლებს უშენებდეს. ჩემს ქვეყანას კი თვალზე რული არ ეკიდება ადამიანებისათვის ზრუნვაში.

ოკეანეს გაღმა ძნელი მოსაძებნი არ არის უგუნური, რომელიც ჰყეფს — ჩვენ კი არა, საბჭოთა კავშირს უნდა ომის გაჩაღებაო. ვის სჯერა ეს? — არავის, არც გამგონს და არც მთქმელს. ისე, ჩვენი ჰაერი დამუხტულია ომის გარშემო ხმაურით, მშვიდობისათვის ბრძოლის მხურვალე მოწოდებებით, ყველა გონიერი ადამიანია საჯურველი სიტყვებით: — „ომს ვუთხრათ არა, მშვიდობას — ჰო!“ ამასთან, არავისათვის დასამალი არ არის, რომ ჩვენ წლითიწლობით ვამტკიცებთ ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას. ამას გვაიძულებს იმპერიალისტების მაქინაციები, მათი პროვოკაციები, ცეცხლის მცირე თუ მოზრდილი ნაპერწკლები, რომლებსაც ომის მოსურნენი ჩვენი პლანეტის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში ააკიაფებენ ხოლმე, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში ხანძრად აქციონ იგი.

ყოველივე ეს ქარია და საკმაოდ ძალუმი ქარი, მონაბერი ოკეანის გაღმიდან.

არ შეიძლება ეს ქარი არ აღიქვას მუხამ — ჩვენმა ქვეყანამ. მუხა დროდადრო ირხევა ამ ქარისაგან. მაგრამ მხოლოდ რეგვენს შეიძლება ეგონოს, რომ ქარს მუხა წარმოშობს.

წელიწადს თუ გემს შევადარებთ და ცხოვრებას — ოკეანეს, მაშინ მრავალი შტორმის გადამლახველი საოკეანო გემი — 1962 წელი, რომლის საჭეს ნაცადი კაპიტანი — ჩვენი პარტია და მთავრობა — მართავდა, მშვიდობით მოადგა, ვალმოხდილი, ოქროს ნაპირს.

გაბედულად გადის ღია ზღვაში ახალი — 1963 წელი.

კეთილი სვლა, სრული სვლა, ახალო წელო, კომუნიზმისაკენ! მილიონები სიყვარულისა და იმედის თვალით მიგაცილებენ ახალ გზაზე, და მილიონები შენთან და შენში არიან.

სარჩევი

მოსკოვი — გული	3
მონაპოვარი	7
ღამისა და დღის გასაყარზე	13
ცხოვრების ერთი ფურცელი	18
ძეგლი დნეპრზე	30
სიყვარულის ხიდი	38
ძველი სურათები, განახლებული გრძნობები	46
მზის ასული	55
ოდრუჟუვალნა	56
სიმფონია კოსმოსიდან	64
ომის ნაკვალევი	68
სიცოცხლის ტრფობა	75
მშვიდობის ლამპარი	81
გზას გვინათებდა	85
მოიყვანეს პატარძალი	90
ომში და მშვიდობისას	96
სიმღერით იბადებოდა	100
მკა	102
აკაკი	107
შენ რაღას იტყვი, ჭოროხო!	109
ერთ მშვიდობიან დღეს	112
ბედი ქალიშვილისა	117
ნხივთა ძნა	121
ჩაუმქრალი კერა	123
სახელი და მანძილი	130
დედის სიყვარული	134
საბჭოთა ხასიათი	136
ვაჟა	142

სუნთქვა კომუნიზმისა	144
ნერგი	149
ბიულეტენები და ფიქრები	153
სიცოცხლის სათავე	156
ის ცა	158
ბალადა ჯარისკაცზე	161
სრული სვლა	165

რედაქტორი კ. ლოლაძე
ტექრედაქტორი შ. ხოხიაშვილი
მხატვარი ი. კალაძე

ВЛАДИМИР ДМИТРИЕВИЧ ТОРДУА

ЭХО ВРЕМЕНИ

Издательство ЦК КП Грузии
Тбилиси 1963
(на грузинском языке)

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1963 წ. 9 აპრილს.
ანაწყობის ზომა $5^1/_2 \times 9$, ქაღალდის ზომა
60×84, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა $10^3/_4$.

ფასი 30 კაპ.

შეკვ. № 302 უე 05914 ტირაჟი 15.000

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14